საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

9 მარტი პარასკევი 2012

№057 (13663) ფასი 80 თეთრი



## ესპანური ფეხბურთის ზეიმი

7





## ლებრონ ჯეიმსს გაუმართლა, ზაზა ფაჩულიას რომ გადაურჩა!..

ატლანტას ქართველ ცენტრს ორმაგ დუბლამდე ქულა დააკლდა

12

### პოლოლიკაშვილი დინამოდან წავიდა



ზურაბ პოლოლიკაშვილმა თბილისის "დინამოს" ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა დატოვა. "ლელოსთან" საუბარში მას წასვლის მიზეზები არ დაუკონკრეტებია.

მერაბ მამულაშვილი

# ვირტუალურიდან რეალობამდე

## პირველი ეტაპი დასრულდა

### ხვალ კალენდარი, ორშაბათიდან თამაშები

პლეი ოფი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 14 | 9 | 3 | 2 | 24 | 12 | 30 |
| 2 | ტორპედო | 14 | 7 | 3 | 4 | 17 | 12 | 24 |
| 3 | დინამო | 14 | 7 | 2 | 5 | 27 | 20 | 23 |
| 4 | მეტალურგი | 14 | 7 | 2 | 5 | 18 | 19 | 23 |
| 5 | ბაია | 14 | 4 | 4 | 6 | 11 | 15 | 16 |
| 6 | დილა | 14 | 4 | 3 | 7 | 16 | 17 | 15 |
| 7 | მერანი | 14 | 4 | 1 | 9 | 12 | 22 | 13 |
| 8 | კოლხეთი | 14 | 2 | 6 | 6 | 8 | 16 | 12 |

პლეი აუტი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩიხურა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 2 | ბათუმი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 3 | გურია | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 4 | მერცხალი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 6 | სპარტაკი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 7 | გაგრა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 8 | სიონი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |



2-3

სპარტაკი-დილა 2:2. ემოციური შეხვედრა ლოგიკურად დასრულდა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი

XXI ტური,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰეპი ენდი მძაფრი სიუჟეტით

8.03. თბილისი. მ. მესხი.
3 000 მაყურებელი

**სპარტაკი 2**

**დილა 2**

1:0 ჩაფიძე (10, შონიას პასით), 2:0 ჩაფიძე (35, შარაშენიძის პასით), 2:1 ვაწაძე (80, კახელიშვილის პასით), 2:2 ილურიძე (89)

| სპარტაკი 4-4-2 | დილა 4-4-2 |
|---|---|
| ნადირაძე | სკენდერი |
| ჭაფოძე | ალადაშვილი |
| ტეტუნაშვილი | სალუქვაძე |
| ლომაია | თოთაძე |
| ნ. მაისურაძე | ინწკირველი |
| შარაშენიძე | ლექვთაძე |
| თ. შონია | არზიანი |
| ჩივაძე | კაშია |
| ჩაფიძე | კახელიშვილი |
| გაბაშვილი | ილურიძე |
| ლ. მელქაძე | ჯიქია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი: |
| ვ. ხაჩიძე | თ. მახარაძე |

**სპარტაკი**

55. მელქაძე - **გელაშვილი**
60. შარაშენიძე – **მ.ჯიშკარიანი**
83. ჩივაძე – **გიორგი გურეშიძე**

*სათადარიგოები: ბერაია, ბურძენაძე, მამუჩიშვილი, თუხარელი*

**დილა**

42. კაშია - **გურული**
46. ლექვთაძე - **ვაწაძე**
76. თოთაძე - **მეგრელიშვილი**

*სათადარიგოები: შეყრილაძე, ბეჭვაია, კანდელაკი, ქარქუზაშვილი*

გაფრთხილება: მელქაძე (23), გურული (70), ჩაფიძე (70), ალადაშვილი (74), არზიანი(78), ილურიძე (85)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ორი ვარიანტი გვაქვს:

ნალდი თამაში იყო;

სცენარი თამაშამდე იყო დაწერილი;

ზოგადად, მესამე ვარიანტი ბუნებაში არ არსებობს, მაგრამ არსებობს საშუალებები, რითაც შეიძლება ცუდი "რალაცეების" გამრავალფეროვნება და დაჯერება.

დავუშვათ, რომ ნალდი თამაში იყო და მივყვეთ მატჩის მსვლელობას. პირველ ტაიმში "სპარტაკი" მეტოქეზე უკეთ გაისარჯა და ორი გოლითაც დაწინაურდა. "დილა" სუმბურულად უტევდა, "სპარტაკი" კი მწყობრად თამაშობდა, ბურთს მოწინააღმდეგეზე კარგად აგორებდა.

**კონსტანტინე გაბაშვილმა** ოციოდე მეტრიდან ააცილა კარს, საჯარიმოში შეჭრილ **გიორგი კახელიშვილსაც** გაუცუდდა მიზანი – პირველ გოლამდე საინტერესო სხვა არაფერი მომხდარა, გოლი კი "სპარტაკმა" მრავალსვლიან, მოხდენილ კომბინაციას მიაყოლა – **ლაშა ჩაფიძემ** ხელსაყრელი პოზიციიდან ზუსტად დაარტყა.

"დილამ" მეტოქეს მწვავე შეტევათა ჯერი მიაყოლა. **რევაზ ჯიქიას** ჰქონდა კარგი შანსი, მაგრამ **კახა ალადაშვილის** ჩაწოდებულზე თავური **გიორგი ნადირაძის** ხელებს "დაუმიზნა".

"სპარტაკს" ანგარიშის გაზრდა 33-ე წუთზე შეეძლო – **ბადრი ტეტუნაშვილის** დარტყმას სიზუსტე ოდნავ დააკლდა. ნომინალურმა მასპინძლებმა მეორე გოლი მალევე გაიტანეს – **თემურ შარაშენიძემ** მარცხენა ფლანგიდან ისე ჩააწოდა, "დილას" მეკარე და დაცვა შეცდა და ჩაფიძემაც დუბლი გაიფორმა.

"დილა" მწვავე და აგრესიულ შეტევებს აგრძელებდა, რასაც ცოტა ქაოსური ელფერი დაჰკრავდა. შესვენებამდე გორელებს ერთი გოლის გაქვითვა მართებდათ – **ირაკლი ლექვთაძის** დარტყმა კარში გიორგი ნადირაძემ არ შეუშვა.

შესვენების შემდეგ "დილამ" უფრო შლეგად შეუტია, "სპარტაკმა" კი ბურთზე კონტროლი დაკარგა და თამაში, ფაქტობრივად, მოედნის ცალ მხარეს მიდიოდა. ნადირაძემ ერთხელაც იყოჩაღა და ილურიძეს არ დაანება გოლის გატანა. ჩინებული შანსი ჰქონდა **მათე ვაწაძესაც**, ვისაც ახლო მანძილიდან დარტყმა გაუცუდდა. გაუთავებელმა ზეწოლამ შედეგი მაინც მოუტანა გორელებს – ვაწაძემ ხვეული დარტყმით შორეულ ცხრიანში მოათავსა ბურთი.

მეორე გოლის გასატანად "დილას" დრო საკმარისად ჰქონდა და ასეც მოხდა – ნაკუთხურალ ბურთს გიორგი კახელიშვილმა შეაგება თავური, ნადირაძის მოგერიებულზე კი **გიორგი ილურიძემ** ისარგებლა – 2:2.

ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც მოსალოდნელი იყო – "დილა" ზედა რვიანში მოხვდა.

**დავით თავართქილაძე**

8.03. რუსთავი. ფოლადი.
500 მაყურებელი

**მეტალურგი 1**

**სიონი 2**

1:0 სიხარულიძე (8, მაისურაძის პასით), 1:1 ისიანი (39, ჩიკვილაძის პასით), 1:2 უგულავა (43, ბოლქვაძის პასით).

| მეტალურგი 4-2-3-1 | სიონი 4-3-2-1 |
|---|---|
| გედიაშვილი | ლობჟანიძე |
| სეთურიძე | ავსაჯანიშვილი |
| კვარაცხელია | გ. ოქროპირიძე |
| მახვილაძე | ქემოკლიძე |
| ს. თოდუა | ჩიკვილაძე |
| ქავთარაძე | ისიანი |
| რაზმაძე | ნემსაძე |
| თექთურმანიძე | ჭანკოტაძე |
| ი. მაისურაძე | დ. ბოლქვაძე |
| გეწაძე | უგულავა |
| სიხარულიძე | ხურციძე |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| კ. ყორყიკაშვილი | ხ. ქასრაშვილი |

**მეტალურგი**

60. თექთურმანიძე — **ტატანაშვილი**
70. სეთურიძე — **ჭედია**
78. მაისურაძე — **მოდებაძე**

*სათადარიგოები: ბათიაშვილი, ოთარაშვილი, ექვთიმიშვილი*

**სიონი**

46. ჭანკოტაძე — **გველესიანი**
46. უგულავა — **ხიდეშელი**
78. ხურციძე — **მეტრეველი**

სათადარიგოები: ზუხბაია, კაციტაძე, კობაური, ჯოჯუა

გაფრთხილება: თექთურმანიძე (44), კვარაცხელია (65), მეტრეველი (85)

არბიტრი: ი. ურუშაძე

# ვის სჭირდებოდა ეს ქულები?

პირველი ეტაპის ბოლო ტურამდე მხოლოდ ბოლნისის „სიონს" არ ჰქონდა სტუმრად გამარჯვება მოპოვებული. და აი, ნავსი გატყდა: ქვემოქართლურ „დერბიში" „სიონმა" ამ სეზონში უკვე მეორედ დააკარგვინა ქულები „მეტალურგს"; თუმცა, ისიც საკითხავია, ვის სჭირდებოდა ეს ქულები: „მეტალურგისათვისაც" და „სიონისთვისაც" ეს მატჩი ხომ ფაქტობრივად, არაფერს ნიშნავდა — ორივე გუნდისთვის ნებისმიერი შედეგი „მისალები" იქნებოდა და, აქედან გამომდინარე, მშვიდი „დერბის" მოლოდინიც გვქონდა. ერთი შეხედვით, ფეხბურთელებს თავი მართლაც „არ გაუგიჟებიათ" და თამაშის უმოტივაციო შინაარსიდან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ მასპინძლები ძალიან დამწუხრებული დარჩნენ ზედიზედ მეორე წაგების გამო (იმავეს თქმა შეიძლება გამარჯვებისგან გამოწვეულ სტუმართა „სიხარულზეც"). თუმცა, ვერც „მეტალურგს" და ვერც „სიონს" ვერავინ გაამტყუნებს — ჩემპიონატის რეგლამენტი რომ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, პირველი ეტაპის ბოლო ტურმაც „დაადასტურა". ისე, გუშინდელ ქვემოქართლურ „დერბის" მაინც არ ჩაუვლია „უხმაუროდ" თუ „უემოციოდ": მატჩის დასრულებამდე დიდი დრო არ რჩებოდა, სათადარიგოთა სკამიდან ტრიბუნაზე ასვლამ რომ მოუწია სტუმართა თავკაცს **ხვიჩა ქასრაშვილს**. მიზეზი კი ის იყო, რომ ბოლნისელთა მთავარმა მწვრთნელმა ხმამაღლა გამოხატა პროტესტი არბიტრის ქმედების გამო: **ზვიად მეტრეველმა** უწყინარ სიტუაციაში გაფრთხილება მიიღო, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ „სიონის" ფორვარდს მომდევნო შეხვედრის გამოტოვება მოუწევს. მომდევნო მატჩი კი, გუშინდელისგან განსხვავებით, ბოლნისელთათვის მეტად და მეტად მნიშვნელოვანი იქნება (ისე როგორც — ყველა დანარჩენი). თუმცა, ალბათ, ჯობს, ისევ გუშინდელ „დერბის" დავუბრუნდეთ: კვლავაც არაოპტიმალური შემადგენლობით მოასპარეზე მასპინძლებმა მატჩი აქტიურად დაიწყეს და **გიორგი სეთურიძის** ზუსტი პასის მერე **ირაკლი სიხარულიძეს** კარგი მომენტი შეექმნა, მაგრამ მცირეოდენ არაზუსტად დაარტყა. სიხარულიძემ ეს „შეცდომა" მალე გამოასწორა და **ირაკლი მაისურაძესთან** გათამაშებული კომბინაცია მეტოქის კარის შორეულ კუთხეში ზუსტი დარტყმით დაამთავრა. ამ გოლის მერე მოედანზე მეტ-ნაკლებად თანაბარი თამაში წარიმართა, თუმცა სტუმრები დროდადრო სწრაფ და სახიფათო კონტრშეტევებსაც ახორციელებდნენ. აი, თუნდაც ის ეპიზოდი გავიხსენოთ, მარცხენა ფლანგიდან **თენგიზ ჩიკვილაძის** გადაცემას **ვილი ისიანი** რომ „გამოეხმაურა", მაგრამ მახვილი კუთხიდან არაზუსტად დაარტყა. თუმცა, რამდენიმე წუთში ანალოგიური კომბინაცია ვიხილეთ იმავე ფეხბურთელების შესრულებით და ისიანმაც ანგარიში გაათანაბრა. სულ მალე კი ბოლნისელებმა მეორე გოლიც გაიტანეს: **დავით ბოლქვაძემ**, როგორც სჩვევია, მოხდენილი პასით **ჯაბა უგულავა** ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა და „სიონის" 19 წლის ფორვარდმაც ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა. ისე, მასპინძელთა მომენტებიც უნდა ვახსენოთ, თუმცა **გიორგი ქავთარაძისა** და **ირაკლი მაისურაძის** მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია. მეორე ტაიმში მასპინძლები შესამჩნევად გააქტიურდნენ, „მეტალურგის" მთავარმა მწვრთნელმა **კობა ყორყიკაშვილმა** მოედანზე სამი შემტევიც (**ირაკლი მოდებაძე, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი ჭედია**) შემოიყვანა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. არადა, მასპინძლებს მონდომება ნამდვილად არ დაენუნებოდათ, მაგრამ **გიორგი ქავთარაძის, რევაზ გეწაძისა და მიხეილ მახვილაძის** დარტყმებს სიზუსტე აკლდათ. ნურც „სიონის" მეკარეს დავუკარგავთ გარჯას: 22 წლის **ვახტანგ ლობჟანიძეს** (ისე როგორც ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაში) ურიგო შთაბეჭდილება ნამდვილად არ დაუტოვებია. განსაკუთრებით კი ის ეპიზოდ(ებ)ი უნდა აღვნიშნოთ, როცა ლობჟანიძემ ერთწუთიან ინტერვალში გეწაძისა და მოდებაძის სახიფათო დარტყმები მოიგერია.

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი

**საბოლოო მდგომარეობა
I ეტაპის შემდეგ**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 22 | 17 | 3 | 2 | 45 | 17 | 54 |
| 2 | დინამო | 22 | 14 | 3 | 5 | 44 | 24 | 45 |
| 3 | ტორპედო | 22 | 13 | 4 | 5 | 33 | 19 | 43 |
| 4 | მეტალურგი | 22 | 9 | 6 | 7 | 25 | 26 | 33 |
| 5 | მერანი | 22 | 9 | 3 | 10 | 23 | 26 | 30 |
| 6 | ბაია | 22 | 8 | 4 | 10 | 21 | 26 | 28 |
| 7 | დილა | 22 | 7 | 5 | 10 | 29 | 28 | 26 |
| 8 | კოლხეთი | 22 | 6 | 8 | 8 | 19 | 24 | 26 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 22 | 6 | 7 | 9 | 23 | 27 | 25 |
| 10 | სპარტაკი | 22 | 6 | 6 | 10 | 22 | 32 | 24 |
| 11 | გაგრა | 22 | 6 | 3 | 13 | 21 | 32 | 21 |
| 12 | სიონი | 22 | 2 | 6 | 14 | 13 | 37 | 12 |

შენიშვნა: თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება:

1. *მოგებათა მეტი რაოდენობა;*
2. *ურთიერთშეხვედრები;*
3. *გატანილი და მილებული ბურთების უკეთესი სხვაობა;*
4. *გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;*
5. *სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;*
6. *ფეარ პლეი;*
7. *წილისყრა.*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| დვალი (ზესტაფონი) | 12 |
| ჩიხრაძე (დინამო) | 10 |
| ტატანაშვილი (მეტალურგი) | 9 |

8.03. ზუგდიდი. ბაიას ბაზა.
მაყურებელი

**ბაია 1**

**მერანი 0**

1:0 შ. ლომია (83. პენ.)

| ბაია 4-3-3 | მერანი 4-3-3 |
|---|---|
| სომხიშვილი | შეროზია |
| აფაქიძე | გეგეჭკორი |
| ტყებუჩავა | მელიავა |
| პაჭკორია | კიკალიშვილი |
| აკობია | იოგაშვილი |
| ტყემალაძე | დიდავა |
| სიხარულია | ფონიავა |
| შ. ლომია | ჩალაძე |
| კუტალია | ბოხუა |
| ენდელაძე | ამბროლაძე |
| გაბედავა | სუხიაშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. ტყებუჩავა | გ. ჟვანია |

**ბაია**

58. ენდელაძე – **ეხვაია**
67. სიხარულია – **ნ. შონია**
79. აკობია – **ქვარცხავა**

სათადარიგოები: ჯომიდავა, გამრეკლიძე, გუჯეჯიანი, კუკავა

**მერანი**

71. ბოხუა – **ტორაძე**
76. ჩალაძე – **პაპულია**
82 ამბროლაძე – **ტაპე**

სათადარიგოები: შენგელია, ჟვანია, ვართაგავა, ე. გრიგალაშვილი

გაფრთხილება: ბოხუა (34)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია



ფოტო: www.fctorpedo.ge

# სა 8 მარტოდ!

## ფოთში გუშინ კაცებსაც ულოცავდნენ: კოლხეთმა 8-იანი (შე)მოხაზა და (გა)დარჩა!

8.03. ფოთი. ფაზისი.
1 200 მაყურებელი

**კოლხეთი 0**

**ტორპედო 0**

| კოლხეთი 4-4-1-1 | ტორპედო 4-1-4-1 |
|---|---|
| ნადირაშვილი | მიგინეიშვილი |
| ფოფხაძე | რიგვავა |
| ცხვიტარია | კვახაძე |
| ლომაშვილი | გამეზარდაშვილი |
| გაბუნია | გურული |
| ქებაძე | დილმელაშვილი |
| პ. დათუნაიშვილი | დოლიძე |
| წურწუმია | გ. დათუნაიშვილი |
| პავლიაშვილი | კუხიანიძე |
| გველია | საბანაძე |
| ტულუში | რ. გოცირიძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| დ. მახარაძე | გ. გეგუჩაძე |

**კოლხეთი**

64. დათუნაიშვილი - **ცხადაია**
75. წურწუმია - **სიჭინავა**

*სათადარიგოები: ა. მიქაბერიძე, გ. კილასონია, ბოიომო, ხატიაშვილი, ციცხვაია*

**ტორპედო**

64. დოლიძე - **იოსელიანი**
76. კუხიანიძე - **ფირცხალავა**
86. გოცირიძე - **ფანცულაია**

*სათადარიგოები: ქვილითაია, ფარულავა, ლემონჯავა, ვ. ბოლქვაძე*

გაფრთხილება: კვახაძე (78)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)

... მატჩის ბოლო წუთებში „კოლხეთი“ უკვე დროის გაყვანაზე ფიქრობდა, რადგან საქართველოს ქალაქებში მიმდინარე კონკურენტთა შეხვედრებიდან ფოთელთათვის მისალები ცნობები მოვიდა. ყველაზე მთავარი იყო მცხეთიდან მოსული ინფორმაცია, რომ „ვიტ ჯორჯია“ აგებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ კოლხებს ფრეც აწყობდათ, ხოლო რისკზე წასვლა არ ღირდა — თუ გოლს მიიღებდნენ და „დილა“ „ცხინვალს“ ვერ გაუთანაბრებდა, ქვედა რვაეულში ვეტერინარებთან ერთად „კოლხეთიც“ მოხვდებოდა. როგორც უკვე იცით, ყველაფერი ფოთელთათვის კარგად დასრულდა — „კოლხეთი“ მოწინავე 8 გუნდში მოხვდა და თუ ევროსარბიელზე მოსახვედრად ბრძოლას ვერ შეძლებს, არც ლიგიდან გავარდნის საფრთხე დაემუქრება.

თუმცა ყველაფერი ასე იოლად არ მოსულა. მატჩის საწყისი წუთები მასპინძლებს კარგს არაფერს უქადდა, ისედაც ნათელი იყო, რომ „კოლხეთს“ ძალიან გაუჭირდებოდა. გარკვეულ პერიოდებში ქუთათურებმა თავისი თამაში მოახვიეს მეტოქეს და ბურთიც „დაუმალეს“. რამდენიმე ხიფათიც შექმნეს, თუმცა აქედანვე გეტყვით, რომ შეხვედრა მომენტებით დახუნძლული არ ყოფილა.

პირველი ხიფათი სტუმრებმა შექმნეს, მანამდეც აქტიურად მოთამაშე **გრიგოლ დოლიძე** მე-15 წუთზე დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანეს, ქუთათურთა 22-ე ნომერიც კარგად გაერკვა სიტუაციაში, მაგრამ კოლხთა მცველმა ბოლო მომენტში, ჯარიმის ზღვარზე „დაუფარა“ და თავისიანები გადაარჩინა.

მეტი ღირებული პირველ ტაიმში არაფერი მომხდარა, თუ შორეულ დარტყმებს არ ჩავთვლით. აქვე, კოლხთა სასახელოდ ისიც აღსანიშნავია, რომ ტაიმის მიწურულს ვითარების გამოსწორება და თამაშის გათანაბრება მოახერხეს.

უკვე მეორე ნახევარი ფოთელთა მცირეოდენი უპირატესობით დაიწყო, ბურთსაც უმეტესად „კოლხეთი“ აკონტროლებდა და აშკარა იყო, უფრო მოტივირებულები მასპინძლები რომ იყვნენ. ვერ ვიტყვით, რომ ქუთათურები ბოლომდე არ გახარჯულან, მაგრამ ისინი, გასაგები მიზეზების გამო, უფრო თავისუფლად, ფსიქოლოგიური ზეწოლის გარეშე და ლაღადაც თამაშობდნენ, თუმცა „კოლხეთმა“ დაამტკიცა, რომ ანგარიშგასაწევი ძალაა და მასთან იოლ გასეირნებას, მით უფრო, ფოთში არავინ უნდა ელოდეს.

ამის შემდეგ ხიფათს ძირითადად „კოლხეთი“ ქმნიდა: **ილია პავლიაშვილმა** ერთ ეპიზოდში ვერ ისარგებლა „ტორპედოს“ მცველთა შეცდომით, ხოლო მეორედ — მან ჩინებული გადაცემა კი გაუკეთა **ბექა ტულუშს**, მაგრამ ფორვარდის დარტყმულს ადგილზე დახვდა **ომარ მიგინეიშვილი**.

ეს უკანასკნელი რომ არა, „კოლხეთი“ მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე დაიმშვიდებდა თავს — ერთ-ერთი ჩაწოდებისას **დილმელაშვილმა** ბურთს თავი ისე გაჰკრა, ქუთათურთა მეკარის რეაქცია რომ არა, მატჩი უგოლოდ არ დასრულდებოდა.

ამის შემდეგ კი ის მძიმე წუთები იყო, როცა „კოლხეთს“ უკვე გოლი არ უნდა გაეშვა, რადგან „ვიტელთა“ მხრიდან ჩემპიონებისთვის ბოლო წუთებში ერთდროულად 2 გოლის გატანას („ზესტაფონი ამ დროისთვის კაცნაკლულ „ვიტ ჯორჯიას“ 1:0-ს უგებდა) არავინ მოელოდა. ასეც მოხდა და „კოლხეთი“ მოწინავე 8 გუნდში მოხვდა. უნდა ითქვას, ღირსეულადაც — **დავით მახარაძის** შეგირდებს წელს გამართული 4 შეხვედრიდან ერთხელაც არ წაუგიათ — 2-ჯერ მოიგეს და ამდენჯერვე ფრედ ითამაშეს.

**მამუკა ქანთარია**
ფოთიდან

8.03. მცხეთა. მცხეთა პარკი.
400 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია 0**

**ზესტაფონი 1**

0:1 გორგიაშვილი (70)

| ვიტ ჯორჯია 4-2-3-1 | ზესტაფონი 4-4-2 |
|---|---|
| ძაძამია | რ. კვასხვაძე |
| ხურცილავა | თ. გრიგალაშვილი |
| ადამაძე | კობახიძე |
| კასრაძე | გ. ონიანი |
| ლანიაშვილი | ელიავა |
| ვასაძე | რაჟამაშვილი |
| გურამ გურეშიძე | მენთეშაშვილი |
| კორიფაძე | გორგიაშვილი |
| ჯანელიძე | შარიქაძე |
| ზაქრაძე | მუჯირი |
| კუხალეიშვილი | წინამძღვრიშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ზ. ბერიძე | გ. ჭიაბრიშვილი |

**ვიტ ჯორჯია**

34. ზაქრაძე – **რეჭია**
49. ადამაძე – **გოგიაშვილი**
83. კუხალეიშვილი – **ვაშაკიძე**

*სათადარიგოები: ჯავაშვილი, დავლაშელიძე, ჯულელი, ჯაყელი*

**ზესტაფონი**

57. რაჟამაშვილი – **სამუშია**
67. წინამძღვრიშვილი – **ს. ლომია**
78. მენთეშაშვილი – **გ. ბერაია**

*სათადარიგოები: მამალაძე, საჯაია, გაგოშიძე, ჭანტურიშვილი*

გაფრთხილება: ლანიაშვილი (26), შარიქაძე (27), კვასხვაძე (32), ლომია (90)

გაძევება: ძაძამია (32)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

# განაჩენი პირველივე ტაიმში

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო: www.fczestaffoni.ge

"ვიტ ჯორჯია" პირველი ეტაპის ბოლო ტურის წინ ძალიან რთულ მდგომარეობაში იყო – გამარჯვება სჭირდებოდა და თანაც, კონკურენტთა შედეგებზე იყო დამოკიდებული. პარალელურად მიმდინარე მატჩებში ვეტერინართათვის სასურველი შედეგები კი დაფიქსირდა, მაგრამ ათი კაცით დარჩენილი ვიტელები საკუთარ თავს ვერ გადაახტნენ და "ზესტაფონმა" მინიმალურად, მაგრამ დამაჯერებლად გაიმარჯვა.

მასპინძლებს დისკვალიფიკაციის გამო მთავარი ცენტრფორვარდი **ბესიკ ჩიმაკაძე** არ ჰყავდათ, რაც მათ წინა ხაზს შეეტყო კიდეც. სტუმრებმა კი კვლავაც რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე ითამაშეს – სხვადასხვა დაზიანების გამო "ზესტაფონს" **ჯაბა დვალი, შოთა გრიგალაშვილი, თორნიკე აფციაური, შოთა ბაბუნაშვილი, ალექსი ბენაშვილი** და **თემურ ღონღაძე** აკლდნენ. ალარაფერს ვამბობთ დიდი ხნის წინ დაშავებულ **გიორგი ხიდეშელსა** და **აბაიომი ოვონიკოკოზე,** რომლებმაც, სხვათა შორის, მატჩამდე დვალთან ერთად "მცხეთა პარკის" მოედანზე ინდივიდუალურად ივარჯიშეს. წინა მატჩში ჰეთ-თრიქის შემსრულებელი დვალი თავს უკვე კარგად გრძნობს, მაგრამ მისი ხელოვნურ საფარზე თამაში მიზანშეწონილი არ იყო.

"ვიტ ჯორჯიას" შეხვედრა ურიგოდ არ დაუწყია და თამამად შეუტია. სახიფათო მომენტებამდე საქმე არ მისულა, მაგრამ ვეტერინარებს წარმატების შანსი აშკარად ჰქონდათ. ყველაფერი თავდაყირა დადგა 32-ე წუთზე, როცა "ვიტ ჯორჯიას" მეკარე **გიორგი ძაძამიამ** მასთან პირისპირ გასული **დავით რაჟამაშვილი** "უკანასკნელი იმედის ჯარიმით" წააქცია და სამართლიანად მიიღო წითელი ბარათი. შესვენებამდე ნიშანდობლივი ალარაფერი მომხდარა, მეორე ტაიმი კი დიდი ვერაფერი სანახაობა გამოდგა, თუმცა რამდენიმე ეპიზოდის გახსენება მაინც შეგვიძლია.

"ზესტაფონის" უპირატესობა რიცხობრივ უმრავლესობაში დარჩენისთანავე გამოიკვეთა და რაჟამაშვილმა და **რატი წინამძღვრიშვილმა** ორ-ორი კარგი მომენტი გაუშვეს ხელიდან. აქტიური იყო **დავით მუჯირიც,** რომელმაც საქართველოში დაბრუნების შემდეგ საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. მისი რამდენიმე გადაცემის ნახვა ერთ რამედ ღირდა, მატჩის მიწურულს კი მცირედი დააკლდა ეფექტური გოლის გატანამდე.

გამარჯვების გოლი კი ასე გავიდა – **თორნიკე გორგიაშვილმა** მეტოქის დაცვის შეცდომით ისარგებლა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და ბურთი დაბალ კუთხეში შეაგორა.

დარჩენილ წუთებში ნათელი იყო, რომ "ვიტ ჯორჯიას" ქულის მოპოვებაც გაუჭირდებოდა. მასპინძლები ბოლოსკენ ბედს შეგუებულები ჩანდნენ, "ზესტაფონმა" კი ამჯერადაც გამოუსადეგარი სამი ქულა მოიპოვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**
მცხეთა-თბილისი

8.03. თბილისი. დინამო არენა.
მაყურებელი

**გაგრა 1**

**დინამო 2**

0:1 მერებაშვილი (30), 1:1 ჯერემია (44), 1:2 მერებაშვილი (90)

| გაგრა 4-5-1 | დინამო 4-3-3 |
|---|---|
| ბეგაშვილი | სეფიაშვილი |
| ჯგერენაია | ტვილდიანი |
| ტყემელაშვილი | კვეკვესკირი |
| კალანდაძე | გ. რეხვიაშვილი |
| ნ. ჯიმკარიანი | ხმალაძე |
| ხუციძე | ძარია |
| ხოჯაშვილი | ალვარო |
| ჭკუასელი | კოშკაძე |
| ყურულაშვილი | ანდრეუ |
| სარდალიშვილი | კოტო |
| ჯერემია | მერებაშვილი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ზ. ჯელაძე | გ. დევდარიანი |

**გაგრა**

36. ხოჯაშვილი – **კვანტალიანი**
80. სარდალიშვილი - **ყიფიანი**

**დინამო**

46. კოშკაძე – **გოგუა**
46. ანდრეუ – **ჩისკო**
55. რეხვიაშვილი - **თომაშვილი**

გაფრთხილება: ხუციძე (29), ჩისკო (74)



გიორგი მერებაშვილმა (№10) დუბლი შეასრულა — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელის, „დინამოს“ ყოფილი მეკარის

**რამაზ ურუშაძის**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს ოჯახს.

**ქართული ფეხბურთი**

ევრო 2020. საქართველო-აზერბაიჯანი

# მონდომება დიდია, რჩება საქმე...

**მიხეილ სააკაშვილის განცხადებამ, რომ საქართველო და აზერბაიჯანი ევრო 2020-ის მასპინძლობისთვის ერთობლივ განაცხადს შეიტანენ, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ორივე ქვეყანაში. რა მოთხოვნების დაკმაყოფილებაა აუცილებელი?**

**შარშან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თბილისში 2012 ან 2013 წელს ევროპის ლიგის ფინალის ჩატარების პრეტენზია რომ გამოთქვა, უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ განაცხადა: "თქვენი მონდომება ძალიან დიდია და მე მას ვაფასებ, მაგრამ აუცილებლად უნდა შეიქმნას საჭირო პირობები".**

**ცხადია, ბევრად მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ევროპის ჩემპიონატის მსურველი კანდიდატებს.**

## სტადიონები

უეფა კანდიდატებისგან მინიმუმ 8 ელიტკატეგორიის სტადიონის წარდგენას ითხოვს: გახსნისა და ფინალური მატჩები უნდა გაიმართოს მინიმუმ 50-ათასიან სტადიონზე, სამი უნდა იყოს 40-ათასიანი, ოთხიც - 30-ათასიანი. ამ რაოდენობაში არ იგულისხმება ადგილები ვიპ, სტუმართა და ჟურნალისტთა ლოჟებში. სტადიონზე უნდა იყოს მინიმუმ 24 სატელევიზიო კამერის განსათავსებელი ადგილი, რომლითაც ტურნირის მაღალ დონეზე ჩვენება იქნება გარანტირებული. უცილებელია ელექტრონული ბილეთების სისტემის დანერგვა. თითოეულმა ქვეყანამა მინიმუმ 4 სტადიონი უნდა წარადგინოს, ერთიც – სარეზერვო.

## ბაზები

ჯერ უცნობია, ევროპის 2020 წლის ჩემპიონატზე რამდენი გუნდი ითამაშებს. დღევანდელი რაოდენობაც (24) რომ არ გაიზარდოს, საქართველოსა და აზერბაიჯანს 12-12 გუნდის მასპინძლობა მოუწევთ. თითოეულ გუნდს უნდა ჰქონდეს სავარჯიშო სტადიონისა და მოედნის არჩევის საშუალება. თანაც ყველა ელიტკატეგორიის უნდა იყოს.

თბილისის "დინამოს," ეროვნული ნაკრების, "ზესტაფონისა" და "ტორპედოს" ბაზები - ძალიან მალე ეს ბაზები ელიტ კატეგორიის მოთხოვნას დააკმაყოფილებს.

## სასტუმროები

ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნები დაახლოებით 3-დან 5 მილიონამდე ტურისტსა და სტუმარს მასპინძლობს. უეფას მოთხოვნები ძალიან მკაცრია. სადღეისოდ, თბილისში მაღალი კატეგორიის სასტუმროებია "შერატონ მეტეხი პალასი", „რედისონი", "ქორთიარდ მერიოტი", "თბილისი მერიოტი", „ჰოლიდეი ინი"; მშენებარე და პროექტშია კიდევ რამდენიმე - "კემპინსკი", "ინტერკონტინენტალი", "ჰილტონი". მაგრამ ბათუმში და განსაკუთრებით ქუთაისში 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო ჯერჯერობით ცოტაა. ამას გარდა, საჭიროა ბევრი მცირე სასტუმრო, ჰოტელი და B&B-ს ტიპის „სადგომი".

## აეროპორტები და ქვეყნის ინფრასტრუქტურა

"მარტო კარგი სტადიონი არ კმარა. ასეთი დონის ფინალის მასპინძლობა აეროპორტიდან იწყება" – მიანიშნა პლატინიმ თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე. მართლაც, საქართველოში განსაკუთრებულად მწვავე პრობლემაა აეროპორტის გამტარუნარიანობა და მომსახურების ხარისხი. მარტო ევროპის ლიგის ფინალის დღეს მინიმუმ 100 ჩარტერული რეისი უნდა შესრულდეს, ევროპის ჩემპიონატის დროს კი გაცილებით მეტი მოგვეთხოვება. აუცილებელია აეროპორტების, მაგისტრალებისა და ტრანსპორტის (საზღვაო პორტებისა და სარკინიგზო სადგურების) მუშაობის გაუმჯობესება. მაგრამ მთავარი კრიტერიუმი მათი ხარისხი იქნება.

„ვიცით, რომ ინფრასტრუქტურა მოსაწესრიგებელია. ამიტომ ამ მიმართულებით მუშაობას დავიწყებთ", - განაცხადა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა **რამაზ ნიკოლაიშვილმა**.

## საკანონმდებლო ბაზა

უეფა მასპინძელი ქვეყნისგან საკანონმდებლო ბაზის შესაბამისობაში მოყვანასაც ითხოვს: ტურნირის დროს არ უნდა დაიბეგროს უეფას ეგიდით გაყიდული პროდუქცია (სპორტული ატრიბუტიკა, გამაგრილებელი სასმელები), სარეკლამო ბანერები, შემოსავლები ბილეთებიდან...

სტადიონზე დარღვევისთვის სასჯელიც ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოსთვის მისაღები და ლიბერალური უნდა იყოს. მაგალითად, ბოთლის სტადიონზე სროლისთვის არ უნდა მიესაჯოს თუნდაც ხანმოკლე პატიმრობა.

ერთიც: უეფა მკაცრად ითხოვს სტადიონზე შესვლის დროს გულშემატკივრის გაჩხრეკას. ეს კი თურმე, ქართული კანონმდებლობით აკრძალულია. ამ ხარვეზის მოგვარება შედარებით ადვილია.

## სპორტული მიღწევები

ცხადია, უეფა ყურადღებას აქცევს მასპინძლობის მოსურნე ქვეყნების სპორტული შედეგებსაც. ამ კუთხით აზერბაიჯანი და საქართველო კონკურენტებს აშკარად ჩამოუვარდებიან.

ცხადია, თემას აზერბაიჯანშიც აქტიურად განიხილავენ: ევრო 2020-ის მასპინძელს უეფა 2014 წელს გამოავლენს. მანამდე კი მეზობელ კავკასიურ სახელმწიფოებს საშუალება ექნებათ, „ბებერი კონტინენტი" თავიანთი განაცხადის მიზანშეწონილობაში დაარწმუნონ.

## ისევ დაწყევლილი პოლიტიკა

უეფა მასპინძლის შერჩევისას ყურადღებას პოლიტიკურ ფაქტორსაც აქცევს: მასპინძელი საომარ მდგომარეობაში არ უნდა იმყოფებოდეს. სამწუხაროდ, ჩვენთვის აფხაზეთ-სამაჩაბლო, აზერბაიჯანისთვის კი ყარაბახი ჯერაც მოურჩენელი ტკივილია. რუსეთი ამ შემთხვევაშიც ჩვენი განაცხადის მინუსია... სამწუხაროდ, "გაზპრომი" ყველგან ანათებს.

## გარანტიები

უეფაში მხოლოდ კანდიდატურის წარდგენა არ არის საკმარისი. საამისოდ სავალდებულოა აზერბაიჯანმა და საქართველომ უეფაში წარადგინონ მყარი სამთავრობო ფინანსური და ყველა ზემოხსენებული მოთხოვნის შესრულების გარანტიები. ყველაფერი კი უნდა მოესწროს 2014 წლამდე როდესაც მასპინძელი ქვეყანა გაირკვევა. გაჯიბრება კი თურქეთთან, ჰოლანდიასთან, ბელგიასთან, რუმინეთ-ბულგარეთთან, ჩეხეთ-სლოვაკეთთან, ბოსნია-ხორვატია-სერბეთთან და ირლანდია-შოტლანდია-უელსთან მოგვიწევს.

ერთხელ უოლტ დისნეიმ თქვა: მთავარია, მთვარეზე მოხვედრას ეცადო და თუ ამას ვერ შეძლებ, ვარსკვლავებს შორის მაინც იტრიალებო. დრო გვაჩვენებს, ვარსკვლავებს შორის მოვხვდებით თუ მთვარეზე. მთავარია, თავად ეს სურვილი ქართულ ფეხბურთს წაადგება. იმედია, 2014 წლისთვის დღევანდელზე მეტი და უკეთესი სტადიონები, ბაზები, სასტუმროები და ინფრასტრუქტურა გვექნება.

**მერაბ მამულაშვილი**

## ზვიად სიჭინავა: ევრო 2020-ის საქართველოში ჩატარება საკმაოდ რეალურია!

„2020 წლისთვის საქართველოში ევროპის ჩემპიონატის ჩატარება საკმაოდ რეალურია", - ამის შესახებ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ 8 მარტს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც ზვიად სიჭინავამ განაცხადა, ფედერაციას მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად სახელმწიფოს დახმარება დასჭირდება. მისი ცნობით, 2014 წლისთვის უნდა არსებობდეს ჩამოყალიბებული გეგმა, რომელიც წარედგინება უეფას, თუ საქართველოს რომელ ქალაქებში გაიმართება ჩემპიონატი.

როგორც სიჭინავამ განაცხადა, ლაპარაკია ხუთ ქალაქზე - თბილისზე, ბათუმზე, ქუთაისზე, ორი ქალაქი კი სამომავლოდ დაკონკრეტდება. თამაშების გასამართ ქალაქებზე ერთ-ერთი კითხვის პასუხად ისიც კი აღნიშნა, რომ ამ ქალაქებს შორის შესაძლოა, ლაზიკაც იყოს..

მისი განცხადებით, უეფას მოთხოვნების თანახმად, ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის საჭიროა 12 სტადიონისა და 24 საცხოვრებელი ბაზის აშენება, რაც დიდ სამუშაოებთან არის დაკავშირებული.



ზვიად სიჭინავა

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის თქმით, ევროპის ჩემპიონატის საქართველოში ჩატარება ქართული ფეხბურთისთვის ერთგვარი გამოწვევაა.

„ეს არის ერთგვარი გამოწვევა ქართული ფეხბურთისთვის, ფედერაციას კი მოუწევს დიდი სამუშაოების გაწევა", - განაცხადა ზვიად სიჭინავამ.

ასევე, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ინფორმაციით, უახლოესი ორი კვირის განმავლობაში თურქეთში უეფას კონგრესის ფარგლებში ქართული და აზერბაიჯანული მხარეების წარმომადგენლები შეიკრიბებიან და სამომავლო სამუშაოებზე იმსჯელებენ.

7 მარტს აზერბაიჯანის მილი-მეჯლისში სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო და აზერბაიჯანი ფეხბურთში ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის ერთობლივად მასპინძლობის შესახებ უეფაში განაცხადს შეიტანენ.

უეფამ „ევრო-2020"-ის მასპინძელი ქვეყანა 2014 წელს უნდა დაასახელოს.

*ინტერპრესნიუსი (WWW.IPN.GE)*

ინტერვიუ




## დავით სირაძე
# ნაკრებში არგამოძახებას ვერ შევეგუები

**უკვე მესამე მატჩია, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია დავით სირაძეს შეკრებებზე აღარ იწვევს. საბერძნეთთან, მოლდოვასთან და ალბანეთთან მატჩებმა გამოცდილი თავდამსხმელის გარეშე ჩაიარა. ამის გამო ევროშესარჩევ ციკლში ყველაზე მეტი გოლის გამტანი მოთამაშე გაკვირვებული და უკმაყოფილოა.**

**დავით სირაძეს ინტერვიუ სწორედ სანაკრებო თემაზე ჩამოვართვით.**

**- ნაკრებში არგამოძახებას შეეგუე?**

- ამას ვერასოდეს შევეგუები. მაგრამ მიზეზს ვერ ვხედავ და ვერ ვხვდები, ნაკრების მწვრთნელის გულისწყრომა რითი დავიმსახურე. საერთოდ ჩამომაშორეს ნაკრებსაც და რაც ყველაზე გულდასაწყვეტია, არავინ არსად მახსენებს, არც ტრავმირებულებში და არც გამოსაძახებლებში. რატომ, დავაშავე რამე?

**- ქეცბაია ემოციური კაცია და იქნებ, შენგან რაიმე ეწყინა?**

- ვერ ვხვდები, ჩემგან რა უნდა წყენოდა? ფეხბურთელი ვარ და ნაკრებში გამოუძახებლობაც მე მწყინს. არც კონფლიქტური ვარ და არც მწვრთნელთან დაპირისპირება მქონია აზრად, მაგრამ ჩემი გულისტკივილი არ უნდა ვთქვა? არა მგონია, ამის ხმამაღლა თქმა გამაღიზიანებელი იყოს. როდესაც ნაკრებში დანიშნეს, ქეცბაია ამბობდა, ფეხბურთელს არ უნდა აკმაყოფილებდეს მხოლოდ ნაკრებში გამოძახება, თამაშის ამბიციაც უნდა ჰქონდესო.

**- მიწვევის იმედიც აღარ გაქვს?**

- ნაკრებში თამაშის იმედი ყოველთვის მექნება. მთავარია, რომ ნაკრებში "ცარიელი ადგილი" არ ვყოფილვარ და გოლებიც გამქონდა. რუსეთის პრემიერლიგაში ვთამაშობ და არა დაბალი დონის ჩემპიონატში, ნალჩიკის "სპარტაკის" ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ მთვლიან. გუნდს რომ არ ვჭირდებოდე, იცით, რა იოლად შემელეოდნენ? შესაძლოა, "სპარტაკი" რუსეთის პრემიერლიგაში ერთ-ერთი ღარიბი კლუბია, მაგრამ იმდენი ფინანსები მაინც აქვს, სასურველი მოთამაშეები რომ მიიწვიოს.

**- თუ იმსახურებ, რატომ არ გიწვევს ქეცბაია? ემოციურია, მაგრამ უწესობას ვერავინ დაწამებს.**

- შეიძლება, უწესობის გამო არ გამოიძახო, მაგრამ ფეხბურთში არგამოძახების კიდევ ბევრი მიზეზი არსებობს. ხომ უნდა თქვა და აუხსნა მოთამაშეს და გულშემატკივარს, ამა და ამის გამო აღარ მჭირდება სირაძეო. მაგრამ მსგავსი არაფერი თქმულა. ფეხებზე დაკიდებაა, როცა აღარავინ გიკავშირდება და არ გახსენებენ.

ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ნაკრებში არასოდეს ვყოფილვარ. კიდევ ვიმეორებ, რა იყო პოლონეთთან ამხანაგურ მატჩზე ჩემი ჩამოუსვლელობის მიზეზი: ნაკრებში თამაშისთვის თავი ნაღდად არ ამირიდებია, ეს აბსურდია. ვიზის აღებას ვერ ვასწრებდი. არც უთამაშებელი ვყოფილვარ, როგორც ამბობდნენ. რუსეთის პრემიერლიგაში ვინ თამაშობს და ვინ არა, ამის გაგება ადვილია. და კიდევ, ხორვატებთან სტუმრად თამაშისას ქეცბაიასთვის შეცვლა არ მითხოვია.

**- ალბანეთთან საქართველოს ნაკრების თამაშს ნახავდი. რა შთაბეჭდილება დაგრჩა?**

- სამწუხაროდ, ვერ ვუყურე, მაგრამ ძალიან გამიხარდა, გუნდმა წელი გამარჯვებით რომ დაიწყო. არავინ იფიქროს, რადგან არ მიწვევენ, ნაკრების წარმატება მწყინს. ეს ჩვენი ქვეყნის ნაკრებია და მისი თითოეული გამარჯვება ჩემთვის ძვირფასია.

აქვე კიდევ ერთხელ ვიტყვი გუჯა რუხაიაზე: მას ჩემზე კარგად არავინ იცნობს და დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნაკრებს დიდ ძალას შემატებდა. რამდენი ხანია ვუყურებ და ძალიან საჭირო მოთამაშეა. ასევე ვფიქრობ გოგიტა გოგუაზე, ის ნაკრებში თამაშს იმსახურებს, რაც არაერთხელ დაამტკიცა.

**- ლადო დვალიშვილის შესახებ რას იტყვი? ახლა მას ნაკრებში მძიმე დღეების გადატანა მოუხდა.**

- ლადო ჩემი მეგობარია და გულწრფელად ვგულშემატკივრობ. ყოველთვის მქონდა მისი იმედი და დარწმუნებული ვარ, მალე ისევე დაიწყებს გატანას, როგორც პირველი სანაკრებო მატჩების დროს. იქნებ, ეს ვინმეს დაავიწყდა? ნაკრებში პირველად რომ გამოიძახეს, ყველას დიდი იმედი გაუჩნდა, რადგან ბევრი გაჰქონდა. პენალტის გაფუჭება და დათარსული პერიოდი კი ყველაზე ცნობილ თავდამსხმელებსაც ჰქონიათ და ლადოს ახლა გამხნევება და თანადგომა უფრო სჭირდება, ვიდრე ხელის კვრა და ძაგება.

**- ნალჩიკის "სპარტაკმა" სეზონი წარუმატებლად დაიწყო და "ვოლგასთან" წააგო. შენი აზრით, გუნდს პრემიერლიგაში დარჩენის რა შანსი აქვს?**

- "ვოლგასთან" არახელსაყრელ პირობებში ვითამაშეთ. ჯერ ერთი, მატჩი ხელოვნურ საფარზე ჩატარდა, სადაც "ვოლგა" ემზადებოდა. ჩვენ კი ანტალიიდან მატჩის წინადღეს ჩამოვფრინდით და მინდორზე ვარჯიშები! შემდეგ ხალიჩაზე თამაში გაგვიჭირდა. მეორეც, სითბოდან უცებ სიცივეში მოვხვდით და ჩვენი შესაძლებლობები ვერ ვაჩვენეთ, მაგრამ პრემიერლიგაში დარჩენის იმედი გვაქვს და ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

გერმანია. ბუნდესლიგა. პარასკევის მატჩის წინ

# გააგრძელებს შტუტგარტი აღმაფრენას?

## 4:1 ფრაიბურგთან, 4:0 ჰამბურგში! რა ელის კაიზერსლაუტერნს?





**დღეს**

**შტუტგარტი-კაიზერსლ. 23:30**

**პირველ წრეში: 2:0**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** დელპიერი, აუდელი, ბა, ტრაორე – ბუგერა, კუემაა

ერთკვირიანი პაუზის შემდეგ, ბუნდესლიგაში პარასკევის მატჩი დაბრუნდა: გერმანიის ჩემპიონატის 25-ე ტური დღეს „მერსედეს-ბენც-არენაზე“ გასამართავი მატჩით გაიხსნება, რომელშიც ძალიან კარგ ფორმაში მყოფი და ევროპის ლიგის საგზურისთვის მებრძოლი „შტუტგარტი“ უმძიმესი წნეხის ქვეშ მოქცეულ „კაიზერსლაუტერნს“ მასპინძლობს.

„შტუტგარტმა“ ბოლო ტურებში საკუთარი თამაში იპოვნ: **ბრუნო ლაბადიას** გუნდს უკანასკნელი ოთხი მატჩიდან სამი მოგებული აქვს და თანაც, ამ ოთხ შეხვედრაში შვაბებმა 15 გოლის გატანა მოახერხეს. აქედან, ბოლო ორი გამარჯვება ძალიან ხმაურიანი გამოუვიდათ: ჯერ „ფრაიბურგი“ გაანადგურეს 4:1, მერე კი, წინა ტურში „ჰამბურგს“ სტუმრად 4:0 აგემეს. განსაკუთრებით გემრიელი სწორედ ეს მოგება გახლდათ, რადგან „შტუტგარტმა“ გასვლითი თამაშის მოგება ხანგრძლივი პაუზის შემდეგ შეძლო და თან საუკეთესო ექვსეულს, საიდანაც ევროპის ლიგაში გადიან, 4-ქულიან დისტანციამდე მიუახლოვდა.

ფაქტია, რომ ლაბადიას გუნდის ბოლოდროინდელი აღმაფრენა წინა ხაზის დამსახურებაა: „შტუტგარტს“ 2012 წელს 18 გოლი აქვს გატანილი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ 18 გოლიდან 8 ავსტრიელი ნახევარმცველის(!), **მარტინ ჰარნიკის** ანგარიშზეა. ჯამში კი, ჰარნიკს უკვე 14 გოლი აქვს და ბომბარდირთა დავაშიც გამოჩნდა (საუკეთესოებს, **მარიო გომესსა** და **კლაას-იან ჰუნტელაარს** 4 გოლით ჩამორჩება). გატანა დაიწყო იანვარში „ჰოფენჰაიმიდან“ ნაყიდმა ფორვარდმა **ვედად იბიშევიჩმაც**.

შედარებისთვის, „კაიზერსლაუტერნს“ მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ 16 გოლი აქვს გატანილი და „ეშმაკებმა“ მეტოქის კარის ბადე ვერც წინა ტურში შეარხიეს (0:0 „ვოლფსბურგთან“). მიუხედავად აღებული ქულისა, „ლაუტერნი“ ბოლო ადგილზე დაქვეითდა და გერმანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დიდი შანსია, რომ თუ 1. FCK დღესაც წააგებს, გუნდის ხელმძღვანელები მთავარ მწვრთნელ **მარკო კურცს** გაათავისუფლებენ.

**გოტფრიდ ლენცი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 24 | 17 | 4 | 3 | 52-16 | 55 |
| 2. ბაიერნი | 24 | 15 | 3 | 6 | 51-16 | 48 |
| 3. ბორუსია (მ) | 24 | 14 | 5 | 5 | 37-15 | 47 |
| 4. შალკე | 24 | 14 | 2 | 8 | 51-32 | 44 |
| 5. ლევერკუზენი | 24 | 11 | 7 | 6 | 36-29 | 40 |
| 6. ვერდერი | 24 | 10 | 6 | 8 | 37-38 | 36 |
| 7. ჰანოვერი | 24 | 8 | 11 | 5 | 30-32 | 35 |
| ***8. შტუტგარტი*** | ***24*** | ***9*** | ***5*** | ***10*** | ***41-33*** | ***32*** |
| 9. ნიურნბერგი | 24 | 9 | 4 | 11 | 23-32 | 31 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 24 | 7 | 9 | 8 | 27-28 | 30 |
| 11. ვოლფსბურგი | 24 | 8 | 4 | 12 | 28-44 | 28 |
| 12. მაინცი | 24 | 6 | 9 | 9 | 35-38 | 27 |
| 13. ჰამბურგი | 24 | 6 | 9 | 9 | 28-42 | 27 |
| 14. კიოლნი | 24 | 7 | 4 | 13 | 31-46 | 25 |
| 15. ჰერტა | 24 | 5 | 8 | 11 | 26-40 | 23 |
| 16. აუგსბურგი | 24 | 4 | 10 | 10 | 25-39 | 22 |
| 17. ფრაიბურგი | 24 | 5 | 6 | 13 | 30-52 | 21 |
| ***18. კაიზერსლ.*** | ***24*** | ***3*** | ***10*** | ***11*** | ***16-32*** | ***19*** |

**ბომბარდირები:** 18 – გომესი (ბაიერნი), ჰუნტელაარი (შალკე); 16 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/), პოდოლსკი (კიოლნი); 15 – პისარო (ვერდერი); 14 – ჰარნიკი (შტუტგარტი); 13 – როისი (ბორუსია /მ/); 11 – აბდელაუ (ჰანოვერი), რაული (შალკე).

რეინჯერსი



ელექტრონული ბიბლიოთეკა

პოლ მიურეი (მარჯვნივ) რეინჯერსის გადარჩენის გეგმებს აწყობს

# ლურჯი რაინდები ღირსების სადარაჯოზე

"რეინჯერსის" ყოფილმა დირექტორმა **პოლ მიურეიმ** ოფიციალურად განაცხადა კონსორციუმ "ლურჯი რაინდების" დაარსების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს, კლუბი ამჟამინდელი მფლობელის **კრეიგ უაიტისგან** გამოისყიდოს. "ჩაფრების" მოქმედი ადმინისტრაცია მიურეისა და მისი ბიზნესპარტნიორებისგან ოფიციალურ წინადადებას უახლოეს დღეებში მიიღებს. მიურეის თქმით, "რეინჯერსის" რიგი მენილეების მტკიცება იმის თაობაზე, რომ კლუბს გარდაუვალი ლიკვიდაცია ელის, საფუძველს მოკლებულია. ამასთან, ის აცხადებს, რომ როდის გაფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის და რა სახის ვერდიქტს გამოიტანს მსგავსი დავების განმხილველი სპეციალური ტრიბუნალი. ასევე დამოკიდებულია იმაზე, თუ რას გადაწყვეტს თემიდა კომპანია "ტიკეტუსის" მიერ "რეინჯერსის" სახელზე გაცემული 24 მილიონი ფუნტის სესხზე, რომლის დაფარვას უაიტი სეზონური აბონემენტების გაყიდვიდან მიღებული ფულით ვარაუდობდა და რისი საბუთებიც კლუბის ბუღალტერიაში საერთოდ არ არის გატარებული. "რეინჯერსის" ამჟამინდელი მმართველები კომპანია Duff and Phelps-დან, აცხადებენ, რომ ბოლო ვადა, როცა ისინი კლუბის შეძენაზე განაცხადს მიიღებენ, 16 მარტია. *"ბატონები პოლ კლარკი და დევიდ უაიტჰაუზი "რეინჯერსში" უკვე 3 კვირაა, რაც ინტენსიურად მუშაობენ. ამ დროის განმავლობაში მათ უკვე სამჯერ შევხვდი. ისინი შემპირდნენ, რომ მაქსიმალურ ინფორმაციას მომაწოდებენ კლუბში არსებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ჩემი აზრით, გამოსავლის მონახვა ნამდვილად შეიძლება. მათ შეშფოთებას ვეთანხმები, მაგრამ ვერ გავიზიარებ მოსაზრებას, რომ კლუბს გარდაუვალი კრახი ელის. კლარკთან და უაიტჰაუზთან კონსულტაციების შემდეგ მე უკვე დავიწყე მოლაპარაკებები კრედიტორებთან"*, – აცხადებს მიურეი.

სიტუაციას მეტისმეტად ართულებს გაწელილი მოლაპარაკებები კლუბის ადმინისტრაციასა და ფეხბურთელებს შორის. ამ უკანასკნელთაგან ითხოვენ, რომ თავიანთი ნებით თქვან უარი ანაზღაურების სოლიდურ ნაწილზე - ყველაზე ძვირადანაზღაურებადი ფეხბურთელებისგან 75%-ზე, საშუალო ხელფასის მქონეთაგან – 50%-ზე და ყველაზე დაბალხელფასიანთაგან - 25%-ზე. ბუნებრივია, ეს მხოლოდ დაუდასტურებელი ინფორმაციაა. გეგმა ასეთი იყო: თუკი ყველაფერი გამოვიდოდა, "რეინჯერსს" "აიბროქსზე" და საწვრთნელ ბაზა "მიურეი პარკზე" კადრების შემცირება არ მოუწევდა. თუმცა ფეხბურთელთა უმეტესობა უარზეა. მათ თავიანთი მოთხოვნები აქვთ. სანაცვლოდ ზოგი ზაფხულზე თავისუფალი აგენტის სტატუსს ითხოვს, ზოგი - კონტრაქტში შემცირებული სატრანსფერო ღირებულების დაფიქსირებას. ჯერჯერობით შედეგი არც ერთ ფეხბურთელთან მოლაპარაკებას არ გამოუღია.

**ლევან ბიბილაშვილი**

ასოციაციის თასი. მეხუთე ეტაპი

# დეზების ძვირი გამარჯვება

**ტოტენჰემი–სტივენიჯი 3:1**

**ტოტენჰემი:** კუდიჩინი, ნელსენი, დოუსონი (9. უოლკერი), კაბული, როუზი, ლენონი (38. ადებაიორი), პარკერი, კრანჩარი (81. ლივერმორი), ბეილი, ვან დერ ვაარტი, დეფო

**სტივენეიჯი:** დეი, ჰენრი, ეშტონი, რობერტსი, ლეირდი, უილსონი, ბაირომი, ბოსტვიკი, ჩარლზი (62. მაირი-უილიამსი), ბერდსლი (62. რიდი), შროტი

**გოლები:** 0:1 ბაირომი (4), 1:1 დეფო (26), 2:1 ადებაიორი (55) პენ, 3:1 დეფო (75)





მაიკლ დოუსონი ტოტენჰემს დიდხანს ვერ დაეხმარება

**ჟერმეინ დეფოს** დუბლისა და **ემანუელ ადებაიორის** პენალტის წყალობით "ტოტენჰემმა" ინგლისის თასის 1/4-ფინალის საგზური დაიბევა. მატჩი ჩრდილოლონდონელებისთვის მძიმედ დაიწყო. უკვე მე-4 წუთზე **ჯოელ ბაირომმა რაიან ნელსენის** მიერ წესების დარღვევის გამო დანიშნული პენალტით ანგარიში გახსნა - მეკარე და ბურთი სხვადასხვა კუთხეში "გადაგზავნა". მე-9 წუთზე კი **კრის ბერდსლისთან** საჰაერო ორთაბრძოლის შემდეგ მიწაზე ცუდად დაშვების გამო კოჭისა და მუხლის მყესები დაიზიანა **მაიკლ დოუსონმა**, ვინც იმ დღეს მოედანზე კაპიტნის სამკლავურით იყო გამოსული. ექიმების დასკვნით, ფეხბურთელს სეზონის დარჩენილი ნაწილის გამოტოვება მთლიანად მოუწევს. აღსანიშნავია, რომ მძიმე ტრავმას მკურნალობს "ტოტენჰემის" კიდევ ერთი ცენტრალური მცველი **ვილიამ გალასიც**. ხოლო იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ ასევე ტრავმებისკენაა მიდრეკილი **ლედლი კინგიც**, გამოდის, რომ **ჰარი რედნაპი** ერთ დღეს შეიძლება გადაულახავი პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს. პრაქტიკულად გარკვეულია, რომ დოუსონი **დარენ ბენტის** მერე მეორე ინგლისელია, ვისაც ევროპის ჩემპიონატის გამოტოვება მოუწევს. ჰო, სიტყვა ცოტა გაგვექცა და ისევ მატჩს დავუბრუნდეთ. 26-ე წუთზე **ჟერმეინ დეფომ** გაათანაბრა. ინგლისის ნაკრების კიდევ ერთმა კანდიდატმა საჯარიმოს სიახლოვეს **გარეთ ბეილის** 50-მეტრიანი პასი ერთი შეხებით დაამუშავა, იმავე მოძრაობით მარცხნივ შეიგდო, მეტოქე მოატყუა და მეკარეს დაბალი ბურთი დაურტყა – 1:1. 38-ე წუთზე "ტოტენჰემს" კიდევ ერთი უბედურება ეწვია: კუნთი დაიჭიმა **აარონ ლენონმა**. რედნაპმა ისიც იძულებით შეცვალა.

მეორე ნახევარი სულ რამდენიმე წამის დაწყებული იყო, რომ **იუნეს კაბულის** პასით დეფომ კიდევ ერთხელ შეაგდო, თუმცა გვერდითა არბიტრმა თამაშგარე დააფიქსირა. მთავარმა მსაჯმა **მაიკლ ოლივერმა** კი ბურთი არ ჩათვალა. 55-ე წუთზე **მარკ რობერტსმა** გარეთ ბეილის წინააღმდეგ თამაშის წესი საჯარიმოს შიგნით დაარღვია. ადებაიორმა 11-მეტრიანიდან აუღელვებლად გაიტანა. ბეილს თავის წილადაც შეეძლო გატანა, მაგრამ 27-28 მეტრიდან დარტყმული ბურთი უელსელმა ძელს გაარტყა. ამის მერე შანსები "სტივენეიჯსაც" მიეცა, მაგრამ სტუმარ ფეხბურთელებს კლასი არ ჰყოფნიდათ. რედნაპის გუნდს დასამშვიდებლად მესამე გოლიც სჭირდებოდა. 75-ე წუთზე ასეც მოხდა - თანაც ისევ ბეილისა და დეფოს დახმარებით. უელსელმა აუტი საკუთარი ნახევრიდან ძალიან ძლიერად მოაწოდა. ის იყო, დეფო მეკარესთან პირისპირ უნდა დარჩენილიყო, რომ მცველმა გზა გადაუჭრა, თუმცა თავდამსხმელი არ დაიბნა, მეტოქე იოლად მოატყუა და მეკარეს მახვილი კუთხიდან შორეულ კუთხეში დაურტყა – 3:1.

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

## მთვრალი ვარჯიშზე

"დეილი ტელეგრაფის" ცნობით, "ვულვზის" 28 წლის ცენტრალური მცველი **როჯერ ჯონსონი** სამშაბათის საღამოს ვარჯიშზე კარგა მაგრად ნასვამი გამოცხადდა. ბუნებრივია, მწვრთნელებმა მას ვარჯიშის უფლება არ მისცეს და შინ გაუშვეს. მეორე დღეს კი კლუბის პრეზიდენტმა **სტივ მორგანმა** როჯერს აცნობა, რომ უმსგავსო საქციელის გამო ორი კვირის ხელფასით დააჯარიმა.

## ტეილორი ნიუკასლში რჩება

"ნიუკასლში" ორი ტეილორი თამაშობს. მარცხენა მცველი **რაიანი** და ცენტრალური მცველი **სტივენი**. პირველს "კაჭკაჭებთან" ხელშეკრულება 2013 წლის ივნისში ეწურება. ჩრდილოინგლისურმა კლუბმა მას თანამშრომლობის გახანგრძლივება უკვე შესთავაზა. ახალ ხელშეკრულებას მხარეები ამ დღეებში მოაწერენ ხელს. ის 2016/2017-ის სეზონის ბოლომდე გაფორმდება. ჯორდების დამრიგებელი **ალან პერდიუ** რაიანის თამაშით კმაყოფილია, რადგან გარდა კონკრეტული ამპლუისა, მას ნახევარდაცვის ფლანგზეც იყენებს და თუ დასჭირდა, საყრდენადაც ათამაშებს. აქვე გეტყვით, რომ "სენტ ჯეიმს პარკზე" დარჩენის სურვილი ბოლო 10 დღის განმავლობაში უკვე მესამე ფეხბურთელმა დაადასტურა. აქამდე, იმავე 2017 წლამდე მოაწერეს კონტრაქტებს ხელი მეკარე **ტიმ კრულმა** და ცენტრალურმა მცველმა **ფაბრისიო კოლოჩინიმ**.

## სანდერლენდს ო'ში დაუბრუნდა

"სანდერლენდ ექოს" ცნობით, "სანდერლენდის" 30 წლის უნივერსალი მცველი **ჯონ ო'ში** ხვალ 28-ე ტურში "ლივერპულის" წინააღმდეგ სათამაშოდ მზად იქნება. გასულ უქმეებზე "ნიუკასლთან" შეხვედრაში მან ხელი იტკინა. მერსისაიდელებთან კი მისი მკლავი სპეციალური ნახვევით იქნება დაცული. საკლუბო ექიმები ო'შის მოედანზე გასვლის ნებართვას მხოლოდ ასე აძლევენ. ჯერჯერობით უცნობია, მოასწრებს თუ არა მოშუშებას 27 წლის მარცხენა ნახევარმცველი **კირან რიჩარდსონი**. ასეც და ისეც, "სანდერლენდს" მრისხანე მეტოქესთან სერიოზული საკადრო პრობლემები ექნება – დისკვალიფიკაციის გამო შეხვედრას გამოტოვებენ **ჯეიკ ლივერმორი** და **სტეფან სესინიონი**. ამ ორის გარდა ტრავმების გამო ნამდვილად არ იქნებიან **ტიტუს ბრამბლი**, **ვეს ბრაუნი** და **მარკოს ანხელერი**.

**ლევან ბიბილაშვილი**

# უცხოური ფეხბურთი

**იტალია. სერია A. გადადებული მატჩები**



მირკო ვუჩინიჩის საგოლე დარტყმა

## იუვე მართლა დაითარსა: 13 მოგება, ფრე

**ბოლონია–იუვენტუსი 1:1**

**გოლები:** 1:0 დი ვაიო (17), 1:1 ვუჩინიჩი (58).
**გაძევება:** ბონუჩი (84. იუვენტუსი).

**ჩეზენა–კატანია 0:0**

**გაძევება:** პუდილი (21) – ალმირონი (90).

**პარმა–ფიორენტინა 2:2**

**გოლები:** 1:0 ოკაკა (28), 1:1 ნასტასიჩი (60), 1:2 ჩერჩი (71), 2:2 ჯოვინკო (87-პენ.).

შუა კვირაში გამართულმა გადადებულმა მატჩებმა სერია A-ს სატურნირო ცხრილს სრულყოფილი სახე მისცა - აბსოლუტურად ყველა გუნდს თანაბარი რაოდენობის თამაშია აქვს ჩატარებული და უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „მილანი" ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია. დიახ, ერთპიროვნული ლიდერი და ეს პირველ რიგში „იუვენტუსის" დამსახურებაა, რომელმაც ბოლო ექვს თამაშში მეხუთე ფრე ითამაშა.

**ანტონიო კონტეს** გუნდი „ბოლონიას" ესტუმრა და თავიდანვე ცხადი იყო, რომ ტურინელებს ურთულესი ბრძოლის გადატანა მოუწევდათ. „ბოლონია" საკუთარ მოედანზე ტრადიციულად ძლიერია, იოლად არაფერს თმობს და განსაკუთრებული მოტივაციით გრანდებთან ასპარეზობს. მთელი 90 წუთის განმავლობაში, მოედნის თითოეულ მონაკვეთზე ბრძოლა იყო გაჩაღებული და ამ ბრძოლაში გუნდებმა თითი გოლის გატანა მოახერხეს. მასპინძელთა რიგებიდან **მარკო დი ვაიო** გამოირჩა, რომელიც პირისპირ დარჩა **ჯანლუიჯი ბუფონთან** და კუთხეში მშვიდად მოათავსა ბურთი, 1:0... რაც შეეხება „იუვენტუსს", შედეგიანი დარტყმა **მირკო ვუჩინიჩმა** მიითვალა აქტივში, რომელიც **ანდრეა პირლოს** ბრწყინვალე გადაცემით გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე და შანსი ხელიდან არ გაუშვა, 1:1. აღვნიშნოთ ისიც, რომ 84-ე წუთზე მეორე ყვითელი ბარათის გამო **ლეონარდო ბონუჩიმ** დატოვა მოედანი, მანამდე კი წითელი ბარათი ტურინელთა მთავარმა მწვრთნელმა ანტონიო კონტემ დაიმსახურა, ტრადიციული, ზღვარსგადასული ემოციებისთვის.

ერთი სიტყვით, „იუვენტუსმა" მორიგი ფრე ითამაშა და გულშემატკივრები კიდევ ერთხელ გაანბილა - მართალია, „ბიანკონერი" ჯერ კიდევ დაუმარცხებელია, მაგრამ ამდენი დაკარგული ქულის ფონზე, ეს დიდი ვერაფერი ნუგეშია. მატჩის შემდეგ, კონტემ შემდეგი განაცხადა: *„ჩემმა შეგირდებმა მაქსიმუმი გაიღეს და ვერ ვიქნები მათზე გაბრაზებული - ეს ის შემთხვევაა, როდესაც ყველაფერს აკეთებ, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ აღწევ. გატანილი გოლის შემდეგ, „ბოლონიამ" საკუთარ ნახევარზე დაიხია და ზონები კარგად გადაკეტა, რამაც ძალიან გაგვირთულა ამოცანა. მეტოქემ ორგანიზებული ფეხბურთი ითამაშა, ბევრი იბრძოლა და სასურველ შედეგს მიაღწია. რაც შეეხება საჩემპიონო ორთაბრძოლას, უიმედოდ ნამდვილად არ ვარ - თუმცა, კარგად მესმის, რომ სკუდეტოს მოპოვება ნამდვილი სასწაული იქნება".*

კონტე უკვე სასწაულზე ლაპარაკობს, არადა, სულ რამდენიმე დღის წინ, ოპტიმისტურ განცხადებებს აკეთებდა. „იუვეს" ძალიან რთული კალენდარი აქვს წინ და ამ გადამწყვეტ პერიოდს ფეხბურთელთა დიდი ნაწილი არცთუ კარგ ფორმაში ხვდება. თუნდაც **მარკო ბორიელო** ავიღოთ, რომელიც ბოლო შეხვედრებში მუდმივად ძირითად შემადგენლობაშია, მაგრამ გოლის გატანას ვერაფრით ახერხებს - ბოლოს, სწორედ მას გადავცეთ სიტყვა: *„ძალიან გამიხარდა, რომ ვუჩინიჩმა გაიტანა და ნავსი გატეხა, იმედია, მეც მალე გავიტან გოლს და შავ პერიოდს უკან მოვიტოვებ. მართალია, ორი ქულა დავკარგეთ, მაგრამ ამის გამო ყურები არ უნდა ჩამოვყაროთ. მთავარი მატჩები წინაა და პირადად მე, უკვე მომდევნო შეხვედრაზე ვფიქრობ".*

იყო დრო, როდესაც „პარმასა" და „ფიორენტინას" დაპირისპირება ევროპული მასშტაბით დიდ ინტერესს იწვევდა, მაგრამ დრონი მეფობენო, ნათქვამია და დღეს, ამ ორი გუნდის ჯახი ლოკალურ ფარგლებს არ სცდება. შესაბამისად, სათქმელი ბევრი არაფერია - „ენიო ტარდინიზე" შედეგიანი ფრე დაფიქსირდა, გუნდებმა ორ-ორი გოლი გაცვალეს და თითო ქულა ჩაინერეს აქტივში. ორივე გუნდის მიზანი ცხრილის ზედა ნაწილში ანაცვლებაა და ვნახოთ, რამდენად გამოუვათ ეს საქმე. „ჩეზენამ" საკუთარ მოედანზე „კალიარი" ვერ დაამარცხა და კიდევ უფრო დაუახლოვდა სერია B-ს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 26 | 16 | 6 | 4 | 53-22 | 54 |
| 2. იუვენტუსი | 26 | 13 | 13 | 0 | 39-17 | 52 |
| 3. ლაციო | 26 | 14 | 6 | 6 | 41-30 | 48 |
| 4. უდინეზე | 26 | 13 | 7 | 6 | 37-23 | 46 |
| 5. ნაპოლი | 26 | 11 | 10 | 5 | 44-25 | 43 |
| 6. რომა | 26 | 11 | 5 | 10 | 39-33 | 38 |
| 7. ინტერი | 26 | 11 | 4 | 11 | 36-36 | 37 |
| 8. კატანია | 26 | 8 | 11 | 7 | 34-35 | 35 |
| 9. პალერმო | 26 | 10 | 4 | 12 | 39-43 | 34 |
| 10. კიევო | 26 | 9 | 7 | 10 | 22-31 | 34 |
| 11. ატალანტა | 26 | 9 | 11 | 6 | 30-28 | 32 |
| 12. ფიორენტინა | 26 | 8 | 8 | 10 | 27-27 | 32 |
| 13. ბოლონია | 26 | 8 | 8 | 10 | 26-30 | 32 |
| 14. ჯენოა | 26 | 9 | 5 | 12 | 35-48 | 32 |
| 15. კალიარი | 26 | 7 | 10 | 9 | 23-28 | 31 |
| 16. პარმა | 26 | 7 | 9 | 10 | 32-41 | 30 |
| 17. სიენა | 26 | 7 | 8 | 11 | 30-28 | 29 |
| 18. ლეჩე | 26 | 6 | 7 | 13 | 30-42 | 25 |
| 19. ნოვარა | 26 | 3 | 8 | 15 | 21-46 | 17 |
| 20. ჩეზენა | 26 | 4 | 5 | 17 | 16-40 | 17 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

ბომბარდირები: 18 – დი ნატალე (უდინეზე), იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 16 - კავანი (ნაპოლი); 15 - დენისი (ატალანტა); 14 – პალასიო (ჯენოა); 13 - კლოზე (ლაციო); 12 - მილიტო (ინტერი), იოვეტიჩი (ფიორენტინა).

**დღეს:**

**ნაპოლი-კალიარი 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ჯემაილი (ნაპოლი).
**ტრავმა:** გრავა, ბრიტოსი, დონადელი - პინილია, ელ ქაბირი, სამპაიო, ერიკსონი.

**კიევო-ინტერი 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** კასტაინოსი (ინტერი).
**ტრავმა:** გულანი, სარდო, მორერო - გუარინი, რანოკია.

**ინტერი**

## ახალი კანდიდატი ბლანია

არ წყდება საუბრები „ინტერის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **კლაუდიო რანიერის** შესაძლო შემცვლელებთან დაკავშირებით... „კორიერე დელო სპორტმა" ახალი ინფორმაცია გაავრცელა, რომლის მიხედვითაც ზაფხულში მილანურ გრანდს საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ლორან ბლანი** ჩაუდგება სათავეში. ამ საკითხზე ბლანის პირადმა აგენტმა **ჟან-პიერ ბერნასმა** ისაუბრა და ჯობია, პირდაპირ მას გადავცეთ სიტყვა:

*„მილანიდან არავინ შემხმიანებია, თუმცა გავიგე, რომ „ინტერის' მესვეურები ჩემი კლიენტით არიან დაინტერესებულნი. თუ ეს მართლაც ასეა, გამოვლენ კიდეც კონტაქტზე და ყველაფერი გაცხადდება. ისე კი, ბლანი მხოლოდ ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებაზეა კონცენტრირებული და ეჭვი მაქვს, რომ ზაფხულამდე წინადადების განხილვასაც კი არ მოისურვებს. აი შემდეგ კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს და არ გამოვრიცხავ, რომ მილანელებთან მოლაპარაკება მართლაც დავიწყოთ. დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და ყველაფერი გაირკვევა".*



ლორან ბლანი

**ტრავმა**

## მცველები ლაზარეთში

### რომშიც და ტურინშიც



ჟუანი 2 თვეს დაისვენებს

გასული კვირა **ჟუანისთვის** ყოველმხრივ წარუმატებელი აღმოჩნდა - „რომას" ბრაზილიელმა მცველმა დედაქალაქურ დერბიში მარცხი იწვნია, რასისტული შეძახილების ადრესატი გახდა და ყველა სიკეთესთან ერთად, ტრავმაც მიიღო. პირველადი დასკვნით, ბრაზილიელი მსუბუქად დაშავდა, თუმცა დეტალურმა გამოკვლევამ სხვა სურათი გვიჩვენა - ჟუანს მთელი ორი თვით მოუწევს უქმობა. ამის შესახებ პრესასთან „ჯალოროსის" მთავარმა მწვრთნელმა, **ლუის ენრიკემ** განაცხადა: *„სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჟუანი მინიმუმ ორ თვეს ვერ დაგვეხმარება. დაცვაში ისედაც გვქონდა პრობლემები და ბრაზილიელის დაშავებამ ძალიან რთული რეალობის წინაშე დაგვაყენა. რა გაეწყობა, გამოსავალი უნდა ვიპოვოთ და თუ საჭირო გახდა, არც ექსპერიმენტებს მოვერიდები".*



ანდრეა ბარცალის და ჯორჯო კიელინის დიაგნოზი დაუსვეს

ლუის ენრიკე მართლაც არ ერიდება ექსპერიმენტებს და მიმდინარე სეზონში ამის არაერთი მაგალითი ვიხილეთ. მარტო ის რად ღირს, რომ **როდრიგო ტადეის** და **სიმონე პეროტას** ფლანგის მცველებად უწევთ ასპარეზობა - განსაკუთრებით ეს ტადეიზე ითქმის, რომელიც საკმაოდ კარგად მოერგო ახალ ამპლუას. დაცვის ცენტრში რამდენჯერმე **დანიელე დე როსიმ** ითამაშა და დიდია შანსი, ჟუანის ადგილი სწორედ მან დაიკავოს. ვნახოთ, ბევრი რამ უახლოეს თამაშში გამოჩნდება, რომელიც „რომამ" სიცილიაში უნდა გამართოს „პალერმოს" წინააღმდეგ.

გასულ კვირას „იუვენტუსიც" გვარიანად დაზარალდა და ამის შესახებაც უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ტურინულმა გრანდმა ძირითადი შემადგენლობის ერთბაშად ორი ფეხბურთელი დაკარგა და თანაც, ორივე ცენტრალური მცველი: **ჯორჯო კიელინი** და **ანდრეა ბარცალი.** დეტალური გამოკვლევის შედეგად გაცხადდა, რომ ბარცალის მინიმუმ ორი კვირით მოუწევს უქმობა და არც ის არის გამორიცხული, რომ ლაზარეთში 20-22 დღე გაატაროს, აი კიელინი კი სავარაუდოდ 10 დღეში დაუბრუნდება მოედანს. სწორედ ამად იყო, რომ „ბოლონიასთან" შეხვედრაში „ბიანკონერის" დაცვის ცენტრალურ ტანდემს **ლეონარდო ბონუჩი** და **მარტენ კასერესი** ქმნიდნენ - ურუგვაელი, როგორც წესი, ფლანგზე ასპარეზობს და მისი ამ პოზიციაზე თამაში საკმაოდ დიდ რისკთან არის დაკავშირებული. თანაც, ბოლო პერიოდში ვერც ბონუჩია მთლად დამაჯერებელი. ყველა სიკეთესთან ერთად, „ბოლონიასთან" პაექრობაში ლეონარდომ წითელი ბარათი მიიღო და სერია A-ს მომდევნო ტურის გამოტოვება მოუწევს - ვის დააყენებს **ანტონიო კონტე** „ჯენოასთან" პაექრობაში დაცვის ცენტრში, გამოცანად რჩება.

**სავარაუდო ტრანსფერი**

## ინძაგი ატალანტაში?

**ფილიპო ინძაგი** უკვე 38 წლის არის, მაგრამ როგორც თავად აცხადებს, ფეხბურთის თამაშს კიდევ ორი-სამი წელი აპირებს. შესაბამისად, ზაფხულში ახალი გუნდის მოძებნა მოუწევს, რადგან „მილანში" მისი ადგილი უბრალოდ აღარ არის. თუ აქამდე ხათრით აჩერებდნენ და ხანდახან განაცხადშიც შეჰყავდა **მასიმილიანო ალეგრის**, ამჯერად პირდაპირ განაცხადა, რომ პიპომ სხვაგან გადასვლაზე უნდა იფიქროს. ინძაგის ძალიან კი უნდა კარიერის „მილანში" დასრულება, მაგრამ მაშინ ზაფხულშივე უნდა ჩამოკიდოს ბუცები ლურსმანზე. რადგან თამაშის გაგრძელება სურს, მაშინ სხვა გუნდი უნდა მოძებნოს.

და აი, „გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფილიპოს გადაბირებით „ატალანტას" მესვეურები არიან დაინტერესებულნი და მზად არიან, ვეტერანს ორწლიანი ხელშეკრულება გაუფორმონ. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, პიპო აქტიურად ჩაება მოლაპარაკების პროცესში და ჯერჯერობით, ყველაფერი შეთანხმებისკენ მიდის. ასე რომ, დიდია შანსი მომდევნო სეზონიდან ინძაგი შავ-ლურჯი მაისურით ვიხილოთ.



ფილიპო ინძაგი

გვერდი მოამზადა
ლაშა ნიკლაურმა

● ინტერვიუ. ხავი მარტინესი

# ბასკთა ქვეყნის სიამაყე

## ვცდილობ, მანჩესტერზე, ჩელსიზე და ლივერპულზე ჯერ არ ვიფიქრო





ხავი მარტინესი

მას ინგლისელები ესპანელთა პატრიკ ვიეირას უწოდებენ, ის ჯერ 23 წლისაა და უკვე მოპოვებული აქვს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. უკვე კარგა ხანია, რაც მას ევროპის გრანდები „დასდევენ", მათ შორის - ინგლისური კლუბები. და, რა გასაკვირია, რომ როცა ხავი მარტინესი „ბილბაოსთან" ერთად მანჩესტერში ჩავიდა ევროპალიგაზე სათამაშოდ, ფეხბურთელი ინგლისელი ჟურნალისტების „საკბილო" გახდა.

**- თქვენს კლუბს ინგლისში 8 ათასი გულშემატკივარი ჩამოჰყვა, არ გიკვირთ?**

- სულაც არა! 20 ათასი ადგილი რომ გამოეყოთ, 20 ათასი ფანი ჩამოგვყვებოდა. „ოლდ ტრეფორდის" სტადიონზე საყვარელი გუნდის თამაშის ყურება ბევრის სურვილია.

**- თქვენ ისიც გითქვამთ, რომ „ოლდ ტრეფორდზე" თამაში ფეხბურთელისთვის ოცნების ტოლფასია...**

- რა თქმა უნდა, ისევე როგორც „სანტიაგო ბერნაბეუზე", „კამპ ნოუზე", „მარაკანაზე", ჩვენს „სან მამესზე"...

**- ინგლისური კლუბები ხშირად წარმატებას ევროპულ ასპარეზზე უკეთესი ფიზიკური მომზადების წყალობით აღწევენ. „ბილბაო" ყველაზე მეტად ჰგავს ამ მხრივ ინგლისურ კლუბებს, რისი დასტურიც თქვენი თამაშიცაა...**

- ნაწილობრივ გეთანხმებით, თუმცა წლევანდელ სეზონში „ბილბაო" უფრო ესპანური სტილის ფეხბურთს თამაშობს.

**- რას ფიქრობთ, თქვენი თამაშის სტილით - ფიზიკური ძალა, დაუღალავი ენერგია, ბრწყინვალე თამაში „მეორე სართულზე" - უფრო დიდი წარმატებით პრემიერლიგაში მიაღწევთ?**

- გეთანხმებით, ჩემი თამაშის სტილით ინგლისში „არ დავიკარგები", თუმცა ვფიქრობ, ესპანეთშიც თავისუფლად ვერგები ჩემპიონატს. მოკლედ, შეიძლება ინგლისში უკეთ გამოვჩნდე, მაგრამ ბედს არც ესპანეთში ვემდური.

**- თქვენი გამოსასყიდი თანხა 40 მილიონ ევროს შეადგენს. უკვე სამ კლუბზე ვიცით ინგლისში, რომ თქვენს შეძენას აპირებენ: „ლივერპულზე", „მანჩესტერ იუნაიტედზე" და „ჩელსიზე". რას იტყვის ამაზე თავად ხავი მარტინესი?**

- ვცდილობ, არ მივაქციო ყურადღება ხმებს და ვიფიქრო მხოლოდ ფეხბურთზე. ბოლოს და ბოლოს, ეს მხოლოდ ჭორები და ვარაუდებია. მედიას თავისი საქმე აქვს, მე - ჩემი. რეალობა თუ გაინტერესებთ, ჩემთან ჯერ არავინ მოსულა და კონკრეტული წინადადება არ შემოუთავაზებია, არც - კლუბთან. ამიტომ ჩემს ენერგიას 100%-ით „ბილბაოს" საკეთილდღეობად ვხარჯავ მოედანზე.

**- თუკი „ბილბაო" ამ სეზონში ვერ მოიპოვებს ჩემპიონთა ლიგას?**

- ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგაში თამაშია, თუმცა „ბილბაო" ახალგაზრდული გუნდია და ნელ-ნელა მიდის წინ. ჩემი აზრით, თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა, 2-3 წლის შემდეგ „ბილბაო" ძალიან სერიოზული მიზნებისთვის იბრძოლებს ევროპული მასშტაბით.

**- რა შეცვალა მარსელო ბიელსამ გუნდში?**

- მან შეცვალა თამაშის სტილი, ახლა ჩვენი გუნდი ბურთის ფლობას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

**- მისი მეტსახელი „ელ ლოკო" შეშლილს ნიშნავს. როგორი პიროვნებაა არგენტინელი?**

- ის ნამდვილად შეშლილია... ფეხბურთის სიყვარულით. დღე-ღამეში 24 საათი ბიელსა ფეხბურთზე ფიქრობს.

**- ბიელსას მოსვლით ცვლილება თქვენ პირდაპირ შეგეხოთ - ნახევარდაცვის ცენტრიდან, დაცვაში დაგხიეს...**

- საქმე კარგად მიმდის, თუმცა თავიდან შეგუება დამჭირდა. ცხოვრებაში არასოდეს მითამაშია აქამდე ცენტრალურ მცველად. თავიდან ჩავიკარგე თამაშში, მაგრამ ნელ-ნელა მოვუმატე და გამოჩნდა, რომ მწვრთნელი მართალი იყო. სხვათა შორის, „რეალ სოსიედადთან" ისევ ძველი დრო გავიხსენე - ნახევარდაცვაში ვითამაშე.

**- მაგრამ თავად რომელ პოზიციაზე გირჩევნიათ თამაში?**

- მთელი კარიერა ნახევარდაცვაში ვთამაშობდი და იქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც თევზი წყალში. თუმცა ბოლო დროს დაცვის ცენტრსაც გავუშინაურდი.

**- 6 წელიწადია „ბილბაოში" თამაშობთ, გუნდისა და ფანების ურთიერთობებზე ლეგენდები დადის. როგორ მიაღწია „ატლეტიკმა" ასეთ სიყვარულს ხალხში?**

- ჩვენ ბასკეთის სახე ვართ, ამ გუნდის 23-ვე ფეხბურთელი ადგილობრივია. ალბათ, ბევრი კლუბი შენატრის ჩვენს მდგომარეობას. აქ ნებისმიერი ფანი გუნდის ნაწილად გრძნობს თავს და ნებისმიერი ფეხბურთელი მისი სისხლი და ხორცია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### დოსიე

**ხავიერ მარტინეს აგინაგა**

დაიბადა: 1988 წლის 2 სექტემბერს

სიმაღლე: 190 სმ.

პოზიცია: საყრდენი ნახევარმცველი, ცენტრალური მცველი

კარიერა: ბერსეო, ლოგრონიესი, არენასი, იზარა, ოსასუნა, ბილბაო (2006 წლიდან)

ესპანეთის ნაკრებში: 7 თამაში

ტიტულები: მსოფლიოს ჩემპიონი (2010 წ), ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონი (2011), ლა ლიგის წლის აღმოჩენა (2010).

● ლივერპული

# კაპიტანმა ვარჯიში განაახლა, დე იონგი ინგლისში მიდის

„ლივერპულის" კაპიტანმა **სტივ ჯერარდმა** 29 თებერვალს ინგლისისა და ჰოლანდიის ნაკრებების შეხვედრის პირველ ტაიმშივე დაიზიანა მუხლი, რის გამოც **სტიუარტ პირსმა** ის სასწრაფოდ გამოცვალა. თავდაპირველად შიშობდნენ, რომ 31 წლის ფეხბურთელს სერიოზული ტრავმა ექნებოდა, მაგრამ პესიმისტური პროგნოზები არ გამართლდა. სტივმა ვარჯიში გუშინწინ განაახლა და შაბათს „სანდერლენდის" „სტედიუმ ოფ ლაითზე" ალბათ ძირითად შემადგენლობაში იქნება. სრული დატვირთვით ივარჯიშა ასევე **გლენ ჯონსონმაც**, რომელმაც კაპიტნისგან განსხვავებით დაზიანება „კარდიფთან" ლიგის თასის ფინალში მიიღო. ამის გამო ფეხბურთელმა ჰოლანდიასთან მატჩიც გამოტოვა და სტივის მსგავსად არც „არსენალთან" უთამაშია. **კენი დალგლიშის** თქმით, ის მოხარულია, რომ ლიდერები დაუბრუნდნენ და თუკი ისინი შესაბამის კონდიციებში იქნებიან, ორივეს სასტარტოში გავამწესებო.

აქვე გაცნობებთ, რომ მერსისაიდელთა სატრანსფერო გეგმებში ახალი სახელი და გვარი ფიგურირებს. ეს არის „ტვენტესა" და ჰოლანდიის ნაკრების 21 თავდამსხმელი **ლუკ დე იონგი**. „წითლებს" **ლუის სუარესის** გარდა ნამდვილად სჭირდებათ თავდამსხმელი, რომელსაც სტაბილურად შეეძლება გოლების გატანა. სამწუხაროდ, **ენდი კეროლი** ამ როლს სათანადოდ ვერ ასრულებს. ფეხბურთელის აგენტი **მარკო დე მარჩი** ადასტურებს, რომ „ტვენტეს" ნებართვის შემდეგ მერსისაიდული კლუბი მას უკვე დაუკავშირდა. ლუკის მოქმედ კონტრაქტს ვადა 2014 წლის ივნისში გასდის. ერედივიზიეს წარმომადგენელი ფეხბურთელს 12 მილიონ ევროს აფასებს.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ევროპალიგა. 1/8 ფინალი. I მატჩები

### ატლეტიკო-ბეშიქთაში 3:1

**ატლეტიკო (4-4-2):** კურტუა - ხუანფრანი, გოდინი, პერეა, ფილიპე ლუიში - სალვიო (81. დომინგესი), სუარესი, გაბი, კოკე (84. საული) - ადრიან ლოპესი (62. პიცი), ფალკაო.

**ბეშიქთაში (4-3-3):** გონენი - თორამანი, შივოკი, კორკმაზი, კავლაკი - ფერნანდეში, ერნსტი, უისალი (79. ედუ) - კვარეჟმა (46. კოიბაში), პეკტემეკი (74. ჰოლოშკო), სიმაო.

**გოლები:** 1:0 სალვიო (24), 2:0 სალვიო (27), 3:0 ადრიან ლოპესი (37), 3:1 სიმაო (53)

**გაფრთხილება:** ერნსტი, კოიბაში

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 10-26; **თამაშგარე:** 7-0; **კარში დარტყმა:** 10-7 (6-4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 27 431

### მეტალისტი-ოლიმპიაკოსი 0:1

**მეტალისტი (4-2-3-1):** გორიაინოვი - ვილაგრა, გიე, ტორსილიერი, ფინინიო (62. პშენიჩკინი) - ედმარი, შავიერი - სოსა, ბლანკო (63. დევიჩი), ტაისონი - კრისტალდო (83. მარლოში).

**ოლიმპიაკოსი (4-2-3-1):** მედიერი - ტოროსიდისი, პაპადოპულოსი, მელბერგი, მარკანო - ორბაისი, მანიატისი - ფუსტერი (79. ჰოლებაში), მაკუნი (76. მოდესტო), მირალიაში (89. აბდუნი) - ჯებური.

**გოლი:** 0:1 ფუსტერი (50)

**გაფრთხილება:** კრისტალდო, გიე - ტოროსიდისი, პაპადოპულოსი, მელბერგი, მარკანო, ჰოლებაში

**გაძევება:** ედმარი (82)

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 19-22; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 9-8 (3-2); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 12 000

### სპორტინგი-მან. სიტი 1:0

**სპორტინგი (4-4-2):** პატრისიო - პერეირა, ჩანდაო, პოლგა, ინსუა - ფერნანდეში (69. ნეტო), კარიკო, სხაარსი, კაპელი (75. კარილიო) - იზმაილოვი (59. პერეირინია), ვან ვოლფსვინკელი.

**მანჩესტერ სიტი (4-4-2):** ჰარტი - კლიში, კომპანი (12. ლესკოტი), კ. ტურე, კოლაროვი - მილნერი, დე იონგი, ბერი (59. ალვალადე), სილვა - აგუერო, ჯეკო (71. ბალოტელი).

**გოლი:** 1:0 ჩანდაო (51)

**გაფრთხილება:** იზმაილოვი, პოლგა, პერეირა, ნეტო - დე იონგი, კოლაროვი

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 14-10; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 11-10 (5-6); **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 34 371

### ტვენტე-შალკე 1:0

**ტვენტე (4-3-3):** მიჰაილოვი - კორნელისი, ვიზგერჰოფი, დუგლასი, როსალესი - ფერი, ბრამა, იანსენი (85. ბაირამი) - ჯონი, დე იონგი, ჩადლი.

**შალკე (4-3-1-2):** ჰილდებრანდი - უჩიდა, პაპადოპულოსი, მატიპი, ფუხსი - ჰოგერი, ჯონსი, ჰოლტბი (90. მორიტცი) - რაული (90. ესკუდერო) - ობასი (81. დრაქსლერი), მარიკა.

**გოლი:** 1:0 დე იონგი (61)

**გაფრთხილება:** იანსენი - ჰილდებრანდი, ესკუდერო

**გაძევება:** მატიპი (60)

**კუთხური:** 1-4; **ჯარიმა:** 13-7; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 6-7 (4-1); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 30 000

### ალკმაარი-უდინეზე 2:0

**ალკმაარი (4-3-3):** ალვარადო - მარსელისი, მოისანდერი, ვიერხუვერი, პოულსენი - მაპესი, მარტენსი (77. ფალკენბურგი), ელმი - ბეერენსი (74. გუდმუნდსონი), ალტიდორი, ჰოლმანი (85. [illegible]).

**უდინეზე (3-5-2):** ჰანდანოვიჩი - [illegible]ქუი, დანილო, დომიცი - ფერონეტი, პინცი, პაციენცა, ასამოა, პასკუალე (79. დი ნატალე) - ფლორო ფლორესი, არმერო.

**გოლები:** 1:0 მარტენსი (63), 2:0 ფალკენბურგი (84)

**გაფრთხილება:** ელმი - დომიცი, პაციენცა, დანილო

**კუთხური:** 11-3; **ჯარიმა:** 16-10; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 10-10 (8-3); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 12 579

### მან. იუნაიტედი-ბილბაო 2:3

**მანჩესტერ იუნაიტედი (4-4-2):** დე ხეა - რაფაელი, სმოლინგი (55. კერიკი), ევანსი, ევრა - პარკი (61. ანდერსონი), ჯონსი, გიგზი (75. ნანი), იანგი - რუნი, ერნანდესი.

**ბილბაო (4-3-3):** ირაისოსი - ირაოლა, ხ. მარტინესი, სან ხოსე, აურტენეჩე - იტურასპე, დე მარკოსი, ანდერი (84. ი. პერესი) - სუსაეტა, ფ. ლორენტე (81. ტოკერო), მუნიაინი.

**გოლები:** 1:0 რუნი (22), 1:1 ფ. ლორენტე (44), 1:2 დე მარკოსი (72), 1:3 მუნიაინი (90), 2:3 რუნი (91-პენ)

**გაფრთხილება:** სან ხოსე

**კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 15-19; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 10-20 (5-11); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 67 000

### სტანდარდი-ჰანოვერი 2:2

**სტანდარდი (4-4-2):** ბოლატი - ციმანი, კანუ, ფელიპე, პოკონიოლი - გაკპე (88. ბიარნასონი), ბუიენსი, ვაინკერი, ვან დამი (80. სეიაში) - ტჩიტე, სირიაკი (89. ბატშუაი).

**ჰანოვერი (4-4-2):** ციელერი - ჩერუნდოლო, ჰაგუი, ეგიმანი, პანდერი - ჩაჰედი, შტინდლი, პინტო, რაუში (90. შულცი) - ია კონანი (93. შტოპელკამპი), დიუფი (60. სობიეჩი).

**გოლები:** 0:1 შტინდლი (22-პენ), 1:1 ბუიენსი (27), 2:1 ტჩიტე (30), 2:2 დიუფი (56)

**გაფრთხილება:** ციმანი, ბუიენსი - სობიეჩი, ჩერუნდოლო, ია კონანი

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 19-21; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 16-10 (9-6); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 22 000

### ვალენსია-პსვ 4:2

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ბარაგანი, რიკარდო კოშტა (24. რამი), რუისი, მატიო - პარეხო, ალბელდა - პ. ერნანდესი, ჟონასი (71. ბერნატი), პიატი - სოლდადო (75. ადურისი).

**პსვ (4-2-3-1):** ისაკსონი - მანოლევი, დერიკი, მარსელო, ვილემსი (34. პიეტერსი) - სტროოტმანი, ჰატჩინსონი - ლაბიადი, ტოივონენი, მერტენსი (75. ვინალდუმი) - მატავჟი (67. ლენსი).

**გოლები:** 1:0 რუისი (11), 2:0 სოლდადო (12), 3:0 სოლდადო (43-პენ), 4:0 პიატი (56), 4:1 ტოივონენი (83-პენ), 4:2 ვინალდუმი (90)

**გაფრთხილება:** რამი, ბარაგანი, სოლდადო - მერტენსი, პიეტერსი

**კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 15-16; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 12-9 (8-5); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 28 000

## საპასუხო მატჩები 15 მარტს გაიმართება




ევროპის ლიგა ესპანელების ტრიუმფით მიმდინარეობს



## უცხოური ფეხბურთი

### ვერდერი



მარკო არნაუტოვიჩმა ტრავმა ძაღლთან თამაშის დროს მიიღო

## არნაუტოვიჩის კურიოზული ტრავმა

„ვერდერის“ ავსტრიელმა თავდამსხმელმა **მარკო არნაუტოვიჩმა** კურიოზულ ვითარებაში სერიოზული ტრავმა მიიღო და ბრემენულ კლუბს მინიმუმ თვე-ნახევარი ველარ დაეხმარება. ავსტრიელმა მუხლის ტრავმა თავის ძაღლთან თამაშის დროს მიიღო. *„დიახ, ეს სიმართლეა და სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ეთამაშებოდე ძაღლს ისე, რომ ფეხი ასე გადაიბრუნო“*, - შეწუხებულია „ვერდერის“ მწვრთნელი **თომას შააფი**.

ამასობაში, გაირკვა, რომ ბრაზილიელი ნახევარმცველი **ვესლი** 20-თვიანი წარუმატებელი მოღვაწეობის შემდეგ „ვერდერს“ ტოვებს ბრაზილიაში, სადაც კარიერას „პალმეირასში“ გააგრძელებს. ვესლი ბრემენში 2010 წლის აგვისტოდან თამაშობდა, მაგრამ უდიდესი იმედები ვერ გაამართლა. ბუნდესლიგის 26 მატჩში მან მხოლოდ ორი გოლის გატანა შეძლო.

### ბაიერნი



იუპ ჰაინკესს სჯერა, რომ ბაიერნში 2013 წლამდე იმუშავებს

## ჰაინკესი: არსადაც არ მივდივარ!

„ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი** მის გარშემო ატეხილ დისკუსიას გამოეხმაურა. 66 წლის „დონ იუპის“ თქმით, მიუხედავად მიუნხენური გრანდის ბოლოდროინდელი წარუმატებლობებისა, არ ფიქრობს, რომ პოსტს ნაადრევად დაატოვებინებენ.

*„ბაიერნთან“ კონტრაქტი 2013 წლამდე მაქვს გაფორმებული და მჯერა, რომ მიუნხენში სწორედ 2013 წლის ზაფხულამდე ვიმუშავებ. არ მიკვირს, რომ მაკრიტიკებენ, ეს ნორმალურია, მაგრამ წნეხის ქვეშ არ მაქცევს. საკმარისად გამოცდილი ვარ იმისათვის, რომ ჩემ გარშემო ატეხილმა დისკუსიამ ამანერვიულოს“*, - უთხრა ჰაინკესმა „კიკერს“.

შეგახსენებთ, რომ „ბაიერნი“ გასულ უქმეებზე „ლევერკუზენთან“ 0:2 დამარცხდა და ლიდერ დორტმუნდის „ბორუსიას“ უკვე შვიდი ქულით ჩამორჩება. ამასთან, რეკორდმაისტერს ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის საფრთხეც ემუქრება – მერვედფინალის პირველი მატჩი (ბაზელთან) ბავარიელებს 0:1 აქვთ წაგებული.

### ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

# მოვიგეთ, ფეოლა...

## როგორ თუ, რა შუაშია გერმანული ფეხბურთი?

**ბარსელონა–ლევერკუზ. 7:1 (3:1)**

ვფიქრობთ, ახლა უადგილო და ცოტათი სასაცილოც იქნება იმაზე ლაპარაკი, თუ რა კარგი გუნდია „ბარსელონა“, ან რამდენად სუსტია „ბაიერი“ კატალონიურ გრანდთან შედარებით. ამიტომაც, მხოლოდ და მხოლოდ საინტერესო ფაქტები: „ბარსამ“ „ლევერკუზენს“ არსებობის ისტორიაში ევროტურნირებზე ყველაზე დიდი მარცხი აგემა; **ლიონელ მესიმ** ხუთი გოლი გაიტანა, რითაც ჩემპიონთა ლიგის რეკორდი დაამყარა, დანარჩენი ორი გოლი კი **კრისტიან ტელიოს** ანგარიშზეა, რომელიც გუშინწინ ჩემპიონთა ლიგაში პირველად თამაშობდა; „ლევერკუზენმა“ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში 8 მატჩი ჩაატარა და 18 გოლი გაუშვა; „ბარსას“ „ნოუ კამპზე“ უკვე 50-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს და წინა ოთხი სეზონის დარად, ამჯერადაც მეოთხედფინალშია; „ლევერკუზენს“ ჩემპიონთა ლიგაში გასვლითი მატჩი 2002 წლის შემდეგ აღარ მოუგია, არადა, ამ ხნის განმავლობაში სტუმრად 13 მატჩი ჩაატარა.



ეს ერთი და ლეო მესიმ ბერნდ ლენოს კიდევ ოთხი გოლი გაუტანა

### რეაქციები

**რუდი ფიოლერი** („ლევერკუზენის“ სპორტული დირექტორი): *„როცა ერთ ტაიმში ხუთ გოლს გაგიტანენ, კარგს ვერაფერს იტყვი. მეორე ნახევარში სამარცხვინოდ ვთვლემდით. არადა, პირველ 45 წუთში ცუდად ნამდვილად არ გვითამაშია. „ნოუ კამპზე“ წაგება კატასტროფა ჩვენთვის კი არა, სუპერგრანდებისთვის არ არის ხოლმე, მაგრამ 7:1 მართლა მეტისმეტია...“*

**რობინ დუტი** („ლევერკუზენის“ მწვრთნელი): *„ახლა არ დაიწყოთ გერმანული ფეხბურთის დაკნინება და ბუნდესლიგის კრიტიკა. „ვალენსია“ ჩვენს ჯგუფში იყო და „ბარსასთან“ 1:5 დამარცხდა... ესპანურ კლუბებთან გერმანელების 8:0-ებიც მახსოვს! ასე რომ, ამ მარცხის გამო გერმანული ფეხბურთის ეჭვქვეშ დაყენება უადგილოა. ჰო, 1:7 ძალიან ცუდად ჟღერს, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ბარსელონა“ არაჩვეულებრივი გუნდია. იმისათვის, რომ „ბარსა“ დაამარცხო, ყველაფერში უნდა გაგიმართლოს, კატალონიელებს კი ეს არ სჭირდებათ...“*

**სიმონ როლფესი** (ლევერკუზენი): *„შევეცადეთ, პირველ მატჩთან შედარებით, თამამად გვეთამაშა, მაგრამ პირველივე ტაიმში გამოჩნდა, რომ სასტიკად დავისაჯეთ. მეორე ტაიმი კი უკვე ჯოჯოხეთი იყო. ვფიქრობ, მარტო იმაზე უნდა გვეფიქრა, რომ რაც შეიძლება ცოტა გოლი გაგვეშვა.“*

**პეპ გვარდიოლა** („ბარსელონას“ მწვრთნელი): *„მესი გენიალურია და მე ბედნიერი ვარ, რომ ამ ფეხბურთელს ვწვრთნი. მიხარია, რომ მიუხედავად პირველი შეხვედრის დამაჯერებლად მოგებისა, ჩემმა გუნდმა მაინც მაქსიმალური კონცენტრაციით ითამაშა. მადლობა ბიჭებს!“*

**TOP ფეხბურთელი**

### ლიონელ მესი (ბარსელონა)

ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ „ლევერკუზენს“ მარტო მესიც ეყოფოდა. ერთ მატჩში ხუთი გოლი, თანაც ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში მართლაც ნამეტანია. არგენტინელს ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგაში ახლა 64 მატჩში უკვე 49 გოლი აქვს გატანილი, კონკრეტულად ამ სეზონში კი, 49 ოფიციალურ შეხვედრაში 53(!) გოლი შეაგდო (აქედან, 12 ჩემპიონთა ლიგაში).

**FLOP ფეხბურთელი**

### გონსალო კასტრო (ლევერკუზენი)

ამჯერად მარჯვენა მცველის პოზიციაზე გამწესებულ **კასტროს** ჯერ კიდევ პირველ ტაიმში ჰქონდა სერიოზული პრობლემები, რადგან **ინიესტას** ვერაფერს უხერხებდა. მეორე ნახევარში კი მისი საცოდაობის ყურება უკვე მართლა შეუძლებელი გახლდათ – კატალონიელები მის ფლანგზე ისე დანავარდობდნენ, როგორც უნდოდათ. კასტრო თვით ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტმა ტელომაც მაგრად დაჩაგრა.

### ტაქტიკა-სტრატეგია

გვარდიოლამ „სპორტინგთან“ 3:1-ზე მოგებული მატჩის შემდეგ ძირითადი შემადგენლობა ოდნავ შეცვალა: **კვენკასა** და **კეიტას** ნაცვლად, სასტარტოში მესი (პრიმერადივიზიონში დისკვალიფიცირებული გახლდათ) და **ბუსკეტსი** ვიხილეთ. **პუიოლი, ტიაგო ალკანტარა, აბიდალი** და **სანჩესი** ტრავმირებულები იყვნენ, ისევე, როგორც **ვილია, აფელაი** და **ფონტასი**, რომლებიც უკვე დიდი ხანია, ლაზარეთში არიან.

„ლევერკუზენის“ თავკაცმა დუტმა კი 4-3-2-1 ტაქტიკური სქემა აირჩია და გასულ უქმეებზე, „ბაიერნთან“ მოგებული (2:0) მატჩისგან განსხვავებით, **ფრიდრიხისა** და **შიურლეს** ნაცვლად, სასტარტოში **როლფესი** და **დერდიოკი** ათამაშა. სხვათა შორის, წელს შიურლე პირველად არ იყო „ბაიერის“ ძირითადში. გარდა ამისა, დუტმა **შვააბი** დაცვის მარჯვენა ფლანგიდან ცენტრში გადასწია, მისი პოზიცია კი კასტროს ჩააბარა. **ჩორლუკა,** და **კოშტა, სემი, ბალაკი, ბარნეტა** და **ადლერი** ტრავმირებულები არიან.

### ანალიზი

რაც უნდა სასაცილოდ ჟღერდეს, ლევერკუზენელებს თამაში არ დაუწყიათ სამარცხვინოდ. მართალია, ბურთი იშვიათად ჰქონდათ, სამაგიეროდ, მოედნის ცენტრში პოზიციურად სწორად იდგნენ და როგორც შეეძლოთ, ბარსელონელებს დერეფნებს უკეტავდნენ. მერე და მერე კი პოზიციური შეცდომების დაშვება დაიწყეს, „ბარსამ“ კი ისევ ცივსისხლიანად დაიწყო ამ შეცდომების გამოყენება.

ლევერკუზენელთა მოძრაობა და პრესინგი მოედნის ცენტრში აშკარად სარისკო იყო და იგრძნობოდა, რომ დუტის გუნდს ასეთი სტრატეგია კარგს არაფერს უქადდა. თუკი ბურთს მოიპოვებდნენ, გერმანელები სწრაფად ცდილობდნენ შეტევაზე გადასვლას, თან მეტწილად - ერთი გრძელი პასით. სხვა საქმეა, რომ ამ ისედაც იშვიათი პასების უმრავლესობა არაზუსტი გახლდათ. პირველი ტაიმის ბოლო ხუთ წუთში და მეორე ნახევარში „ლევერკუზენის“ ნორმალური ფეხბურთი დამთავრდა – **ჩავის** და **ფაბრეგასის** სიღრმისეულმა პასებმა „ბაიერი“ „მარტივ მამრავლებად დაშალა“. ფეხბურთი, რომელიც „ლევერკუზენმა“ 42-დან 62-ე წუთამდე ითამაშა, ჩემპიონთა ლიგის დონეს არ აკმაყოფილებს. „ბარსელონა“ კი ფორმაშია და ტიტულის შენარჩუნებისთვის ბრძოლას აგრძელებს.

### დასკვნა

„ლევერკუზენი“ მე-40 წუთამდე თავს ნორმალურად იცავდა, მერე კი გერმანელებს ესეც დაეზარათ და თან კლასებს შორისაც იმდენად დიდი განსხვავება იყო, რომ საბოლოო ჯამში, 7:1 ლოგიკური შედეგია.

# კვიპროსული ფეხბურთის საღამო

## ნიქოზიაში კვლავ ტკბილი ჟამეს...

**აპოელ–ლიონი 1:0 (0:1) პენ: 4:3**

„თხა თხაზე ნაკლები, მგელმა შეჭამაო“, - სავარაუდოდ ამასაც ფიქრობდნენ აპოელ-ის ფეხბურთელები, როცა „ლიონის“ დამარცხებას და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლას ზეიმობდნენ და ცხადია, მეორე თხაში „ანორთოსისს“ გულისხმობდნენ. ვისაც შარშანწინ ამ უკანასკნელის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა სასწაული ეგონა, **თემურ ქეცბაიას** მაშინდელი გუნდის ის წარმატება ჟურნალი ყოფილა, კინოს კი ამ სეზონში ვუყურებთ: ნიქოზიის აპოელ-მა ევროპული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი სენსაცია გამოაცხო და რაღა დამატება უნდა, მაგრამ მაინც, პირველი კვიპროსული გუნდია, რომელიც ევროპის რვა საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა.

**დიონისის ქიოტისმა** პენალტების სერიაში ორი თერთმეტმეტრიანი მოიგერია და ცხადია, მატჩის გმირიც სწორედ ის არის, თუმცა არც **გუსტავო მანდუკას** უმნიშვნელოვანესი გოლი უნდა დაგვავიწყდეს, რომლის წყალობითაც კვიპროსელები ადრევე დაწინაურდნენ და მერე შეხვედრა პენალტების სერიამდე მიიყვანეს. სხვათა შორის, 115-ე წუთიდან ნიქოზიელები კაცნაკლულები თამაშობდნენ – მოედანი ნაადრევად სწორედ მანდუკამ დატოვა.

ფრანგულ გრანდს ანგარიშის გათანაბრების საუკეთესო შანსი 25-ე წუთზე ჰქონდა, მაგრამ ქიოტისმა თავისიანები შესანიშნავი რეფლექსით იხსნა. საერთო ჯამში კი უნდა ითქვას, რომ აპოელ-ის ფეხბურთელები თამაშს თავიდან ბოლომდე თითქმის უპრობლემოდ აკონტროლებდნენ. მეტიც: მეორე ტაიმში „ლიონს“ გაუმართლა კიდეც, როცა **ხარალამბიდისის** საჯარიმო დარტყმის შემდეგ, **სისოხომ** ბურთს მიმართულება უნებლიეთ საკუთარი კარისკენ შეუცვალა – ბურთი ძელს მოხვდა.



აპოელ-ის ფეხბურთელები ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლას ზეიმობენ

### რეაქციები

**ივან იოვანოვიჩი** (აპოელ-ის მწვრთნელი): *„აპოელ-ის ისტორიაში, ნიქოზიელი ფანებისთვის და ზოგადად კვიპროსული ფეხბურთისთვის ეს ყველაზე მნიშვნელოვანი, ზღაპრული საღამოა. ჩვენ ვერასდროს წარმოვიდგენდით, რომ ჩემპიონთა ლიგაში ასე შორს გავიდოდით, მაგრამ როდესაც ასეთი მებრძოლი და თავდაჯერებული ფეხბურთელები გყავს, როდესაც ასეთი ფანტასტიკური ფანები გყავს, როგორც ხედავთ, ყველაფერი შესაძლებელია. თამაშის წინ შეგირდებს ვუთხარი, მომდევნო ეტაპზე გასასვლელად სრულყოფილი ფეხბურთის თამაში გვჭირდება-მეთქი. ბიჭებმა დღეს ძალიან ბევრი ირბინეს და ორთაბრძოლებს ერთი ამოსუნთქვით იგებდნენ. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ფეხბურთელებმა, რომლებმაც პენალტები დაარტყეს, თვითონ გამოთქვეს ამის სურვილი. ჩვენ ვიმსახურებდით ამ გამარჯვებას, რადგან ძალიან ბევრი ვიშრომეთ. მე კი ბედნიერი ვარ, რომ ამ ზღაპრის მონაწილე გავხდი.“*

**რემი გარდი** („ლიონის“ მწვრთნელი): *„დღევანდელი საღამო ჩემთვის უდიდესი იმედგაცრუებაა. ჰო, აპოელ-ი არ არის ევროპის გრანდი, მაგრამ თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ეს გუნდი მერვედფინალშიც დამსახურებულად გავიდა და დღესაც დამსახურებულად გაიმარჯვა, ასეთი რამ კი შემთხვევით ნამდვილად არ ხდება. ყველანი საშინელ ხასიათზე ვართ, მაგრამ ახლა დეპრესიაში ჩავარდნის დრო არ არის, საფრანგეთის ჩემპიონატი ხომ გრძელდება. წინ საფრანგეთის ლიგის თასის და თასის მატჩები გვაქვს, რაც ბიჭებისთვის საკმარისი მოტივაცია უნდა იყოს.“*

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მესი

# მესი და ფანტასტიკა



## ერთ მატჩში ჩამოტოვებული ინძაგი, დელ პიერო, ეუსებიო და შევჩენკო

7:1-ის შემდეგ რუდი ფიოლერმა თქვა: *ახლა უკვე მესი იმ ლიგაში თამაშობს, სადაც მხოლოდ პელე და მარადონაა*. მართლაც, პატარა არგენტინელმა ჯადოქარმა ხუთი გოლის გატანით კიდევ ერთხელ ალაფრთოვანა საფეხბურთო ევროპა. მოდი, მესის ბრწყინვალე კარიერას, რომელიც ჯერ მხოლოდ იწყება, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი - ციფრები მრავლისმეტყველია.

ლეგენდა მესიზე, რომელიც ჯერ რაღაც 24 წლისაა, გრძელდება - „ლევერკუზენის" კარში გატანილმა ხუთმა გოლმა ჩემპიონთა ლიგის ისტორია გადაწერა.




**3** - ახლა მესის ანგარიშზე სამი ჰეთ თრიკია ჩემპიონთა ლიგაზე. ის ამ მაჩვენებლით **ფილიპო ინძაგის** გაუთანაბრდა. ჩემპიონთა ლიგაზე აქამდე მხოლოდ „ბარსას" 3 ფეხბურთელს გაუტანია ჰეთ თრიკი - **რივალდოს, რონალდინიოსა** და **სამუელ ეტოოს**. მესი პირველი ფეხბურთელია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაზე ერთ სეზონში ორი ჰეთ თრიკი გაიტანა.

**3** - წლის დასაწყისში არგენტინელმა ზედიზედ მესამედ მოიგო „ოქროს ბურთის" პრიზი. ამ მაჩვენებლით მესი **მიშელ პლატინის, იოჰან კრუიფს** და **მარკო ვან ბასტენს** გაუთანაბრდა.



**4** - მეოთხე სეზონია ლეო მესი ლიდერობს ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირთა დავაში. პირველი სამი არგენტინელმა უკვე მოიგო და ახლაც, 12 გოლით უპირობო ფავორიტია. ერთადერთი, ვინც 4-ჯერ მოახერხა ამ ტურნირის ბომბარდირობა, „ბაიერნის" ლეგენდა **გერდ მიულერია**. თუმცა გერმანელი ორჯერ თანაბომბარდირი იყო, მესის კი ბომბარდირობა არავისთან გაუზიარებია.

**5** - არგენტინელი ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში პირველი ფეხბურთელია, რომელმაც მატჩში 5 გოლი გაიტანა. ამ ტურნირის წინამორბედში - ევროპის თასზე „აიაქსის" **სორენ ლერბიმ** (1979 წ.) გაიტანა თამაშში ხუთი გოლი. „ბარსელონას" ბოლო ფეხბურთელი, რომელმაც თამაშში ხუთი გოლი გაიტანა (ნებისმიერ ოფიციალურ მატჩში) იყო **ზალდუა** (1965 წ).

**6** - როსარიოელმა ამ სეზონში „ბარსას" მაისურით 6 სხვადასხვა ტურნირში მოახერხა გატანა: ლა ლიგაში, კოპაზე, სუპერკოპაზე, ევროპის სუპერთასზე, ჩემპიონთა ლიგაზე და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში. თუმცა ის ერთადერთი არ არის „ბარსელონაში", **პედრომაც** მოახერხა 6 სხვადასხვა ტურნირში გატანა.

**10** - goal.com-მა არგენტინელს „ლევერკუზენთან" მატჩში იშვიათი შეფასება - 10-იანი დაუწერა 10-ბალიანი შეფასებით.

**12** - ამ სეზონში მესის ანგარიშზე ჩემპიონთა ლიგაზე 12 გოლია და ის კიდევ აგრძელებს თამაშს ტურნირზე. ამით მესიმ უკვე მიაღწია თავისსავე შარშანდელ შედეგს და გაიმეორა **რუუდ ვან ნისტელროის** მიღწევა 2002/03 წლების ჩემპიონთა ლიგაზე.

**18** - რაც კატალონიურ გუნდში დაიწყო თამაში, მესიმ 18 საკლუბო ტიტული მოიგო.

**22** - მას შემდეგ, რაც შვეიცარიის ნაკრების კარში მან ჰეთ თრიკი შეასრულა, ეროვნულ გუნდში მესის 22 გოლი დაუგროვდა.

**24** - ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფების სტადიაში მესის ანგარიშზე უკვე 24 გოლია, ყველა დროის რეკორდია.

**49** - სულ არგენტინელმა ჩემპიონთა ლიგაზე 49 გოლი გაიტანა. ის უკვე გაცდა **ალექს დელ პიეროს** (44), ფილიპო ინძაგის (46), **ეუსებიოს** (47) და **ანდრეი შევჩენკოს** (48) და ეს ყველაფერი ერთ მატჩში მოახერხა! ის დაეწია „რეალის" ლეგენდას **ალფრედო დი სტეფანოს** (49) და ახლა მასთან ერთად მე-4 ადგილს იყოფს. წინ კი **რაული** (71), ვან ნისტელროოი (54) და **ტიერი ანრი** (51) არიან.

**53** - ახლა მესის ანგარიშზე სეზონში „ბარსელონას" მაისურით და ეროვნულ ნაკრებში ჯამში 53 გოლია.

**93** - მესის ანგარიშზე 93 საგოლე პასია „ბარსელონაში" თამაშისას. აქედან 20 ამ სეზონში (ყველა ტურნირში).

**188** - მას მერე, რაც „ბარსელონას" მწვრთნელი **პეპ გვარდიოლაა**, მესიმ 201 ოფიციალურ მატჩში 188 გოლი გაიტანა.

**228** - გოლი „ბარსელონაში", 7-იც და კლუბის რეკორდს მოხსნის, რომელიც **სესარ როდრიგესს** ეკუთვნის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● არსენალი

# კიკერი: პოდოლსკი არსენალელია!

წინანომრებში ვწერდით, რომ "არსენალისა" და **ლუკას პოდოლსკის** გზები შეიძლება გადაიკვეთოს, რადგან 26 წლის თავდამსხმელით პრემიერლიგელები ძალიან არიან დაინტერესებული-თქო. გუშინდელმა "ბილდმა" და "კიკერმა" კი საქმე გადაწყვეტილად გამოაცხადეს. გერმანულ და ინგლისურ კლუბებს შორის უკვე ყველაფერი შეთანხმებულია და ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ფეხბურთელი კარიერას "ემირიტსზე" განაგრძობს. "სოკერნეტის" ცნობით, "არსენალი" პოლდის 4-წლიან კონტრაქტს სთავაზობს. რაც შეეხება მის ხელფასს, ლუკასი კვირაში 100 ათას ფუნტს მიიღებს. ფეხბურთელს "არსენალზე" ბევრად უფრო დიდ ანაზღაურებას (12 მილიონ ევროს) სთავაზობდა მახაჩყალის "ანჟი", მაგრამ გერმანელმა ვარსკვლავმა რუსების წინადადების განხილვაც კი არ ისურვა. აი, რა უთხრა პოლდიმ "შპორტ ბილდს": *"დიდი ხელფასი ის ღირებულება არ არის, რისკენაც ცხოვრებაში მივისწრაფვი. უმთავრესი ფაქტორია, თუ რამდენად მექნება ზრდის შანსი, როგორც ფეხბურთელს"*. რაც შეეხება სატრანსფერო თანხას, "კიოლნი" თავის უმთავრეს ვარსკვლავში 13 მილიონ ევროს, ანუ 10,8 მილიონ ფუნტს მიიღებს. არსებობს დათქმა, რომ თუკი "კიოლნი" ბუნდესლიგიდან დაქვეითდება, სატრანსფერო თანხა 5 მილიონამდე შემცირდება. ამის შანსი კი ნამდვილად არსებობს, რადგან "კიოლნი" მე-16 ადგილოსან "აუგსბურგს" 3 ქულით უსწრებს. ამ ზაფხულზე "თხებს" პოლდის სარფიანად გაყიდვის პრაქტიკულად უკანასკნელი შანსი ეძლეოდათ, რადგან გუნდის კაპიტანს ხელშეკრულება 2013 წლის ივნისში უმთავრდებოდა. გერმანელი ვარსკვლავის გადაბირება "არსენალს" გასულ ზაფხულზეც სურდა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის წინ ლუკასმა კლუბისა და მით უფრო ჩემპიონატის გამოცვლა ვერ გარისკა და "რაინენერგიშტადიონზე" ერთი წლით დარჩა. არც შემცდარა. პოლდი კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს. მის ანგარიშზე ბუნდესლიგის 19 თამაშში 16 გოლი და 4 შედეგიანი გადაცემაა.

პოდოლსკი შეიძლება "არსენალის" მომავალი გახდეს. იქამდე კი ჩრდილოლონდონელთა დღევანდელობა **რობინ ვან პერსია**. 28 წლის თავდამსხმელი ფანტასტიკურ სეზონს ატარებს და გულშემატკივრები ამას მშვენივრად ხედავენ. ინტერნეტგამოკითხვამ თებერვლის შედეგებით ჰოლანდიელი "არსენალის" საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. მან გამოკითხულთა ხმების 40% მიიღო. მისი მთავარი კონკურენტი **ტომაშ როსიცკი** იყო (31,7%), მესამე ადგილზე **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი** გავიდა (9,7%).

**ლევან ბიბილაშვილი**



არსენალმა გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი ლუკას პოდოლსკი გადაიბირა


# ოქსფორდ მედიქალ ჯორჯია

თბილისი, ფალიაშვილის №15

**უროლოგია**

- პოტენციის აღდგენა ასაკისა და მიმდინარე დაავადებების მიუხედავად.
- ნაადრევი ეაკულაციის ეფექტური მკურნალობა.
- პროსტატიტის და პროსტატის ადენომის დიაგნოსტირება და მკურნალობა.

**გინეკოლოგია**

- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები.
- საშვილოსნოს ყელის ეროზიის გამოკვლევა, კოლპოსკოპია და მკურნალობა კრიო აპარატით.
- პრემენსტრუალური ტკივილების მკურნალობა.
- მედიკამენტოზური აბორტი.

**პროქტოლოგია**

- ბუასილის მკურნალობა უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ლიგირების მეთოდით.
- სწორი ნაწლავის ნაპრალის ეფექტური მკურნალობა.

**ექოსკოპია**

- სრულფასოვანი, ყოვლისმომცველი, მაღალხარისხიანი ულტრაბგერითი გამოკვლევა ექიმ ლადო კახაძესთან.

გამოიყენება თანამედროვე მკურნალობის მეთოდები.

ანონიმურობა დაცულია!

დელიკატური პრობლემების დელიკატური გადაწყვეტა



ტელ: 229 00 66; 229 47 47

Oxford MEDICAL PRIVATE CLINICS

დარეკეთ და ჩაეწერეთ!

Email: oxford.tbilisi@gmail.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

● თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი

# კვლავ ვერცხლ-ბრინჯაო

ევროპის ჩემპიონატის მესამე დღეც მეორის მსგავსი აღმოჩნდა - ჩვენი მონაგარი კვლავაც თითო ვერცხლი და ბრინჯაოა, ოქროს კი ვერც ამჯერად შევწვდით. **ბესარიონ გოჩაშვილის** (55) გუშინწინდელი შედეგი **დავით ხუციშვილმა** (74) გაიმეორა და ვერცხლი მოიპოვა, ბრინჯაოს მედალს კი **მალხაზ ზარქუას** (60) დარად მძიმეწონოსანი **დავით მოძმანაშვილი** დაეუფლა.

გუშინდელი წყვილებიდან არა უბრალოდ მედლებს, ოქროსაც ველოდით. ხუციშვილს საუკეთესო შანსიც მიეცა, მოძმანაშვილმა კი ამის შესაძლებლობა პირველივე წრეში არცთუ ძლიერ მეტოქესთან როგორ გაფლანგა, გვიკვირს. თუმცა ბრინჯაოსთვის გამართული შეხვედრის შემდეგ აშკარად ვერ იყო ჯანმრთელად - მუცელზე ხელს იდებდა და ფაქტია, რაღაცას იტკიებდა. შესაძლოა, ჯანმრთელობის მდგომარეობაც იყო მისი წაგების მიზეზი.

ხუციშვილმა ფინალამდე ბევრად უფრო ძნელი გზა გაიარა, ვიდრე - რუსრე ხუციშვილმა დასანანი შეცდომით დაიწყო, რაშიც დიდი როლი მისმა ერთმა ცუდმა თვისებამ ითამაშა - რატომღაც ამ ბიჭს ჭიდაობისას თავის მაღლა აწევა არ ეხერხება, რითაც მეტოქეს სოლიდურ უპირატესობას უთმობს. ამჯერადაც ასე იყო და ერთ მომენტში, ჯაჯგურისას, როცა ერთმანეთი გაიქნიეს, ცარგუშმა მოასწრო და ფეხში შეუვარდა. ამ დროს ხუციშვილი არ უყურებდა მეტოქეს, ვფიქრობთ, თავი რომ არ ჰქონოდა ჩაქინდრული, მოწინააღმდეგეს ისე იოლად არ შეუშვებდა, იქ კი ცარგუშმა არა მხოლოდ ერთქულიანზე გადაიყვანა, კომპლექსში ტრიალიც მიაყოლა - 3:0 მის სასარგებლოდ. ალბათ, შეხვედრაც აქ დამთავრდა. ხუციშვილმა კი სცადა მდგომარეობის გამოსწორება, ერთი-ორჯერ შეუტია კიდეც, მაგრამ არაფერი სახეირო. პირიქით - ერთ ეპიზოდში მეტოქემ კონტრილეთზე დაიჭირა და მეოთხე ქულაც აართვა. ჩვენებურის კიდევ ერთი ნაკლი არააგრესიული ჭიდაობა იყო. სიტყვით, რამდენიმე თავით მაღლა იდგა კონკურენტებზე და მით უფრო დასანანია ლიგეტთან წაგება.

ახლა ბელგრადში „თავისუფალთა" ერთადერთი წონა დარჩა გასათამაშებელი - 84 და ჩვენი მთელი საჩემპიონო იმედები მას უკავშირდება, კონკრეტულად კი **დავით მარსაგიშვილს**. თვალი არ ეცეს და პირველი სამი წრე მან უპრობლემოდ უნდა გაიაროს - თავიდან მაკედონიელ **დეიან ბოგდანოვს** ხვდება, მასთან მოგების შემთხვევაში კი ესპანელ ბორის ანდონოვსა და იტალიელ **ანდრეა სორბელოს** შორის გამარჯვებულს შეხვდება. ამ ორი წრის გავლით მეოთხედფინალში გავა და ძლიერი არც იქ შეხვდება არავინ - იქ გამსვლელი ფალავანი სერბი **დრაგუტინ დუკიჩის**, ბერძენი **ტიმოფეი ქსენიდისის**, რუმინელ ევროპის პრიზიორ **სტეფან გეორგიტას** და სლოვაკ **რენე მატეიოვის** პაექრობაში გაირკვევა. ბადის ამავე მხარეს არიან ანუ ნახევარფინალში სხვებთან ერთად შეიძლება შეხვდნენ



დავით მოძმანაშვილი



დავით ხუციშვილი

თა აფხაზმა **დენის ცარგუშმა**. ხუციშვილმა პირველ წრეში ორ პერიოდში იოლად, 1:0; 1:0 დაამარცხა ძველი მეტოქე, თურქი **სონერ დემირტასი**, ვისაც ჯერ კიდევ ახალგაზრდულ ნაკრებში უშრობდა სისხლს. გერმანელი **აიდინ ერგუნი** მისთვის კიდევ უფრო დაბალი ლობე იყო და ჯამში 8:0 მოუგო, მესამე წრეში კი ბევრად უფრო ძლიერი მეტოქე, ბულგარელი ოლიმპიური პრიზიორი **კირილ ტერზიევი** დაჯაბნა - 1:0; 2:0. ნახევარფინალშიც ანგარიშგასაწევი მეტოქე ჰყავდა - აზერბაიჯანელთა ოსი **ალექსანდრ გოსტიევი**, თუმცა ჩვენებურის უპირატესობა აშკარა იყო - პირველ პერიოდში მისი ბურთულა ამოვიდა და მეტოქის 1-ქულიანზე დაგდება არ გასჭირვებია, მეორეში კი ასევე ერთი ქულა წრიდან გაყვანისთვის მიილო. ფინალურ შეხვედრას ცარგუშთან არა მხოლოდ სპორტული დატვირთვა ჰქონდა. პირველ პერიოდში მეტოქეებმა არაფერი დაუთმეს ერთმანეთს და საქმე ბურთულამდე მივიდა, სადაც ცარგუშს გაუმართლა და შანსიც გამოიყენა. მეორეშარშან ამ მხრივ თითქოს გამოასწორა მდგომარეობა, სწრაფად, მაღალ ტემპში ჭიდაობდა, მაგრამ ამჯერად ეს კოზირი ვერ ვიხილეთ. თუმცა წლეულს შედეგი მაინც გააუმჯობესა - შარშან ევროპაზე მესამე იყო.

მოძმანაშვილი პირველივე წრეში მომავალ ფინალისტთან, უნგრელ **დანიელ ლიგეტისთან** დამარცხდა. ძირითად დროში მეტოქეებმა თითო პერიოდი მოიგეს ერთნაირი ანგარიშით - 1:0, დამატებითი კი ცოტა უცნაურად წარიმართა და უნგრელმა 8:7 იმარჯვა. ლიგეტის ჯგუფში ისეთი არავინ ჰყავდა, ფინალში ვერ გასულიყო და კიდეც გავიდა, რითაც ჩვენებურს სანუგეშოში გადასვლის უფლება მისცა. იქ ჯერ ესპანელ **ხოსე ვასკეს კუბას** ორივე პერიოდი სუფთად, 6:0; 6:0 მოუგო, დამამშვიდებლის ფინალში კი ბულგარელი **დიმიტარ კუმჩევი** გაანადგურა - 2:0; 7:0. როცა მეტოქეს ფეხში შეუვარდებოდა, ჩვენებურს უბრალოდ კი არ გადაჰყავდა ქულაზე, კარგად შეისწორებდა ხელში და ტომარასავით დააბერტყებდა ძირს. ერთი აზერბაიჯანელთა დაღესტნელი **ილია კამიკოევი** ან თურქი **სერდარ ბოკე**, მაგრამ მათთან ჩვენებურს დადებითი ბალანსი აქვს.

**ირაკლი თავაძე**

**კვარცხლბეკი**

**ვაჟები**

**74 კგ.** 1. დენის ცარგუში (რუსეთი), **2. დავით ხუციშვილი (საქართველო),** 3. გაბორ ჰატოში (უნგრეთი), ალექსანდრ გოსტიევი (აზერბაიჯანი).

**120 კგ.** 1. ტაჰა აკგული (თურქეთი), 2. დანიელ ლიგეტი (უნგრეთი), **3. დავით მოძმანაშვილი (საქართველო),** ნიკ მატუჰინი (გერმანია).

**ქალები**

**55 კგ.** 1. ნატალია სინიშინი (უკრაინა), 2. სოფია მაგდალენა მატსონი (შვედეთი), 3. მარია გუროვა (რუსეთი), ანა მარია პავალი (რუმინეთი).

**67 კგ.** 1. ანა კატარინა იოჰანსონი (შვედეთი), 2. ალა ჩერკასოვა (უკრაინა), 3. ნადია სემენცოვა (აზერბაიჯანი), ჯანან მანოლოვა (ბულგარეთი).

**FM 107,9**

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

**ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

სპორტული რადიო
ჯა - კო
Ja - Ko
FM 96.3

● ჭადრაკი. ქცევის წესები



# რამდენ ღილზე იხსნიან ქალები პერანგს... პარტიის თამაშისას

**თურქულ გაზიანთეფში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატი პირველი შეჯიბრებაა, სადაც კონტინენტის საჭადრაკო კავშირის მიერ შემუშავებული დრეს-კოდი ამოქმედდა. ამ წესებით, შეუძლიათ თუ არა მოჭადრაკე ქალებს მინიკაბითა და დეკოლტეთი პარტიის სათამაშოდ მისვლა?**

- ასეთი შეკითხვით მიმართა ინტერნეტსაიტმა Chess-news-მა ევროპის საჭადრაკო კავშირის გენერალურ მდივანს, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრ სავა სტოისავლევიჩს.

„ჩემპიონატის განვლილი ტურების შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ამ წესებს ჯერ კიდევ დამუშავება სჭირდება, - უპასუხა ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა. - რაც შეეხება დეკოლტეს, გასაგებად არის ახსნილი, რომ ქალთა პერანგზე ზემოდან პირველთან ერთად მეორე ღილის შეხსნაც შეიძლება. წესებში არაფერია თქმული მინიკაბების შესახებ. ზოგიერთ კომპანიაში, ამ მხრივ, ერთგვარი აკრძალვა მოქმედებს, მაგალითად, მუხლს ზემოთ 5-10 სანტიმეტრზე მეტი მოკლე კაბის ჩაცმა არ შეიძლება. მე აქ ვხედავ ბევრ მოჭადრაკეს მოკლე ქვედაკაბით. სიმპათიური გოგონები არიან და უხდებათ, შესაძლოა, ეს თვალისთვისაც სასიამოვნო იყოს, მაგრამ, მერწმუნეთ, რაღაც ზღვარი უნდა არსებობდეს. მახსოვს, ერთხელ, ჯერ კიდევ როცა დრეს-კოდი არ არსებობდა, ერთ გოგონას შენიშვნა მივეცი, რადგან საშეჯიბრო დარბაზში ისე ჩაცმული (უფრო - გახდილი) მოვიდა, როგორც სხვები მხოლოდ პლაჟზე თუ ივლიან. კარგი ვქენით, რომ დრეს-კოდზე მუშაობა დავიწყეთ, ეს ჭადრაკის იმიჯისთვის აუცილებელია. წესებით იკრძალება ქუდის დახურვა, რათა საჭადრაკო მაქინაციები (ტექნიკური საშუალებების შეუმჩნეველი გამოყენება) გამოირიცხოს. ცხადია, იქნება გამონაკლისებიც, რაც ზოგიერთი ქვეყნის ტრადიციებს უკავშირდება. ახლა მოუთმენლად ველი ვაჟთა ევროპის ჩემპიონატს, რომელიც ბულგარეთში 19 მარტს დაიწყება. მანდილოსნები ყოველგვარი დრეს-კოდის გარეშეც დიდ ყურადღებას აქცევენ საკუთარ გარეგნობას, ვაჟებში კი ახალი წესების გამოყენება, ვინ იცის, იქნებ სასარგებლოც გამოდგეს. მე-13 პარაგრაფში კაცებისთვის პირდაპირ არის მითითებული: შარვალი, ჯინსი, ასევე, პერანგი, უნდა იყოს სუფთა, არ უნდა იყოს დახეული, ზედმეტად გახეხილი და სუნი არ უნდა უდიოდეს"...

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, და შეურაცხმყოფელიც ამგვარი წესების მიღება, მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგიერთებმა, მართლაც ძალიან გაუტიეს და მათთვის ლაგამი აუცილებელი გახდა.

Chess-news-ის ფოტოკორესპონდენტმა დრეს-კოდის წესებისგან გადახვევით ჩაცმული რამდენიმე მოჭადრაკე აღბეჭდა ფირზე, მათ შორის სერბეთში გათხოვილი რუსი მარია მანაკოვა (სურათზე) მოკლე კაბით. ამგვარი ჩაცმულობა მას სრულებითაც ვერ შეუქმნის უხერხულობის განცდას, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთი ჟურნალის („სპიდ ინფო") გარეკანზე დედიშობილა გამოგვეცხადა.

**ვაჟა დანელია**

# აგზამოვის მემორიალზე



მიხეილ მჭედლიშვილი

ერთადერთი ქართველი მოჭადრაკე - **მიხეილ მჭედლიშვილი** - მონაწილეობს ტაშკენტში პირველი უზბეკი დიდოსტატის - გიორგი აგზამოვის მე-6 საჭადრაკო მემორიალში (საპრიზო ფონდი 20.000 დოლარი, საიდანაც გამარჯვებული 5000-ს დაიმსახურებს). მთავარი პრიზისთვის სხვადასხვა ქვეყნის 110 წარმომადგენელი იბრძვის. მჭედლიშვილმა სტარტზე ირინა გევორქიანი (უზბეკეთი) დაამარცხა, შემდეგ ასევე მასპინძელ ელბეკ ალიკულოვს აჯობა, მესამე ტურში კი ბეგალი საიდოვს (უზბეკეთი) დაუზავდა და სამი ტურის შემდეგ 2,5 ქულა აქვს. უდანაკარგოდ ექვსი მოჭადრაკე დაწინაურდა. ესენი არიან: ვიტალი გოლოდი (ისრაელი), ანდრეი კვონი, ალექსანდრ კასიანი (ორივე - უზბეკეთი), რუსტამ ხუსნუტდინოვი (ყაზახეთი), გადირ ჰუსეინოვი (აზერბაიჯანი) და მაქსიმ ტუროვი (რუსეთი).

მე-4 ტურში მჭედლიშვილი, რომელიც ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, იაჰონგირ ვახიდოვს (უზბეკეთი) დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

## ქართული სპორტი

### ჭადრაკი

# ლიდერებს კვალში უდგას


თორნიკე სანიკიძე

49 ქვეყნის 500-მდე წარმომადგენელი (მათ შორის - 74 დიდოსტატი) მონაწილეობს კაპელ-ლა-გრანდეს მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 30.000 ევრო). საპრიზო ადგილებისთვის ოთხი ჩვენებურიც იბრძვის - საქართველოს ექსჩემპიონი **თორნიკე სანიკიძე, დავით ჯოჯუა, დავით არუთინიანი** და დღეს უკვე ავსტრიის მოქალაქე **ალექსანდრე დგებუაძე.** ექვსი ტურის შემდეგ 5-5 ქულით ჩანდა სანდიპანი, პარიმარჯან ნეგი, პენტალა ჰარიკრიშნა (სამივე-ინდოეთი), ანდრეი სოკოლოვი, იგორ ლისი (ორივე-რუსეთი), ტიგრან პეტროსიანი (სომხეთი), იაჩეკ ტომჩაკი (პოლონეთი) და ბასემ ამინი (ეგვიპტე) მეწინავეობდნენ. ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით სანიკიძესთან ერთად 18 მოჭადრაკე ჩამორჩებოდა. ჯოჯუას და არუთინიანს 4-4 ქულა ჰქონდათ.

გუშინ მე-7 ტურის პარტიები გაიმართა. სანიკიძემ შავი ფიგურებით ეტლების ენდშპილში ზედმეტი პაიკი შეინარჩუნა და 58-ე სვლაზე მეტოქე დანებდა. ხუთოსანთა პაექრობები ასე დამთავრდა: ჩანდა სანდიპანი-პენტალა ჰარიკრიშნა 0:1, ბასემ ამინი-იგორ ლისი 0,5:0,5, იაჩეკ ტომჩაკი-პარიმარჯან ნეგი 0:1, ანდრეი სოკოლოვი-ტიგრან პეტროსიანი 0,5:0,5. სხვა ორთაბრძოლებიდან ასევე აღსანიშნავია სამი შეხვედრის შედეგი, რადგან გამარჯვებულები ლიდერებს ჩაუდგნენ კვალში: ტიგრან ჩარამიანი-ალექსანდრე დგებუაძე 1:0, თამას ბანუში-ანდრეი ვოვკი 1:0, დრაგან სოლაკი-ვიტალი ბერნადსკი 1:0. ჯოჯუამ ერიკ ჟირარდი დაამარცხა, არუთინიანმა მელქიორ კოტონეჩს სძლია.

შვიდი ტურის შემდეგ 6-6 ქულით ჰარიკრიშნა და ნეგი დაწინაურდნენ. სანიკიძემ, ამინიმ, ლისიმ, სოკოლოვმა, პეტროსიანმა, ჩარამიანმა, ბანუშმა და სოლაკმა 5,5-5,5 ქულას მოუყარეს თავი. ჯოჯუას და არუთინიანს 5-5 ქულა აქვთ.

**ვაჟა დანელია**

### ჩოგბურთი

# კვარტეტის წარუმატებლობა


მაკა ჩახნაშვილი

ფორტ-უოლტონ ბიჩის ტურნირის (25 ათასი დოლარი) ერთეულთა თანრიგი უკიდურესად წარუმატებელი გამოდგა ქართული კვარტეტისთვის. ორი მათგანი, **სოფიო ქვაცაბაია** (365) და **ეკა გორგოძე** (420) ძირითად ბადეში ვერ გავიდა, ორიც - მე-8 ნომრად განთესილი **მაკა ჩახნაშვილი** (186) და **სოფიო შაფათავა** (263) - პირველივე წრეში დამარცხდა. შაფათავას მასზე დაბალი რეიტინგის ჩოგბურთელმა, ხორვატმა **ტერეზა მდრეზამ** მოუგო - 6:0, 6:1. ჩახნაშვილი კი რუს **ელენა ბოვინასთან** დამარცხდა - 4:6, 6:1, 1:6.

წყვილთა ბადეში ორი ქართული დუეტი შეიქმნა. გორგოძემ და შაფათავამ უმალ წააგეს მე-3 ნომრად განთესილ ამერიკელებთან (**ლიტვაკი, შნაკი**) - 2:6, 4:6. ხოლო ჩახნაშვილმა და ქვაცაბაიამ „იღბლიანი დამარცხებული" ამერიკელები (**ჯორდა, ტერნერი**) გამოთიშეს ასპარეზობიდან - 6:0, 6:2. მეოთხედფინალში მათი მეტოქეები ბრიტანელი **ნაომო ბროდი** და ისრაელის წარმომადგენელი **იულია გლუშკო** იქნებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### სამთო თხილამურობა

# შინ და გარეთ

ევროპის ზამთრის კურორტებზე გრძელდება სამთო მოთხილამურეთა საერთაშორისო ტურნირები, რომლებშიც ქართველი სპორტსმენებიც მონაწილეობენ. **ნინო ნიკლაურმა** და **სუსანა გავამ** იტალიაში მოსინჯეს ძალები. Roccaraso-ში ნიკლაურმა გიგანტურ სლალომში 2.59,46-ით 62-ე ადგილზე გავიდა, სამაგიეროდ, სლალომში უკეთ იასპარეზა: ასზე მეტ მონაწილეს შორის 31-ე ადგილი (1.59,87) დაიკავა. თანაგუნდელს შვიდი საფეხურით ჩამორჩა სუსანა გავა (2.29,04). მთავარი პრიზი ავსტრიელმა შტეფანი ბრუნერმა მოიპოვა. Piancavallo-ში ნიკლაურს სლალომში (1.27,06) 27-ე ადგილი ერგო, გავა (1.36,52) კი 56-ე ადგილით დაკმაყოფილდა.

**ჯაბა გელაშვილი** ავსტრიულ Hinter-stoder-ში უწევდა მეტოქეობას კონკურენტებს. გიგანტურ სლალომში იგი 1.57,97-ით მეთერთმეტე იყო, სლალომში კი ორი საფეხურით წინ წაიწია - გამარჯვებულ მანუელ კარელის (ავსტრია, 1.29,90) 0.04,4 წამით ჩამორჩა.

■ ■ ■

დღეს და ხვალ მესტიაში, კერძოდ, ჰაწვალის ფერდობზე გიგანტურ სლალომსა და სლალომში საქართველოს თასის გათამაშების მე-4 ეტაპი გაიმართება. გამარჯვებულები და პრიზიორები სამ ასაკობრივ ჯგუფში (1999-2000 წ.წ., 1997-1998 წ.წ., 1996 და უფრო ადრე დაბადებულთა შორის) გამოვლინდებიან. შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრების წევრებიც მიიღებენ მონაწილეობას.

**ვაჟა დანელია**

### კრივი. სპეციალისტის აზრი

## პროფესიული კრივის სამყაროში გიორგი კანდელაკთან ერთად



# კლიჩკოების ყველა მეტოქე მათი შიშის მსხვერპლია

**გიორგი კანდელაკი აგრძელებს ექსკლუზიურად „ლელოს" მკითხველისათვის მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი საკრივო ორთაბრძოლების შესახებ საკუთარი მოსაზრებების გაცნობას. გიორგი ამჯერად უკანასკნელ ხანს გამართულ ორ დიდ პაექრობაზე გვესაუბრება. პირველი შტუტგარტში ბოსნიური წარმოშობის ადგილობრივ მოკრივე მარკო ჰუკსა და რუს ალექსანდრ პოვეტკინს შორის შედგა. რუსმა მოიგო და შეინარჩუნა WBA ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. გერმანიის მეორე ქალაქ დიუსელდორფში საჩემპიონო დაპირისპირებაში კი IBF, WBO, IBO –ს ქამრების მფლობელმა ვლადიმერ კლიჩკომ ფრანგ ჟან მარკ მორმეკს დამაჯერებლად აჯობა. მოვუსმინოთ გიორგი კანდელაკს:**


ვლადიმერ კლიჩკო (მარცხნივ) და ჟან მარკ მორმეკი

ვინაიდან კლიჩკომ ძალიან იოლად მოიგო, ხოლო პოვეტკინ - ჰუკის შეხვედრამ ჩემი და, საერთოდ, კრივის ქომაგთა უფრო დიდი მოწონება დაიმსახურა, საუბარიც სწორედ ამ ორთაბრძოლით დავიწყოთ. საკმაოდ ძლიერი რუსი მოკრივის და ბოსნიური წარმოშობის გერმანელის პაექრობაში მართლაც რომ უშელავათო და ძირითადად თანაბარი ბრძოლა ვიხილეთ. პოვეტკინის ასპარეზობას დიდი ხანია თვალს ვადევნებ და სიმპათიებით ვარ განწყობილი მის მიმართ. ალექსეი ჯერ კიდევ მოყვარულთა რინგიდან მახსოვს. იგი მაშინაც ჭკვიანურად, ტაქტიკურად გამართულად კრივობდა. მეტოქესთან შედარებით პოვეტკინის დაღლა ფაქტობრივად გამორიცხული ჩანდა. ასე ჩატარდა მისი ოცდასამივე დაუმარცხებელი შეხვედრა პროფესიულ რინგზე. არ ვიცი, რა დაემართა პოვეტკინს ჰუკთან, ესოდენ საჭირო რომ გახადა გამარჯვება და ქომაგებს იმედები გაუცრუა. არადა, რუსმა საწყისი ორი რაუნდი აქტიურად დაიწყო. ვიფიქრე, რომ უპირატესობას ხელიდან აღარ გაუშვებდა, თუმცა, ალბათ ყველასათვის გასაკვირად, პოვეტკინი დაიღალა. მერე თავდაჯერებულობაც დაკარგა და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ შეხვედრის დამთავრებას სულმოუთქმელად ელოდა. ჰუკი საკმაოდ კარგი მოკრივეა და არა მგონია, პოვეტკინის ბანაკს ის სრულფასოვნად არ შეესწავლა. საქმე უფრო იმაშია, რომ მარკომ თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინა. შეხვედრის შუაწელში, მე-4 მე-5 რაუნდებისას ჰუკმა მეტოქეს ეფექტური დარტყმების სერია ჩაუტარა, რის შემდეგაც რუსი საერთოდ ამოვარდა რიტმიდან. ვფიქრობ, რომელიმე დარტყმა ზედმიწევნით ზუსტი იყო და პოვეტკინის აგრესიაც უკვალოდ ამან გააქრო. ჰუკის შეტევებისას ალექსეი ხშირად მიმართავდა ბრძოლის თავის არიდების ისეთ მეთოდს, როდესაც მოკრივე თავს ზედმეტად ხრის ქვემოთ და მოწინააღმდეგეს ისღა დარჩენია, ზურგს უკან ჩაარტყას, რაც აკრძალულია, მაგრამ ჰუკმა რამდენჯერმე თავი მაინც ვერ შეიკავა. ამ დროს მსაჯმა ბრძოლისგან თავის ამრიდებელი უნდა დასაჯოს გაფრთხილება-ქულის ჩამორთმევაშით, მაგრამ რატომღაც ასე არ მოხდა. ქულების გამოცხადების შემდეგ ბევრი დარჩა უკმაყოფილო. 116:113, 114:114, 116:112 - რუსის სასარგებლოდ. მეც მიმაჩნია, რომ გერმანელი, მართალია, არა აშკარად, მაგრამ სჯობდა პოვეტკინს. სხვათა შორის, კრივშიც მსაჯების გადაწყვეტილებაზე ხშირად გვარიან გავლენას ახდენს მასპინძლის ფაქტორი. გასაკვირია, რომ ამ პაექრობაში სულაც პირიქით მოხდა. შტუტგარდტის დარბაზში მაყურებელთა უმრავლესობის მოსაზრებით სწორედ გერმანელი აღმოჩნდა არაობიექტურობის მსხვერპლი.

მეორე საჩემპიონო დაპირისპირებაში ვლადიმერ კლიჩკოს საეჭვოდ არ გაუხდია გამარჯვება. მან იოლად გაანადგურა ჟან მარკ მორმეკი. აღმოჩნდა, რომ ფრანგს უკრაინელი ტიტანისთვის საერთოდ წინააღმდეგობის გაწევაც კი არ შეეძლო. ის თავიდანვე განწირული ჩანდა და დასაწყისშივე ეჭვს არ იწვევდა, რომ შეხვედრის ბოლომდე ვერ მიატანდა. რადგან ფრანგს ფაქტობრივად არ უბრძოლია, მის გარჯაზე საუბარი არც ღირს. სამაგიეროდ მორმეკის ასპარეზობამ კიდევ ერთხელ გაგვახსენა ორიოდ კვირის წინ ვიტალი კლიჩკოსთან ღირსეულად მებრძოლი დერეკ ჩისორა. მასთან ბრიტანელის უშიშარი პაექრობა კიდევ ერთხელ იმსახურებს კომპლიმენტებს. ჩისორას მხოლოდ სკანდალით არ დაუმახსოვრებია მაყურებლისთვის თავი. თუმცა დამეთანხმებით, რომ სკანდალსაც მოხერხება უნდა. მიუხედავად იმისა, რომ დერეკი ფულადი თანხითაც დააჯარიმეს და WBC –მ იგი რეიტინგიდანაც ამოიღო, ბრიტანელი მაინც არ დარჩენილა წაგებული. თუ ადრე მისი მაყურებელი ათი ათასი იყო, ახლა ასი ათასია. მაყურებლის ფავორიტებს კი მუდამ ითვალისწინებენ საკრივო ორგანიზაციები მორიგი შეხვედრების დაგეგმვისას.

ბოლოს დავუბრუნდეთ კლიჩკოებს და ამჯერად შევეხოთ მსოფლიო საკრივო სამყაროს დღევანდელ მთავარ კითხვას. ყველას აინტერესებს თუ ვინ უფრო ღირსეულად დაუდგება უკრაინელ ძმებს და მათ ტახტს დაემუქრება. ვიტალისა და ვლადიმერზე ცალ-ცალკე საუბარს აზრი არა აქვს, რადგან მათ ტაქტიკურად ერთმანეთის იდენტური სტილი აქვთ და თანაბრად ძლიერები არიან. ბოლო ხანს მათთან საჩემპიონოდ მორიგი პრეტენდენტის შერჩევა უკვე ახალი მსხვერპლის შერჩევას დაემსგავსა! კლიჩკოების ტაქტიკის მთავარი კოზირი ფიზიკური მასა და გრძელი ხელებია, რითაც მეტოქეს ახლოს არ უშვებენ, დისტანციაზე ბრძოლით ტანჯავენ და ასე ულებენ ბოლოს. სხვათა შორის, ჰუკთან ბრძოლამდე არაერთხელ ავწონ-გავზომე, რამდენად შეძლებდა პოვეტკინი ძმებისთვის დიდი ბრძოლის გამართვას. უკანასკნელმა დაპირისპირებამ ჩემთვისაც ნათელი გახადა, რომ პოვეტკინის და თუნდაც ჰუკის შანსები კლიჩკოებთან 90% X 10% თუ იქნება.

ჩემი მოსაზრებით ძმებთან ყველაზე დიდი შანსი ნიკოლაი ვალუევს აქვს. ეს უკანასკნელი წონით და სიმაღლით აღემატება კლიჩკოებს, ხელებიც უფრო გრძელი აქვს, შესაბამისად უკრაინელ ძმებს ვალუევთან პაექრობაში წინა ხელის უპირატესობაც არ ექნებათ. პერსპექტივაში ეს დაპირისპირება, სამწუხაროდ, ჯერაც შორია (თუ საერთოდ შედგა). ყოველ შემთხვევაში, კლიჩკოების უახლოესი მეტოქეები ცნობილია. ზაფხულში ვლადიმერი ამერიკელ ტონი ტომპსონს შეხვდება, წლის ბოლოს კი ვიტალის მოწინააღმდეგე იქნება ბრიტანელი დევიდ ჰეი. რა თქმა უნდა, ძნელია გადაჭრით რამის მტკიცება, მაგრამ ამ მოკრივეებს კლიჩკოების ჰეგემონიის დამხობა უკიდურესად გაუჭირდებათ. აქვე ვითვალისწინებ იმასაც, რომ ვალუევი ორი წელიწადია, რინგზე აღარ გამოსულა და ბოლოს სწორედ დევიდ ჰეისთან წააგო, მაგრამ კარიერა არ დაუსრულებია. ასეა თუ ისე, კლიჩკოსთან დევიდზე მეტი შანსი მაინც მას უნდა ჰქონდეს. არც ეს დაგვავიწყდეს - ვლადიმერი ადრე ჰეისაც შეხვდა, ტომპსონსაც და ორივე დაამარცხა.


მარკო ჰუკი (მარცხნივ) და ალექსანდრე პოვეტკინი

ესაუბრა
**ვასილ ბალახაძე**

## კალათბურთი

ქართველი NBA-ში

# ფაჩულიას ქულა დააკლდა, ატლანტას სამი

„მაიამი ჰიტი“ აღმოსავლეთის კონფერენციაში მეორე ადგილზეა. შინ 19-დან 17 მატჩი აქვს მოგებული. მაიამიში გამართულ შეხვედრაში ფლორიდელები „ატლანტასთანაც“ ფავორიტებად ითვლებოდნენ, მით უმეტეს, რომ ჯორჯიელებს მთავარი მექულე **ჯო ჯონსონი** აკლდათ მუხლის ტრავის გამო.

თუმცა მატჩი ისე წარიმართა, მოედანზე ფავორიტი არ გამოკვეთილა, რაც ატლანტელების, **ჯოშ სმითის** (23 ქულა), **ჯეფ ტიგის** (16 ქულა) და **ზაზა ფაჩულიას** დამსახურებაა. მართალია, ქართველი ცენტრი 10 ქულამდე ვერ ავიდა (9 ბალი, 10 მოხსნა), მაგრამ მწვრთნელს ყველაზე მეტად მისი დახმარება რომ დასჭირდა, სათამაშო დრომაც დაამტკიცა: ზაზამ ატლანტელთაგან ყველაზე მეტი, 42 წუთი ითამაშა. ცხადია, საკვანძო ეპიზოდებშიც მოედანზე იყო.

პირველ ტაიმში **ლებრონ ჯეიმსისა** და **დუეინ უეიდის** გუნდი მონდომებით ცდილობდა მატჩის სადავეების ხელში ჩაგდებას, მაგრამ 9 ქულაზე მეტით დაწინაურებას ვერ ახერხებდა. „ატლანტა“ არათუ სხვაობას კვეცდა, წინაც გადიოდა. მესამე პერიოდში სტუმრებმა ზაზას ორქულიანის შემდეგ სულაც 10-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს, თუმცა ლებრონის აფეთქების შემდეგ მაინც „მაიამიმ“ გადაწონა - 66:65. სწორედ ამ მომენტში მოხდა ინციდენტი ფაჩულიასა და ჯეიმსს შორის, რაზეც ამავე გვერდზე ვრცლად წაიკითხავთ.

ანგარიში მეოთხე პერიოდშიც აიწონა-დაიწონას პრინციპით მერყეობდა. სირენამდე 52 წამით ადრე ზაზამ ბურთი მეტოქის ფარზე მოხსნა და ჯარიმების ტყორცნის უფლება მოიპოვა. ერთი გამოიყენა და - 81:83 („მაიამის“ სასარგებლოდ). დარჩენილი მონაკვეთი ქულაუხვი გამოდგა: „ატლანტამ“ 5 ჩააგდო, „მაიამიმ“ - 6. ბოლო შეტევა ჯორჯიელებს დარჩათ, **ჯანერო პარგომ** შორეული სამქულიანი სტყორცნა და მიზნამდე სულ ცოტა დააკლდა. 89:86 „მაიამი ჰიტის“ სასარგებლოოდ.

31 ქულით მატჩის ბომბარდირი ლებრონ ჯეიმსი გახდა.

„ჰოქსი“ მომდევნო თამაშს 9 მარტს დეტროიტში ჩაატარებს.

**მაიამი-ატლანტა 89:86**

**ზაზა ფაჩულია:** 42 წუთი, 9 ქულა (9/4 ორქულიანი, 2/1 საჯარიმო), 10 მოხსნა, 3 პასი, 2 ჩაჭრა, 3 ფოლი, 3 შეცდომა.



| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 7:54 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 | 8-6 |
| 7:50 | შეცდომა: 1 | 8-6 |
| 6:24 | ორქულიანი: არაზუსტი | 8-11 |
| 5:20 | ჩაჭრა: 1 (უეიდს აართვა) | 10-13 |
| 3:14 | ორქულიანი: 2ქ | 14-19 |
| 2:56 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 | 14-19 |
| 1:49 | პასი: 1 (პარგო 3ქ) | 17-23 |
| 1:12 | რადმანოვიჩმა ზაზა შეცვალა | 17-25 |
| **II პერიოდი** | | |
| 11:33 | ზაზამ სმიტი შეცვალა | 22-25 |
| 11:14 | ორქულიანი: არაზუსტი | 22-25 |
| 10:00 | ორქულიანი: 2ქ | 24-29 |
| 9:44 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 | 24-29 |
| 8:17 | ორქულიანი: არაზუსტი | 26-33 |
| 7:22 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 | 28-33 |
| 6:56 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 | 30-33 |
| 5:50 | მოხსნა: შეტ-1, დაც-5 | 32-35 |
| 4:22 | პასი: 2 (სმიტი 2ქ) | 36-38 |
| 2:11 | ორქულიანი: 4ქ | 42-41 |
| 0:17 | პასი: 3 (სტეკჰაუსი 3ქ) | 45-43 |
| **III პერიოდი** | | |
| 11:03 | მოხსნა: შეტ-1, დაც-6 | 47-43 |
| 10:45 | ორქულიანი: არაზუსტი | 47-43 |
| 9:56 | ფოლი: 1 | 47-45 |
| 9:56 | შეცდომა: 2 | 47-45 |
| 9:10 | ჩაჭრა: 2 (ბოშს აართვა) | 47-45 |
| 6:47 | მოხსნა: შეტ-1, დაც-7 | 54-51 |
| 4:48 | ორქულიანი: 6ქ | 63-53 |
| 3:21 | ფოლი: 2 | 65-57 |
| 1:00 | შეცდომა: 3 | 65-66 |
| 0:52 | ფოლი: 3 | 65-66 |
| 0:52 | ტექნიკური შენიშვნა | 65-66 |
| 0:52 | დემპიემ ზაზა შეცვალა | 65-67 |
| **IV პერიოდი** | | |
| 8:34 | ზაზამ დემპიე შეცვალა | 71-74 |
| 7:03 | ორქულიანი: არაზუსტი | 71-77 |
| 2:26 | მოხსნა: შეტ-1, დაც-8 | 80-79 |
| 0:52 | მოხსნა: შეტ-2, დაც-8 | 80-83 |
| 0:52 | საჯარიმოები: 2/1 (9ქ) | 81-83 |
| 0:33 | პარგომ ზაზა შეცვალა | 81-85 |
| 0:02 | ზაზამ რადმანოვიჩი შეცვალა | 86-89 |

# ლებრონს გაუმართლა, ზაზას რომ გადაურჩა!

„NBA-ში ყველაზე თავზე ხელაღებული კალათბურთელის ჯილდო რომ არსებობდეს, ნამდვილად **ზაზა ფაჩულია** მოიპოვებდა. **ლებრონ ჯეიმსს** გაუმართლა, რომ ფაჩულიასთან ჩხუბის შემდეგ თვალები სახეზე შერჩა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ლებრონი „ნიუ ორლეან სეინთსის“ საფეხბურთო გუნდის წინაალმდეგ თამაშობდა“, - დაწერა „მაიამი ჰერალდის“ ჟურნალისტმა **ჯოზეფ გუდმანმა** თავის სვეტში.

ამერიკელი მიმომხილველის სიტყვები ცოტა გაბუქებულია, თუმცა ზაზა ფაჩულიამ და ლებრონ ჯეიმსმა „მაიამი“-„ატლანტას“ მატჩისას მართლაც იჩხუბეს. ბურთისთვის ბრძოლაში მაიამელმა ზაზა წააქცია და ზედ დაახტა. გაბრაზებულმა ფაჩულიამ კისერში ხელი მოჰკიდა, თუმცა ფლორიდელს თანაგუნდელი გამოექომაგა, ზაზას დასახმარებლად კი **ჯოშ სმიტმა** მოირბინა. ამასობაში გამშველებლებიც გამოჩნდნენ და სიტუაცია განიმუხტა.

ასე რომ, „თავზე ხელაღებულისა“ და ერთ-ერთი ყველაზე უხეში სპორტის, ამერიკული ფეხბურთის წარმომადგენლის, „ნიუ ორლეან სეინთსის“ ხსენება ჯოზეფ გუდმანის მხრიდან სტატიისთვის სიმძაფრის მისაცემად იყო ხსენებული. მსაჯებმა ზაზა ტექნიკური შენიშვნით დასაჯეს და შეხვედრაც ისევე საინტერესოდ გაგრძელდა, როგორც მანამდე მიმდინარეობდა.

ახლა ატლანტელ ჟურნალისტ **მაიკლ კანინგემს** მოვუსმინოთ: „ფაჩულია კვლავაც ამტკიცებს, რომ NBA-ს კოლიბრის ცენტრია - აღმოსავლეთის კონფერენციის ერთ-ერთ ფავორიტ „მაიამისთან“ ძლიერად ითამაშა. კარგი იქნებოდა, ქართველს ერთი ტყორცნით მეტი გამოეყენებინა და ორმაგი დუბლი შეესრულებინა, მაგრამ მან მაინც დიდი სამუშაო გასწია. ძალისმიერი თამაშით მაიამელებს სერიოზული თავსატეხი გაუჩინა. არც მათ ლიერდ **ლებრონ ჯეიმსს** დაუთმო რამე, რომელსაც ნამდვილად არ სიამოვნებდა რომ კალათისკენ გზას ზაზა ულობავდა. ასე მოხდა ჩხუბის მომენტშიც, რაზეც ფაჩულია შემდეგს ამბობს:

*- ორივე იატაკზე აღმოვჩნდით. მეც ბურთისთვის ვიბრძოდი და ჯეიმსიც. ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა, ამასობაში მსაჯებმაც დასტვინეს და...*

ლებრონ ჯეიმსის კომენტარი ასეთი იყო:

*- ფეხბურთის თამაშს დიდი ხანია შევეშვი, თუმცა სამაგისო მონაცემები ახლაც მაქვს...*

შეგახსენებთ, რომ ამერიკაში ზაზა ფაჩულიამ სახელი **კევინ გარნეტთან** ჩხუბით გაითქვა. მან „ბოსტონელ“ ვარსკვლავს უხეშობა არ აპატია. იყო კიდევ არაერთი მსგავსი შემთხვევა, რომლებზეც ზაზას არაერთხელ უთქვამს:

*- თამაშის აგრესიული სტილის გამო ზოგჯერ მეტოქეებთან უსიამოვნებაც მომდის, მაგრამ მთავარია, რომ მოედანზე კი არ ვჩხუბობ, არამედ ვიბრძვი.*









საქართველოს ჩემპიონატი. U 20


ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოხუმი, დინამო, აკადემია...

**2 მარტი**

**რუსთავი-დინამო 87:100**

17:30, 20:25, 26:23, 24:22

**რუსთავი:** გაგნიძე (18ქ, 9მ, 4პ), მებურიშვილი (16ქ, 6ჩ), არაბული (11ქ, 11მ)...

**დინამო:** ალხანაიძე (25ქ), ჩოჩია (25ქ), ლომიძე (17ქ)...

**6 მარტი**

**ოლიმპი-სტუ 81:87**

15:23, 24:28, 16:16, 26:20

**ოლიმპი:** მინაშვილი (33ქ, 5პ), მუმლაძე (22ქ, 9მ), ვახანია (9ქ, 10პ)...

**სტუ:** ლობჟანიძე (30ქ, 6პ), მაჩალაძე (22ქ, 18მ)...

**დინამო-სოხუმი 65:89**

19:31, 15:13, 15:22, 16:23

**დინამო:** ალხანაიძე (19ქ, 112მ), ორმოცაძე (12ქ, 11მ), გაბისონია (12ქ)...

**სოხუმი:** ჯინჭარაძე (19ქ), დვალიშვილი (19ქ, 9მ), როგავა (15ქ, 9პ)...

**მაქაბი-რუსთავი 79:86**

17:4, 19:34, 24:30, 19:18

**მაქაბი:** ლ. რევაზაშვილი (44ქ, 19მ), ხეთაგური (14ქ)...

**რუსთავი:** დვალი (20), ქიტოშვილი (18ქ, 11მ), ოქროჭელიძე (10ქ, 11მ), გაგნიძე (10ქ, 10მ)...

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სოხუმი | 14 | 10 | 4 | 1133/995 | 24 |
| 2. შსს აკადემია | 13 | 10 | 3 | 1025/880 | 23 |
| 3. დინამო | 13 | 10 | 3 | 1127/981 | 23 |
| 4. სტუ | 14 | 8 | 6 | 1112/1078 | 22 |
| 5. ოლიმპი | 13 | 7 | 6 | 967/995 | 20 |
| 6. ქუთაისი | 12 | 7 | 5 | 1056/947 | 19 |
| 7. კარდინალი | 13 | 3 | 10 | 847/989 | 16 |
| 8. რუსთავი | 12 | 4 | 8 | 880/980 | 16 |
| 9. მაკაბი | 14 | 0 | 14 | 978/1280 | 14 |

გასულ კვირაში ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი გაიმართა, რომელიც მოულოდნელი შედეგით დასრულდა. მართალია, სატურნირო მდგომარეობით „დინამო“ „სოხუმზე“ დაწინაურებული იყო, მაგრამ შეხვედრა სოხუმელებმა იოლი გამარჯვებით დაასრულეს. გუნდური თამაშის წყალობით სოხუმელებმა მატჩი მძლავრად დაიწყეს და საბოლოოდ 24 ქულის სხვაობით მოიგეს.

ასე რომ, „დინამოსა“ და „შსს აკადემიას“ „სოხუმიც“ წამოეწია და რეგულარული ჩემპიონატის მოგებაზე სერიოზული განაცხადიც გააკეთა.

ამ ტრიოს კვალში უდგანან სტუ და „ოლიმპი“, რომლებმაც ერთმანეთში გაარკვიეს ურთიერთობა. დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება ტექნიკოსებს დარჩათ, რომლებსაც 30 ქულა შეაწია **ლობჟანიძემ**, ხოლო ორმაგი დუბლით გამოირჩა **მაჩალაძე** (22 ქულა, 18 მოხსნა). მატჩის ბომბარდირი კი ოლიმპელი **მინაშვილი** გახდა - 33 ქულა.

საინტერესო ბრძოლა შედგა „მაქაბისა“ და „რუსთავს“ შორის. თბილისელებმა პირველი მეოთხედი 17:4 მოიგეს, თუმცა **ჯამლეტ ხუხაშვილის** გუნდი ფაქტობრივად შეცვლების გარეშე თამაშობდა და საბოლოოდ სეზონის პირველი გამარჯვების მოსაპოვებლად ძალა აღარ ეყო. **ლევან რევაზაშვილმა** რუსთაველებს 44 ქულა ჩაუგდო. ამით „მაკაბის“ ბომბარდირი მიმდინარე სეზონში უკვე მესამედ ასცდა 40-ქულიან ზღვარს. ლევანს აქამდე 48 და 45 ქულა ჰქონდა ჩაგდებული.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ერთა თასი



# მარიუს ტინკუ: ჩვენთვის ეს ფინალია

## ყველა ქალბატონს, ვინც თამაშის საყურებლად მივა, თაიგულს მიართმევენ

საქართველოს ნაკრები გუშინ, ბუქარესტში ჩავიდა, სადაც ერთა თასის გათამაშების მორიგ ტურში რუმინეთის ეროვნულ ნაკრებს დაუპირისპირდება. „ბორჯღალოსნებმა“ დღის მეორე ნახევარში მსუბუქად ივარჯიშეს კიდეც, რის შემდეგაც მასპინძლებთან ერთად პრესკონფერენცია გამართეს.

რუმინელთა გუნდის კაპიტანს, ფრანგული „პერპინიანის“ შერკინების კვაჭს **მარიუს ტინკუს** მიაჩნია, რომ:

*„საქართველოს ნაკრებთან მატჩი ჩვენთვის გადამწყვეტია, თითქმის ფინალის ტოლფასია. ამასთან ერთად, გვინდა, ახალ ზელანდიაში განცდილი მარცხის გამო რევანში ავიღოთ.“*

**პარი დუმიტრაში,** რუმინეთის ნაკრების დროებითი მწვრთნელი:

*„ეს თამაში ამ გაზაფხულზე ჩვენთვის მოვლენაა. საქართველოს ნაკრები ძლიერი მეტოქეა. მასთან თამაში მუდამ გვიჭირს. ვფიქრობთ, უმძიმესი მატჩი გვექნება.“*

საქართველოს ნაკრებიდან პრესკონფერენციას გუნდის ახალზელანდიელი მწვრთნელი **მილტონ ჰეიგი** და რუმინული „ფარულის“ ყოფილი მორაგბე, **ირაკლი ნატრიაშვილი** ესწრებოდნენ, რომელიც ამჟამად ფრანგული „ბრივის“ შემადგენლობაში ასპარეზობს.

*„ამ მატჩს ორივე გუნდისთვის ძალიან დიდი, პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ბუქარესტში მოსაგებად ჩამოვედით და ყველაფერს ვიღონებთ, რათა მიზანს მივაღწიოთ“,* თქვა „ბორჯღალოსნების“ თავკაცმა მილტონ ჰეიგმა.

ნატრიაშვილს კი მიაჩნია, რომ უშეღავათო ბრძოლაში, გუნდებს გამარჯვების თანაბარი შანსი აქვთ.

აღსანიშნავია, რომ სტადიონზე დასასწრები ბილეთები თამაშამდე ორი დღით ადრე მთლიანად გაყიდულია. რუმინეთის რაგბის ფედერაციის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ყველა ქალბატონს, ვინც თამაშის საყურებლად მივა, თაიგულს მიართმევენ.

■ ■ ■

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები რუმიენთის ეროვნულ გუნდს ბუქარესტში, შაბათს, თბილისის დროით 19 საათზე დაუპირისპირდება. მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს პირველი არხი შემოგთავაზებთ.

**საქართველოს ნაკრები: 15. გიორგი შკინინი (არმია), 14. ალექსანდრე თოდუა (ლელო), 13. დავით კაჭარავა (ნიცა), 12. მერაბ შარიქაძე (გლოსტერი), 11. ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი), 10. მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), 9. ირაკლი აბუსერიძე (ოსერი). 1. ვასილ კაკოვინი, 2. ირაკლი ნატრიაშვილი (ორივე-ბრივი), 3. დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), 4. გიორგი ნემსაძე (ვალანს დაჟენი), 5. გიორგი ჩხაიძე (სენ ჟუნიენი), 6. შალვა სუთიაშვილი (მასი), 7. ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), 8. მამუკა გორგოძე (მონპელიე).**

**16. რეზო ბელქანია (ლა სეინი), 17. მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), 18. დიმიტრი ბასილაია (ვალანს დაჟენი), 19. გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), 20. გიორგი ბეგაძე, 21. ლაშა მალაღურაძე, 22. თედო ზიბზიბაძე (პერიგო). 23. ბექა ბინაძე (არმია), 24. ბექა ნიკლაური (გდინია).**

### რუმინეთის ნაკრები

**შერკინება: ანდრეი ურსაკე, ანდრეი რადოი, მიჰაი მაკოვეი, (სამივე-ბაია მარე), მიჰაიტა ლაზარი, ვალენტინ ურსაკე (ორივე-ექსი), პეტრუ ტამბა, ვლად ბადალიჩესკუ, ფლავიუს დობრე, მიჰაიტა ადასკალიტეი, კოზმინ რატიუ (ყველა-დინამო), პაულიკა იონი (ლონდონ აირიში), მარიუს ტინკუ (პერპინიანი), კრისატიან პეტრე (სენტ ეტიენი), ვალენტინ პოპირლანი (ბუქარესტი), ალინ კოსტე (ბურგ ან ბრესი), ვიორელ ლუკაჩი (სტიაუა), დანიელ კარპო (ტიმიშოარა), ანდრეი გორჩიოაია (სარასენზი), ბოგდან პეტრანუ (ფარული).**

**უკანა ხაზი: ფლორინ სურუჯუ (ბუქარესტი), ვალენტინ კალაფეტეანუ, მადალინ ლემნარუ, (ორივე-ტიმიშოარა), დანუც დუმბრავა, ფლორინ ვლაიკუ (სტიაუა), დორინ მანოლე (ორტეზი), ჩაბა გალი, კრისტიან დინსი, გეორგ კატუნა, იონუც ნიაკსუ (ოთხივე-ბაია მარე), კონსტანტინ გეარა, ადრიან აპოსტოლი (ორივე-ფარული), კატალინ ნიკოლაე (დინამო), იულიან დუმიტრაში (ლურდი).**

### ერთა თასი 2012

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | +33 | 9 |
| 2.ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | +42 | 9 |
| 3.საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | +18 | 6 |
| 4.რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | -24 | 4 |
| 5.პორტუგალია | 3 | 0 | 0 | 3 | -34 | 2 |
| 6.უკრაინა | 1 | 0 | 0 | 1 | -35 | 0 |

### ორი წლის ჯამი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 7 | 6 | 0 | 1 | +151 | 28 |
| 2.რუმინეთი | 7 | 5 | 0 | 2 | +130 | 25 |
| 3.ესპანეთი | 7 | 4 | 0 | 3 | -41 | 19 |
| 4.პორტუგალია | 8 | 3 | 0 | 5 | -19 | 16 |
| 5.რუსეთი | 7 | 3 | 0 | 4 | -22 | 15 |
| 6.უკრაინა | 6 | 0 | 0 | 6 | -199 | 0 |

### 10 მარტი

**IV ტური**

რუმინეთი-საქართველო
პორტუგალია-ესპანეთი
რუსეთი-უკრაინა

ექვსი ერი

# ვამბობთ იტალიას, ვგულისხმობთ საფრანგეთს

ეროვნული

უელსის ნაკრები შაბათს, კარდიფში ექვსი ერის გათამაშების ბოლოსწინა ტურში იტალიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. „წითელ ურჩხულებს“ შესანიშნავი შანსი აქვთ წლეულს „დიდი სლემი“ შეასრულონ. საამისოდ, მათ „სკუადრა აძურასთან“ შესაძლო გამარჯვების შემდეგ, ერთი კვირის თავზე საფრანგეთის ნაკრების დამარცხება მართებთ, რომელსაც ასევე შინ დაუპირისპირდებიან.

ეს ამბავი უელსელებს მწარედ ახსენებს შარშან გამართულ მსოფლიოს თასზე „ლე ბლოსთან“ ნახევარფინალურ მატჩს, რომელშიც არბიტრმა ისინი ჯერ კიდევ შეხვედრის პირველ ნახევარში კაცნაკლული დატოვა. მაშინ ამ ფაქტმა დიდი გავლენა იქონია იმაზე, რომ უელსის ნაკრებმა ფინალში ვერ გააღწია. არადა ეს იქნებოდა ამ გუნდის საუკეთესო მიღწევა მის ისტორიაში.

*„ახალ ზელანდიაში ნახევარფინალში წაგებამ გული ძალიან დაგვწყვიტა, თუმცა უფრო მეტი მოტივაცია გაგვიჩინა, რათა თავდაუზოგავად გვემუშავა და თამაშის ისეთივე დონისთვის მიგვეღწია, როგორიც მსოფლიოს თასზე ასპარეზობისას გვქონდა.*

*ქომაგები ჩვენგან მხოლოდ გამარჯვებას ითხოვენ. ყველა „დიდი სლემის“ მოგებაზე ოცნებობს. მაგრამ იქამდე ორი თამაში გვაქვს მოსაგები. უახლოესი მეტოქე იტალიის ნაკრებია. ამ გუნდმა, ბოლო ხანს, საგრძნობლად მოუმატა და მასთან თამაში ძალიან გვიჭირს. სწორედ ამიტომ, ამჯერად, მხოლოდ „სკუადრა აძურასთან“ თამაშზე ვფიქრობთ და მთლიანად ამ მატჩის მოგებაზე ვართ კონცენტრირებულნი“,* თქვა უელსელთა შერკინების ბურჯმა **გეთლინ ჯენკინსმა.**

უელსელთა გუნდს ტრავმის მოშუშების შემდეგ დაუბრუნდა მეორეხაზელი **ალუნ-ვინ ჯოუნზი,** შესაბამისად სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებს **ლუკ ჩარტერისი.** მიკროტრავმა აწუხებდა შუამარბ **ჯიმი რობერტსს,** თუმცა უკანასკნელი ინფორმაციით ის სათამაშოდ მზადაა.

*„წინა ტურში ლონდონში, „თვიქნემზე“ გამარჯვების შემდეგ, შინ, „მილენიუმზე“ ვბრუნდებით და ჩვენი ქომაგების თანდასწრებით ორი ურთულესი მატჩის გამართვა მოგვიწევს. ძალიან კარგი შანსი გვაქვს, „დიდი სლემი“ მოვიპოვოთ. ცხადია, უწინარესად, იტალიის ნაკრებთან გამარჯვებაზე ვიზრუნებთ, თუმცა, ცალი თვალით, წინ, „ლე ბლოსთან“ მატჩისკენ იქნება ჩვენი მზერა მიმართული“,* თქვა უელსის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **უორენ გეთლენდმა.**

**უელსი: 15. ლეიგ ჰალპფენი, 14. ალექს კატბერტი, 1. ჯონათან დევისი, 12. ჯიმი რობერტსი, 11. ჯორჯ ნორსი, 10. რის პრისტლენდი, 9. მაიკ ფილიპსი. 1. გეთლინ ჯენკინსი, 2. მეთიუ რისი, 3. ადამ ჯოუნზი, 4. ალუნ-ვინ ჯოუნზი, 5. იან ევანსი, 6. დენ ლიდიატი, 7. ჯასტინ ტიპურიჩი, 8. ტობი ფალეტაუ.**

**16. კინ ოუენსი, 17. პაულ ჯეიმზი, 18. ლუკ ჩარტერისი, 19. რაიან ჯოუნზი, 20. ლოიდ ვილიამსი, 21. ჯეიმზ ჰუკი, 22. სკოტ ვილიამსი.**



# ლამონტი დე ლუკამ შეცვალა

შოტლანდიის ნაკრები ექვსი ერის მე-4 ტურის მატჩს სტუმრად გამართავს დუბლინში, ირლანდიის ეროვნულ გუნდთან. „სკოტების“ თავკაცმა **ენდი რობინსონმა** ორი კვირის წინათ „ლე ბლოსთან“ წაგებული მატჩის შემდეგ, ძირითად შემადგენლობაში ერთი ცვლილება განახორციელა.

შუამარბმა **შონ ლამონტმა** ფრანგებთან შეხვედრაში ფეხი მოიტეხა. ამიტომ მის ადგილს გუნდში **ნიკ დე ლუკა** დაიკავებს. ამასთან ერთად რობინსონმა სამი ცვლილება განახორციელა სათადარიგოთა შორის. **ევან მურეი, რუარიდ ჯექსონი** და მაქს **ევანსი,** შესაბამისად **ედ კალმენს, დანკან ვეიერსა** და ნიკ დე ლუკას შეცვლიან.

*„საფრანგეთის ნაკრებთან დაპირისპირებისას ბევრი კარგი კომბინაცია გამოგვივიდა. მაგრამ, საჭიროა კიდევ უფრო უკეთ ვითამაშოთ ხაზის გაჭრისას, რათა ირლანდიის ნაკრების დამარცხება შევძლოთ.*

*თუ მოვახერხებთ და ბოჭვისას თავდაუზოგავად გავირჯებით, დაცვაში მეტოქეს გასაქანს არ მივცემთ, მაშინ ირლანდიის ძალიან კარგი გუნდი დამარცხება შესაძლებელი იქნება.*

*მოხარული ვარ, რომ რუარიდ ჯექსონმა მსოფლიოს თასზე მიღებული ტრავმა მოიშუშა და ნელ-ნელა სათამაშო ფორმას იბრუნებს. დიდი იმედი გვაქვს, ასევე, რომ გუნდში დაბრუნებული მაქს ევანსი და ევან მურეი ნაყოფიერად გაირჯებიან“,* თქვა შოტლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ენდი რობინსონმა.

**შოტლანდია: 15. სტიუარტ ჰოგი, 14. ლი ჯონზი, 13. ნიკ დე ლუკა, 12. გრემ მორისონი, 11. შონ ლამონტი, 10. გრეიგ ლაიდლოუ, 9. მაიკ ბლერი. 1. ალან იაკობსენი, 2. როს ფორდი, 3. ჯეფ კროსი, 4. რიჩი გრეი, 5. ჯიმი ჰამილტონი, 6. ჯონ ბარკლი, 7. როს რენი, 8. დავიდ დენტონი.**

**16. სკოტ ლაუსონი, 17. ევან მურეი, 18. ალისტერ კელოკი, 19. რიჩი ვერნონი, 20. კრის კაზიტერი, 21. რუარიდ ჯექსონი, 22. მაქს ევანსი.**



# ბესტი სამყურებს უკაპიტნებს

ირლანდიის ნაკრებმა გასულ უქმეებზე საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან სტუმრად ფრეს მიაღწია, თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელი მატჩის განმავლობაში მეტოქეს არაფერს უთმობდა. „სამყურები“ ახლა შინ შოტლანდიის ნაკრებს უმასპინძლებენ.

ირლანდიელთა თავკაცმა **დეკლან კიდნიმ** გუნდის კაპიტნობა შერკინების კვაჭ **რორი ბესტს** ანდო. ლეგენდარული **ბრაიან ოდრისკოლისა** და **პოლ ოკონელის** შემდეგ ეს მისთვის დიდი პატივია. ბესტმა ოდრისკოლზე არანაკლები ლეგენდის **ქის ვუდის** რეკორდი გაიმეორა. ის ეროვნული გუნდის კვართს 58-ე კეპს მოიხვეჭს.

კიდნიმ ტრავმირებული ოკონელის ნაცვლად მეორეხაზში **დონჩა ორაიანი** დააყენა. **ქის ირლზმა, დონჩა ოკალაჰანმა** და **შონ ობრაიანმა** ფრანგებთან დაპირისპირებაში მცირე ტრავმები მიიღეს, მაგრამ ნაკრების სამედიცინო შტაბმა ნაყოფიერად იმუშავა.

*„ბედნიერი ვარ, რომ ეროვნული გუნდის კაპიტნობა მხვდა წილად. ეს ჩემთვის დიდი პატივია. ვიცით, რომ შოტლანდიასთან უმძიმესი მატჩი გველის, მაგრამ ყველაფერს ვიღონებთ, რომ გამარჯვებას მივაღწიოთ“,* თქვა რორი ბესტმა.

**ირლანდია: 15. რობ კირნი, 14. ტომ ბოუი, 13. ქის ირლზი, 12. გორდონ დარსი, 11. ენდრიუ ტრიმბლი, 10. ჯონათან სექსტონი, 9. ეონ რედანი. 1. კიან ჰილი, 2. რორი ბესტი, 3. მაილ როსი, 4. დონჩა ოკალაჰანი, 5. დონჩა რაიანი, 6. სტივენ ფერისი, 7. შონ ობრაიანი, 8. ჯიმი ჰისლიპი.**

**16. შონ კრონინი, 17. ტომ კარტი, 18. მაიკ მაკარტი, 19. პიტერ ომაჰონი, 20. ტომას ონილი, 21. რონან ოგარა, 22. ფერგიუს მაკფოდენი.**

### ექვსი ერი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. უელსი - 6 ქულა, 2. საფრანგეთი - 5, 3. ინგლისი - 4, 4. ირლანდია - 3, 5. შოტლანდია - 0, 6. იტალია - 0.

### 10 მარტი

უელსი-იტალია
ირლანდია-შოტლანდია

### 11 მარტი

საფრანგეთი-ინგლისი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

უცხოური სპორტი

ჩოგბურთი. ინდიან უელსის მასტერსის წინ

# როჯერს რეკორდი შეუძლია

ინდიან უელსის ტურნირი, რომელსაც თავიდან American Airlines Tennis Games ერქვა, პირველად 1974 წელს ჩატარდა. მისი პირველი ჩემპიონი გახდა ლეგენდარული ავსტრალიელი **ჯონ ნიუკომბი**, რომელმაც ფინალში სახელოვანი ამერიკელი **არტურ ეში** დაამარცხა. თუმცა იმ სეზონში ტურნირს პროფესიული სტატუსი არ ჰქონია.

მას შემდეგ შეჯიბრებამ რამდენჯერმე შეიცვალა ადგილმდებარეობა, 70-იანი წლების ბოლოს კი ტურნირის ფლორიდაში გადატანას აპირებდნენ. მაგრამ გადასვლა არ შედგა ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელისა და ფუნქციონერის **ჩარლი პასარელას** წყალობით, რომელმაც ქალაქ ლა კვინტაში ტურნირს მუდმივი „სახლი" უპოვა, 1981 წლიდან დღემდე კი ტურნირის დირექტორი გახლავთ.

1986 წელს ტურნირი მეზობელ ინდიან უელსში გადავიდა, თუმცა ეს დაგეგმილი ნაბიჯი იყო. იმ დროისთვის, კალიფორნიის პატარა ქალაქში საჩოგბურთო სპორტკომპლექსი ნამდვილი სასწაული იყო, თუმცა 2000 წელს პასარელმა მთელს საჩოგბურთო სამყაროს წარუდგინა ახალი კომპლექსი - Indian Wells Tennis Garden. სხვათა შორის, ამ კომპლექსის ცენტრალური კორტი - მეორეა ტევადობით მსოფლიოში. მის ტრიბუნებზე 16 ათასი მაყურებელი ეტევა.

ინდიან უელსის მასტერსი ერთ-ერთი უმსხვილესი ტურნირია. აქ უამრავი ლეგენდარული მატჩი ჩატარებულა დიადი ჩოგბურთელების მონაწილეობით, თუმცა კურიოზიც მრავლად ყოფილა. მაგალითად, 1980 წელს ტიტული არ გათამაშდა. მას შემდეგ, რაც დასრულდა მეოთხედფინალური ეტაპი, კალიფორნიაში გაწვიმდა. უამინდობა იმდენი ხანი გაგრძელდა, რომ ტურნირის ხელმძღვანელობამ ხელი ჩაიქნია და შეჯიბრების დასრულების შესახებ გამოაცხადა.

1981 წელს ლეგენდარულმა **ჯიმი კონორსმა** მესამედ მოიგო ინდიან უელსი და ამ მაჩვენებლით რეკორდსმენი გახდა, მაგრამ შემდეგ მას გაუთანაბრდნენ **მაიკლ ჩანგი** და **როჯერ ფედერერი**. ასე რომ, წელს შვეიცარიელს მორიგი შანსი აქვს, გაუსწროს კონორსსა და ჩანგს. ასევე მესამე ტიტულის მოგების შესაძლებლობა აქვს **რაფაელ ნადალსა** და **ნოვაკ ჯოკოვიჩს**.

■ ■ ■

მსოფლიოს პირველი ნომერი ნოვაკ ჯოკოვიჩი სამართლიანად უდგას სათავეში სატურნირო ბადეს. უკვე მესამე წრეში მას უხერხული მეტოქე ელის - ცოტა ხნის წინ დელრეი ბიჩის ტრიუმფატორი, სამხრეთაფრიკელი **კევინ ანდერსონი**, რომლისთვისაც ფავორიტების დამარცხება უცხო არ არის.

აქვეა **ენდი როდიკი**, რომელსაც ინდიან უელსში არასოდეს გაუმარჯვია. ყველაზე ახლოს ტიტულთან ამერიკელი ორი წლის წინ იყო, როცა ფინალში სენსაციურად წააგო **ივან ლუბიჩიჩთან**. ამჯერად, როდიკის პირველი მეტოქე შეიძლება გახდეს კიდევ ერთი ხორვატი - **ივო კარლოვიჩი**.

ისევე როგორც ავსტრალიის ღია პირველობაზე, აქაც ბადის პირველ ნახევარში ჯოკოვიჩის მხარეს მოხვდა **ენდი მიურეი**. ბრიტანელს პირველი სერიოზული მეტოქე მეოთხედფინალში ეყოლება, რადგან მანამდე ვერც **ვიქტორ ტროიცკი**, ვერც **სტანისლას ვავრინკა** და ვერც **ჟილ სიმონი** პრობლემას ვერ შეუქმნიან.

ლოგიკის მიხედვით, აქ მიურეისთან მეოთხედფინალში შესახვედრად ორი ამერიკელი - **ჯონ ისნერი** და **მერდი ფიში** უნდა დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მერდი ბოლო დროს არ ბრწყინავს, მაგრამ ინდიან უელსში ყოველთვის გამოსდის თამაში, რაზეც შარშანდელი ნახევარფინალი მეტყველებს.

ბადის მესამე მეოთხედში აშკარა ფავორიტია როჯერ ფედერერი. თუ ყველაფერი ლოგიკურად განვითარდა, მესამე წრეში გაიმართება საინტერესო შეხვედრა ფედერერსა და **მილოშ რაონიჩს** შორის.

ამ მეოთხედში როჯერის მთავარი კონკურენტები - **ხუან მარტინ დელ პოტრო** და **დავიდ ფერერი** მეოთხე წრეში უნდა შეხვდნენ ერთმანეთს. ფერერი ამჟამად მეხუთე ადგილზეა კლასიფიკაციაში და სავარაუდოდ, ამ პოზიციისთვის მალე გამოთქვამს პრეტენზიას დელ პოტრო. ასე რომ, ამ ჭრილში მათი მატჩი ძალიან საინტერესო იქნება.

ბადის ბოლო მეოთხედში საინტერესოა სერიოზული ტრავმების შემდეგ დიდ ტურნირებზე **მარინ ჩილიჩის** დაბრუნება. დელრეი ბიჩში ხორვატმა სტარტზე წააგო **იარკო ნიემინენთან**, თუმცა ცუდი თამაში არ უჩვენებია. ამჯერად ის მეორე წრეში **დავიდ ნალბანდიანს** უნდა შეხვდეს.

ავსტრალიელი ვუნდერკინდი **ბერნარდ ტომიჩი** ლუქსემბურგელ **ჟილ მიულერს** შეხვდება. ამ მატჩის გამარჯვებულს კი სერბი **იანკო ტიპსარევიჩი** ელოდება. ამ მეოთხედშია **მარკოს ბაღდატისი**. ერთი კვირის წინ, დუბაიში, სანამ პირველ წრეში **ჟო-ვილფრიდ ცონგასთან** წააგებდა, კვიპროსელმა განაცხადა, რომ როცა ის სატურნირო ბადეშია, ჯოკოვიჩს გამარჯვების არანაირი შანსი არ გააჩნია. სხვათა შორის სერბმა ის ტურნირი ვერ მოიგო. საინტერესოა, რაფაელ ნადალს როგორ ჰყავს დაცდილი ბაღდატისი? კვიპროსელი სწორედ ესპანელის მეოთხედში მოხვდა.

ინდიან უელსის მასტერსს ერთი ტენდენცია ახასიათებს. მას შემდეგ, რაც რეიტინგში „დიდი ოთხეული" (ჯოკოვიჩი, ნადალი, ფედერერი, მიურეი) ჩამოყალიბდა, მისი წევრები სრული შემადგენლობით ნახევარფინალში არასოდეს გასულან. სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე ხშირად ამ ეტაპამდე მიურეი ვერ გადიოდა. საინტერესოა, რა მოხდება ამჯერად?

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ინდიან უელსი. კაცების ბადე

| 1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2 |
|---|---|---|---|---|---|
| ჯოკოვიჩი (სერ, 1) | ჯოკოვიჩი (სერ, 1) | | | | |
| გოლუბევი (ყაზ) | | | | | |
| დე ვოესტი (ს. აფრ) | | | | | |
| ბახინგერი (გერ) | | | | | |
| კოლშრაიბერი (გერ) | | | | | |
| ანდერსონი (ს. აფრ, 29) | ანდერსონი (ს. აფრ, 29) | | | | |
| ფ. მაიერი (გერ, 18) | ფ. მაიერი (გერ, 18) | | | | |
| ჰაასე (ჰოლ) | | | | | |
| ანდუხარი (ესპ) | | | | | |
| რამოსი (ესპ) | | | | | |
| ლევინე (აშშ) | | | | | |
| გასკე (საფ, 16) | გასკე (საფ, 16) | | | | |
| ალმაგრო (ესპ, 12) | ალმაგრო (ესპ, 12) | | | | |
| შმიჩეკი (აშშ) | | | | | |
| კუერი (აშშ) | | | | | |
| ხირალდო (კოლ) | | | | | |
| სოკი (აშშ) | | | | | |
| ნიშიკორი (იაპ, 17) | ნიშიკორი (იაპ, 17) | | | | |
| როდიკი (აშშ, 30) | როდიკი (აშშ, 30) | | | | |
| კარლოვიჩი (ხორ) | | | | | |
| კუბოტი (პოლ) | | | | | |
| ბოგომოლოვი (რუს) | | | | | |
| სტახოვსკი (უკრ) | | | | | |
| ბერდიხი (ჩეხ, 7) | ბერდიხი (ჩეხ, 7) | | | | |
| მიურეი (ბრიტ, 4) | მიურეი (ბრიტ, 4) | | | | |
| გარსია ლოპესი (ესპ) | | | | | |
| მაშადო (პორ) | | | | | |
| ჩიპოლა (იტა) | | | | | |
| ჰარისონი (აშშ) | | | | | |
| ტროიცკი (სერ, 25) | ტროიცკი (სერ, 25) | | | | |
| ვავრინკა (შვეიც, 23) | ვავრინკა (შვეიც, 23) | | | | |
| ლორენცი (იტა) | | | | | |
| ჯინეპრი (აშშ) | | | | | |
| დელიჩი (ბოს) | | | | | |
| სელა (ისრ) | | | | | |
| სიმონი (საფ, 13) | სიმონი (საფ, 13) | | | | |
| ისნერი (აშშ, 11) | ისნერი (აშშ, 11) | | | | |
| ჟილი (პორ) | | | | | |
| უილიამსი (აშშ) | | | | | |
| პოსპიშილი (კან) | | | | | |
| მაუ (საფ) | | | | | |
| მონაკო (სერ, 22) | მონაკო (სერ, 22) | | | | |
| ბენეტო (საფ, 32) | ბენეტო (საფ, 32) | | | | |
| ებდენი (ავსტრა) | | | | | |
| კუნიცინი (რუს) | | | | | |
| სეპი (იტა) | | | | | |
| ო. როხუსი (ბელ) | | | | | |
| ფიში (აშშ, 8) | ფიში (აშშ, 8) | | | | |



ინდიან უელსის მთავარი არენა

| 1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64 |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ფერერი (ესპ, 5) | ფერერი (ესპ, 5) |
| | | | | | დოდიგი (ხორ) |
| | | | | | დიმიტროვი (ბულ) |
| | | | | | ლუ (ტაივ) |
| | | | | | ისტომინი (უზბ) |
| | | | | ჩელა (არგ, 31) | ჩელა (არგ, 31) |
| | | | | ვერდასკო (ესპ, 19) | ვერდასკო (ესპ, 19) |
| | | | | | შტებე (გერ) |
| | | | | | სვიტინგი (აშშ) |
| | | | | | მატოშევიჩი (ავსტრა) |
| | | | | | ბემელმანსი (ბელ) |
| | | | | დელ პოტრო (არგ, 9) | დელ პოტრო (არგ, 9) |
| | | | | მონფილსი (საფ, 14) | მონფილსი (საფ, 14) |
| | | | | | დავიდენკო (რუს) |
| | | | | | ბუბკა (უკრ) |
| | | | | | როსოლი (ჩეხ) |
| | | | | | ბელუჩი (ბრა) |
| | | | | მელცერი (ავსტრი, 20) | მელცერი (ავსტრი, 20) |
| | | | | რაონიჩი (კან, 27) | რაონიჩი (კან, 27) |
| | | | | | ბერლოკი (არგ) |
| | | | | | პერი (საფ) |
| | | | | | ტურსუნოვი (რუს) |
| | | | | | კუდლა (აშშ) |
| | | | | ფედერერი (შვეიც, 3) | ფედერერი (შვეიც, 3) |
| | | | | ცონგა (საფ, 6) | ცონგა (საფ, 6) |
| | | | | | ლოდრა (საფ) |
| | | | | | გულბისი (ლატ) |
| | | | | | მალისე (ბელ) |
| | | | | | რეინოლდსი (აშშ) |
| | | | | შტეპანეკი (ჩეხ, 28) | შტეპანეკი (ჩეხ, 28) |
| | | | | ჩილიჩი (ხორ, 24) | ჩილიჩი (ხორ, 24) |
| | | | | | სტარაჩე (იტა) |
| | | | | | ნალბანდიანი (არგ) |
| | | | | | ტომიჩი (ავსტრა) |
| | | | | | მიულერი (ლუქ) |
| | | | | ტიფსარევიჩი (სერ, 10) | ტიფსარევიჩი (სერ, 10) |
| | | | | ფ. ლოპესი (ესპ, 15) | ფ. ლოპესი (ესპ, 15) |
| | | | | | შარდი (საფ) |
| | | | | | ბაღდატისი (კვიპ) |
| | | | | | იანგი (აშშ) |
| | | | | | დარსისი (ბელ) |
| | | | | დოლგოპოლოვი (უკრ, 21) | დოლგოპოლოვი (უკრ, 21) |
| | | | | გრანოლერსი (ესპ, 26) | გრანოლერსი (ესპ, 26) |
| | | | | | ნიემინენი (ფინ) |
| | | | | | ჰაასი (გერ) |
| | | | | | ფალა (კოლ) |
| | | | | | ლ. მაიერი (არგ |
| | | | | ნადალი (ესპ, 2) | ნადალი (ესპ, 2) |

ჩოგბურთი

# ლუბიჩიჩი აპრილში წავა


ივან ლუბიჩიჩი

32 წლის ხორვატმა ჩოგბურთელმა **ივან ლუბიჩიჩმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. გუშინ მან განაცხადა, რომ ბოლო ტურნირი, რომელშიც ის მიიღებს მონაწილეობას, აპრილში მონტე-კარლოს მასტერსი იქნება, რის შემდეგაც ოფიციალურად გამოაცხადებს პროფესიული სპორტიდან წასვლის შესახებ.

*„ნებისმიერ პროფესიონალ სპორტსმენს უჭირს კარიერის დასრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღება,* - განაცხადა ივან ლუბიჩიჩმა. - *ახლა ჩემი ცხოვრების მომავალ ეტაპზე ვფიქრობ. ჩოგბურთმა ძალიან ბევრი რამ მომცა და მინდა მომავალშიც იყოს ის ჩემი ცხოვრების ნაწილი და რაღაც წვლილი შევიტანო მის განვითარებაში".*

14-წლიანი კარიერის განმავლობაში ლუბიჩიჩმა ATP-ის ათი ტურნირი მოიგო ერთეულთა თანრიგში. მისი მთავარი წარმატება იყო 2010 წელს ინდიან უელსის მასტერსის მოგება, სადაც ფინალში **ენდი როდიკი** დაამარცხა, ფინალამდე კი **ნოვაკ ჯოკოვიჩსა** და **რაფაელ ნადალს** სძლია. გარდა ამისა, ლუბიჩიჩი ხორვატიის ნაკრებს 2005 წელს დევისის თასის მოგებაში დაეხმარა.

ცურვა

# ტორპს ლონდონის არ სჯერა


იან ტორპი

ლონდონის ოლიმპიადისთვის დიდ სპორტში დაბრუნებული **იან ტორპი**, სავარაუდოდ ვერ მოხვდება წლევანდელ ზაფხულის თამაშებზე. ამის შესახებ 29 წლის სპორტსმენმა ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირის წინ განაცხადა, რომელიც სულ მალე ადელაიდაში გაიმართება. ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი აღიარებს, რომ მას უფრო ადრე უნდა დაეწყო ოთხწლეულის მთავარი სტარტისთვის მზადება. შეგახსენებთ, რომ ტორპმა სპორტში დაბრუნების შესახებ დაახლოებით ერთი წლის წინ გამოაცხადა.

*„ყველაზე რეალური ვარიანტი ის არის, რომ მე ვერ შევძლებ კვალიფიკაციის გავლას. წარმატების მისაღწევად, მინიმუმ ექვსი თვით ადრე უნდა დავბრუნებულიყავი აუზში,* - ამბობს ტორპი სააგენტო „როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში. - *მაგრამ მოსალოდნელი წარუმატებლობა არ ნიშნავს სპორტიდან ავტომატურ წასვლას. ეს ჩემი ბოლო გაბრძოლებაა და მინდა ამ მომენტით სიამოვნება მივიღო. ვფიქრობ, ოლიმპიადის შემდეგ მინიმუმ ერთი ან ორი წელი დავრჩები სპორტში".*

ტორპი ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირზე 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში აპირებს გამოსვლას.

კრივი

# პაკიაოს იჭერენ?


მენი პაკიაო

ფილიპინების საგადასახადო პოლიციის წარმომადგენლები სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვენ მსოფლიოს საუკეთესო მოკრივისა და პარლამენტარის **მენი პაკიაოს** წინააღმდეგ. მოკრივემ ყურად არ იღო პოლიციის მოთხოვნა - პირველ მარტამდე წარმოედგინა შესაბამისი დოკუმენტები.

როგორც სააგენტო „როიტერი" წერს, ახლა ადგილობრივი პროკურატურა გადაწყვეტს - საკმარისია თუ არა საგადასახადო პოლიციის მიერ წარმოადგენილი მტკიცებულებები სასამართლოში საქმის აღძვრისთვის. თუ მოვლენები მსოფლიოს ჩემპიონისთვის არასასურველი სცენარით განვითარდა, ის შეიძლება ორწლიანი პატიმრობით დასაჯონ.

სიტუაციის კომენტირებისას, შიდა შემოსავლების ბიუროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პაკიაოს 2010 წლის დოკუმენტებში ბევრი უზუსტობა და გადაცდენაა. მოკრივის წარმომადგენელთა მხრიდან ჯერჯერობით კომენტარი არავის გაუკეთებია.

დავამატებთ, რომ ჟურნალ „ფორბსის" ვერსიით, პაკიაო 2011 წლის ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენების სიაში 24-ე ადგილს იკავებს.

ველოსპორტი

# ვიგინსი ისევ ყვითელშია



პარიზი-ნიცას ველორბოლის მეოთხე ეტაპზე ისევ სპრინტმა გამოარკვია გამარჯვებული. ეტაპი ტრადიციული სცენარით განვითარდა. თავდაპირველად შედგა გაქცევა – პელოტონს დასცილდა ხუთი ნაკლებად ცნობილი ველომრბოლი. მათგან გენერალურ კლასიფიკაციაში საუკეთესო მაჩვენებელი – 103-ე ადგილი ბელგიელ **ბარტ დე კლერკს** ჰქონდა. აქვე იყო ესპანელი **ლუის ანხელ მატე**, რომელიც "მთის მეფის" მაისურისთვის იბრძვის და ეტაპის განმავლობაში საბონუსე ქულების შეგროვებას აპირებდა.

გაქცეულები ზრდიდნენ უპირატესობას და ერთი პირობა ხუთ წუთსაც იგებდნენ, მაგრამ პელოტონმა არც ამჯერად დაუშვა მათი გამარჯვება და ფინიშამდე 22 კილომეტრით ადრე დაეწია ლიდერთა ჯგუფს. არადა, იყო საშიშროება, რომ დევნა გართულდებოდა, რადგან პელოტონმა ვერც ამჯერად აიცილა თავიდან ავარია, თუმცა ველომრბოლები ტრავმებს გადაურჩნენ.

ბოლო კილომეტრებზე კი დაიწყო სპრინტერული გარჩევები. გუნდები ცდილობდნენ თავიანთ საუკეთესო სპრინტერებისთვის ხელსაყრელი სიტუაცია შეექმნათ შეტევისთვის. ამ მხრივ ყველაზე კარგად „ლოტოს" წევრებმა იმუშავეს და ამ საჯინიბოს წევრმა **ჯანი მირსმენმა** პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

მეათე მივიდა ფინიშთან საერთო ჩათვლის ლიდერი, ბრიტანელი **ბრედლი ვიგინსი**, რომელმაც შეინარჩუნა ყვითელი მაისური. მეოთხე ეტაპს გენერალურ კლასიფიკაციაში არაფერი შეუცვლია – ვიგინსი კვლავ ექვს წამს უგებს ამერიკელ **ლევი ლაიპჰაიმერს**.

ფორმულა 1

# დიდ ცირკში ქალი გამოჩნდა


მარია დე ვილოტა

ესპანელმა ქალმა პილოტმა **მარია დე ვილოტამ** ტესტ-პილოტის კონტრაქტი გააფორმა ინგლისურ-რუსულ საჯინიბოსთან „მარუსიასთან". ის მონაწილეობას მიიღებს ახალგაზრდულ ტესტებში, რომელიც სეზონის ბოლოს აბუ-დაბიში გაიმართება.

შარშან, მარია ერთხელ უკვე იჯდა ფორმულა 1-ის მანქანის საჭესთან - „რენოს" ბოლიდით მონაწილეობა მიიღო **პოლ რიკარის** სახელობის ავტოდრომზე გამართულ ტესტებში. ახლა, დე ვილოტას ახალი შანსი გაუჩნდა.

*„მოხარული ვარ „მარუსიასთან" კონტრაქტის გაფორმებით. ფორმულა 1-ის გუნდთან მუშაობის ფანტასტიკური შესაძლებლობა გამიჩნდა. გუნდის ერთ-ერთი წევრი გავხდები და ერთად მოვემზადებით პირველი რბოლისთვის, რომელიც მომავალ უქმეებზე გაიმართება. იმედი მაქვს, რომ ეს კონტრაქტი დამეხმარება ფორმულა 1-ში დამკვიდრებაში",* - განაცხადა ესპანელმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევროპის ლიგა**

**1/8 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| ატლეტიკო-ბეშიქთაში | 3:1 |
| ტვენტე-შალკე | 1:0 |
| მეტალისტი-ოლიმპიაკოსი | 0:1 |
| სპორტინგი-მანჩესტერ სიტი | 1:0 |
| ალკმაარი-უდინეზე | 2:0 |
| მანჩესტერ იუნ-ბილბაო | 2:3 |
| სტანდარდი-ჰანოვერი | 2:2 |
| ვალენსია-ეინდჰოვენი | 4:2 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| რუსენბორგი-ტორპედო | 2:0 |
| მიალბიუ-ტრელებორგი | 2:0 |
| სანდეფიორდი-ფრედრიკსტადი | 0:3 |
| ტრომსიო-ბრანი | 1:1 |
| ვიბორგი-ბლოხუსი | 2:3 |
| ბოდო გლიმტი-სიოგნდალი | 2:2 |

**კალათბურთი**

**იტალია**

| | |
|---|---|
| ვენეცია-ბიელა | 75:83 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ბარსელონა-კახასოლი | 63:66 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ფენერბაჰჩე-პინარი | 102:99 (ო) |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| სევერსტალი-ატლანტი | 1:2 |
| დინამო (რ)-ტორპედო | 3:1 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| კლაგენფიურტი-ზაგრები | 4:1 |
| ოლიმპია-ლინცი | 3:4 (ო) |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| მანჰაიმი-ჰანოვერი | 6:0 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სტავანგერი-რუსენბორგი | 10:1 |
| ვოლერენგა-სტორჰამარი | 4:1 |
| ლილეჰამერი-სპარტა | 4:3 |
| ლორენსკოგი-სტიორნენი | 6:3 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| კოშიცე-ბისტრიცა | 4:3 |
| სკალიცა-ზვოლენი | 3:0 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| იოკერიტი-კერპეტი | 4:1 |
| კალპა-ბლუზი | 3:1 |
| ლუკო-იუვიასკიულა | 3:4 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| პარდუბიცე-ვიტკოვიცე | 5:2 |
| ლიბერეცი-ბუდეიოვიცე | 4:3 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ამბრი-ლანგნაუ | 1:4 |
| ბერნი-კლოტენი | 4:1 |
| ბილი-ცუგი | 4:3 |
| ლუგანო-ფრიბურგი | 0:2 |
| რაპერსვილი-სერვეტი | 2:1 |
| ციურიხი-დავოსი | 1:0 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ინდიან უელსი**

| | |
|---|---|
| კარლოვიჩი-კუბოტი | 4:6, 2:6 |
| სეპი-როხუსი | 4:6, 6:3, 6:4 |
| კოლშრაიბერი-ბახინგერი | 6:4, 6:2 |

**WTA. ინდიან უელსი**

| | |
|---|---|
| არნი-ლარსონი | 1:6, 0:6 |
| ბრიანტი-სოლერი | 3:6, 6:1, 6:7 |
| დულგერუ-ფალკონი | 4:6, 2:6 |
| პაჩეკი-იაკიმოვა | 6:4, 2:6, 6:1 |
| ჰალეპი-ჟანგი | 6:1, 6:1 |

TV პროგრამა

**9 მარტი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
11:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXV ტურის მიმოხილვა.
12:00 ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. ტვენტე-შალკე. I მატჩი.
14:00 ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. სპორტინგი-მანჩესტერ სიტი. I მატჩი.
16:00 ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. ვალენსია-ეინდჰოვენი. I მატჩი.
18:00 ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. მანჩესტერ იუნ-ბილბაო. I მატჩი.
20:00 იტალიის შოუ.
20:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. XXVI ტურის წინ.
23:00 პროგრამა - საფეხბურთო ლამე.
00:30 იტალიის ჩემპიონატი. XXVII ტურის წინ.
01:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXVI ტურის წინ.
01:30 იტალიის ჩემპიონატი. XXVII ტური. კიევო-ინტერი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ტვენტე.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ორლანდო.
14:30 სუპერკოლაჟი.
15:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-მილანი.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. იტალია-ინგლისი.
18:45 ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყაროში.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ორლანდო.
22:00 NBA Action.
22:30 საჩოგბურთო მიმოხილვა - მატჩ-პოინტი.
23:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. საქართველოს თასი.
23:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XXVII ტური. ნაპოლი-კალიარი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები.
13:30 სპორტ-NEWS.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები.
17:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სპორტინგი.
19:30 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. ოლიმპიაკოსი-გალათასარაი.
21:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები.
23:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXVI ტური. აიაჩო-მარსელი (LIVE).

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# პინგვინები არ აგებენ



ჰოკეის ეროვნულ ლიგაში გრძელდება "პიტსბურგ პინგვინზის" ბრწყინვალე სვლა. "პინგვინებმა" დღეს დილით შინ დაამარცხეს „ტორონტო" და ზედიზედ მეშვიდე მოგება იზეიმეს.

„კაროლინასთან" საშინაო შეხვედრაში უგოლო პირველი პერიოდის შემდეგ, „პიტსბურგისთვის" მეორე პერიოდის დასაწყისი ცუდად განვითარდა - **კესელმა** და **გუნარსონმა** ორშაიბიანი უპირატესობა მოუტანეს სტუმრებს. ამჯერად ჩრდილში მოექცა რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი **ევგენი მალკინი**, რომელმაც უქულოდ დატოვა მოედანი, მაგრამ მასპინძელთა რიგებში აღმოჩნდნენ ჰოკეისტები, რომლებმაც შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა. პირველ რიგში, ეს იყო **დუპუი**, რომელმაც ორი გოლი და საგოლე პასი მიითვალა. კიდევ ერთი გოლი **ჯორდან სტაალმა** გაიტანა, რომელიც ზედიზედ მეექვსე მატჩია, ქულის გარეშე არ ტოვებს მოედანს.

„პიტსბურგი" მყარად იკავებს აღმოსავლეთის მეოთხე პოზიციას და თანდათან უახლოვდება დივიზიონის ლიდერ "ნიუ იორკ რეინჯერსს". ახლა, „პინგვინები" ექვსი ქულით ჩამორჩებიან რეინჯერებს.

**ბაფალო-კაროლინა 3:2**

0:1, 2:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 შპაჩეკი-4 (მაკბეინი-17, ი. იოკინენი-25), 1:1 მიერსი-7 (კალეტა-5, ლეოპოლდი-11), 2:1 ვანეკი-23 (ერჰოფი-23, პომინვილი-37), 2:2 ლაროუზი-13 (სკინერი-20), 3:2 პომინვილი-24 (ერჰოფი-24, ვანეკი-26).

**პიტსბურგი-ტორონტო 3:2**

0:0, 1:2, 2:0

**გოლები:** 0:1 კესელი-34 (გარდინერი-17, ბოჟაკი-24), 0:2 გუნარსონი-4 (გრაბოვსკი-26, მაკარტური-18), 1:2 დუპუი-16 (ნისკანენი-16, ჯ. სტაალი-14), 2:2 ჯ. სტაალი-22 (ორპიკი-13, დუპუი-23), 3:2 დუპუი-17 (სალივანი-25, ლავჯოი-3).

კალათბურთი. ინტერვიუ ბარაკ ობამასთან

# ჯორდანი ყველა დროის მოთამაშეა

**ქალიშვილების** თამაშზე, სამწვრთნელო გამოცდილებაზე, კრის პოლთან ნაცნობობაზე, თავის სათამაშო თვისებებზე, „ჩიკაგოზე", ჯორდანზე, გრიფინზე, ლინზე... ეს არის თემები, რომლის შესახებ ლაპარაკობს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა ბილ სიმონსისთვის მიცემულ ინტერვიუში.

**- იქნებ აგვიხსნათ, როგორ პოულობთ დროს იმისთვის, რომ მსოფლიო სპორტის სამყაროში განვითარებულ მოვლენებს ადევნოთ თვალი?**

- ჯერ ერთი, არ ვუყურებ ახალ ამბებსა და საკაბელო ტელევიზიას. ამიტომაც დილით, როცა მიშელთან ერთად ვარ, SportsCenter-ს ვრთავ. ეს ერთადერთია, რის უფლებასაც ის მაძლევს. იქ წინა დღეს მომხდარ ყველა მნიშვნელოვან სპორტულ მოვლენაზე ლაპარაკობენ. თანაც მე „ღამის კაცი" ვარ. მიშელი და გოგონები დაახლოებით 21 საათსა და 30 წუთზე იძინებენ. მე კი, როგორც წესი, შუაღამემდე ვმუშაობ. სწორედ ამ დროს ვაძლევ თავს უფლებას, რომელიმე მატჩი ჩავრთო და პარალელურად მივადევნო თვალი.

**- წარმომიდგენია, როგორ აჩვენებთ თავს ოჯახის წევრებს, რომ თითქოს მუშაობთ, ამ დროს კი საწოლში League Pass-ის დახმარებით საკუთარ iPad-ზე რომელიმე საკალათბურთო მატჩს უყურებთ...**

- სხვათა შორის მართლაც ვიყენებ საკუთარ iPad-ზე League Pass-ს.

**- ამაში თქვენ იხდით ფულს თუ თეთრი სახლი?**

- არა, გადახდა მე მეკუთვნის (იცინის).

**- იცით, რომ ცოტა ხნის წინ, ჰარვარდის კურსდამთავრებულებს შორის პოპულარობით ერთმა ბიჭმა გაგასწროთ?**

- ჯერემი ლინმა. ის კარგია. მე ვიცოდი ჯერემი ლინის შესახებ იქამდე, სანამ ის ფართო პუბლიკისთვის გახდებოდა ცნობილი. განათლების მინისტრი არნე დუნკანი ჰარვარდის გუნდის კაპიტანი იყო. და ერთხელ, საკალათბურთო მოედანზე ის მომიყვა განსაცვიფრებელ მცველზე, ჯერემი ლინზე, რომელიც იმ დროს უნივერსიტეტის ღირსებას იცავდა. შემდეგ, უნივერსიტეტში ერთ-ერთი ვიზიტის დროს მე ის საქმეში ვნახე. ასე რომ, ამ კალათბურთელის წარმატება ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა.

**- გაკვირვებული ვარ, რომ ლინს არ დაეხმარეთ "ბულზში" გადასვლაში, როცა ის ჯერ კიდევ უგუნდოდ იყო დარჩენილი.**

- "ბულზს" უკვე ჰყავს ბრწყინვალე გამთამაშებელი. ასე რომ, ლინი ილინოისში ვერ შეძლებდა თავისი შესაძლებლობების სრულად გამოვლენას. საერთოდ, ეს დიდი ისტორიაა – როგორ გახდა ყველასთვის უცნობი ადამიანი ამერიკის გმირი. ეს განსაცვიფრებელია. ეს ყველაფერი დიდ პროპაგანდას უწევს სპორტის ამ სახეობას მთელ მსოფლიოში. შეხედეთ კალათბურთის რეიტინგებს ჩინეთში.

**- მაგრამ, როგორც "ჩიკაგოს" ფანი, ალბათ, ნერვიულობთ, რომ ლინი აღმოსავლეთ კონფერენციაში თამაშობს...**

- არა. შეხედეთ, რა ხდება "ჩიკაგოს" თავს. როუზისა და დენგის გარეშეც ის ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია.

**- რას ემყარება თქვენი ოპტიმიზმი? რით განსხვავდება წლევანდელი გუნდი შარშანდელისგან, როცა "ბულზი" მატჩებს მხოლოდ როუზის ოსტატობის ხარჯზე იგებდა?**

- დენგი თავის თავში უფრო დარწმუნებული გახდა, ბუზერი კარგ ფორმაში იმყოფება, დერიკ როუზი საბოლოოდ გაიზარდა. მხოლოდ იმაზე ვნერვიულობ, რომ ის დასვენებას ცოტა დროს უთმობს, არადა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. მაგრამ, მიმაჩნია, რომ "ჩიკაგო" ჩემპიონობისთვის მზად არის – გუნდს კარგი შანსები აქვს წლევანდელი ტიტულისთვის ბრძოლაში. რა თქმა უნდა, "მაიამი" ამჟამად ბრწყინვალედ გამოიყურება. „ჰიტს" გაქცევის და თავისუფალი მოქმედების საშუალება რომ მისცე, შეუძლებელი იქნება მისი გაჩერება. მაგრამ პლეი ოფში რიტმი ოდნავ იკლებს და არა მხოლოდ სირბილი, არამედ, ფიქრიც არის საჭირო.

**- ბოლო ხუთი წლის განმავლობაში რამდენჯერ წარმოიდგინეთ, რომ თქვენს საყვარელ კლუბს თეთრ სახლში მასპინძლობთ?**

- ყოველ წელს. სამწუხაროდ, ოცნება ჯერ არ ახდენილა. მაგრამ აუცილებლად ასრულდება.

**- დარწმუნებული ხართ?**

- მე ხომ აქ კიდევ ხუთი წელი უნდა ვიყო (იცინის).

**- NBA-ში სულ ცოტა ხნის წინ დასრულდა ლოკაუტი, რომლის დროსაც ამბობდით, რომ კონფლიქტში ჩარევის უფლება არ გქონდათ.**

- მართალია.

**- ოდნავი ბიძგის მიცემა არ შეგეძლოთ? სეზონის გაუქმებამდე არა დღეები, არამედ საათები რჩებოდა.**

- მე უბრალოდ ვფიქრობდი, რომ რაღაც მომენტში მხარეები კომპრომისამდე მივიდოდნენ. როცა ერთ მხარეს მილიარდერები არიან, მეორე მხარეს კი მილიონერები, ისინი მაინც იპოვიან ფულის გაყოფის გზებს - რაც საბოლოოდ გააკეთეს კიდეც. ეს სწორი საქციელი იყო. ყველაზე დიდ იმედს მაძლევს ის ტემპი, რომლითაც სპორტის ეს სახეობა კალაპოტში დგება. ჯერემი ლინს, "მაიამის" და ყველა იმ ნიჭიერ ახალგაზრდა მოთამაშეს, რომლებიც ახლა ლიგაში არიან, მათ ერთად აჰყავთ ლიგა პოპულარობის ძველ დონეზე. მაგრამ ვფიქრობ, რომ პროფესიონალ სპორტსმენებსა და მფლობელებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი მთელი ქვეყნის მოსახლეობისთვის ქმნიან შოუს, იმათთვის, რომლებიც მათ გუნდებში დებენ ფულს. სწორედ ისინი აქცევენ ამ ბიჭებს მილიონერებად. როცა პროფესიულ სპორტში ხარ, უნდა იცოდე, რომ შენს გრანდიოზულ კონტრაქტს ჩვეულებრივი შრომისმოყვარე ადამიანები უზრუნველყოფენ.

**- მართალია, რომ თქვენ დაბლოკეთ კრის პოლის ტრეიდი, რადგან არ გინდოდათ, რომ ის „ლეიკერსში" გადასულიყო (იცინის)?**

- მე მიყვარს კრის პოლი. ის შესანიშნავი ბიჭია. ამ ბიჭების შესახებ ბევრი რამ გავიგე ჩემს 49-ე დაბადების დღეზე. შინ პატარა „ოლ-სტარი" მოვაწყვე. კრისი ჩემს წინააღმდეგ თამაშობდა. მის წინ პატარ „კროსოვერი" გავაკეთე. ის ამტკიცებს, რომ ბურთი მომპარა. მაგრამ ყველამ, ვინც იქ იყო, იცის, რომ ეს ასე არ არის. მეორე ჯერზე, შესაძლოა, წამართვა ბურთი, მაგრამ პირველად ვერც იფიქრებდა, რომ მე ასეთი ილეთი შემეძლო.

**- შეამჩნიეთ, რომ მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი გახდით, თქვენს წინააღმდეგ მთელი ძალით არ თამაშობენ?**

- ასეთი რამ არ ხდება. რეჯი ლავი - ჩემი ყოფილი თანაშემწე, რომელიც „დიუკში" თამაშობდა და ახლა ამ უნივერსიტეტში მაგისტრის ხარისხს იღებს, ყოველთვის ამბობდა, თუ ვინმე სრულად არ იხარჯება, ის ჩემ გვერდით ვერ იქნება. და ეს სიმართლეა. მხოლოდ მათთან ვთამაშობ, ვინც ჩემს წინააღმდეგ მთელი ძალით იმოქმედებენ.

**- ხშირად დადიხართ თქვენი ქალიშვილის საკალათბურთო მატჩებზე. როგორ ახერხებთ ამას?**

- ისინი, ძირითადად, შაბათ დილით თამაშობენ. ამ დღესაც მიწევს მუშაობა, მაგრამ შემიძლია ჩემი განრიგი ისე შევადგინო, რომ თავისუფალი დრო გამოვნახო. მართლაც ძალიან მიყვარს ქალიშვილის მატჩებზე დასწრება; დაკვირვება, როგორ თამაშობენ 10 წლის გოგონები კალათბურთს და რა ემოციებია ამ დროს მოედანზე. ეს შესანიშნავია. შარშან, ცოტა ხანი მწვრთნელის რანგში ვიყავი.

**- მართლა?**

- დიახ. ჩვენი გუნდის მწვრთნელი - შესანიშნავი ქალბატონია. ის ჯანმრთელობის ეროვნულ ინსტიტუტში მუშაობს და კალათბურთი არასოდეს უთამაშია, მაგრამ უხელფასოდ დათანხმდა ამ სამუშაოს. ერთ კვირადღეს გოგონები ადგილობრივ სპორტდარბაზში წავიყვანეთ და რამდენიმე ილეთი ვაჩვენეთ. გასაკვირი ის არის, რომ ეს სამუშაო უფრო მომქანცველი ყოფილა, ვიდრე უშუალოდ კალათბურთის თამაში.

**- რატომ?**

- როცა თამაში იწყება და ხედავ, რომ შენმა შრომამ შედეგი გამოიღო, შესანიშნავად გრძნობ თავს. მაგრამ იქვე ამას რამდენიმე შეცდომა მოჰყვება - თავს საშინლად გრძნობ, მაგრამ საერთო ჯამში, შესანიშნავია, რომ ბევრი გოგონა მთელს მსოფლიოში დაკავებულია ფიზკულტურით. მე უკვე 50 წლის ვარ, საშუალო სკოლაში 70-იან წლებში დავდიოდი. ჩვენს სკოლაში სპორტული გოგონები მრავლად იყვნენ, მაგრამ საერთო ჯამში, სპორტი ნორმად არ ითვლებოდა. ახლა კი უმრავლესობისთვის ფიტნესი ბუნებრივ პროცესად მიიჩნევა. გოგონები კონკურენციას სწავლობენ. ისინი იგებენ, როგორ გაუმკლავდნენ პრობლემებს. მათ მიბაძვის ბევრი მაგალითი აქვთ, ამიტომაც გვყავს ბევრი ბრწყინვალე ქალი სპორტსმენი. გოგონებმა იციან, რომ შეიძლება ერთდროულად იყვნენ ძლიერები და ამტანები და ამასთან, ლამაზები და საკუთარ თავში დარწმუნებულები.

**- თქვენი მეუღლე საკმაოდ მაღალია...**

- დაახლოებით 180 სანტიმეტრი. მისი ძმა კი, რომელიც ორეგონის შტატში მწვრთნელად მუშაობს, ორი მეტრია. ის პრინსტონში თამაშობდა, შემდეგ საზღვარგარეთ იყო. ისინი პოტენციურად კარგი სპორტსმენები არიან. თუმცა ამ განხრით ჩვენს ოჯახში ყველაზე ძლიერი ჩემი ნათესავი გოგონაა, რომელიც ორეგონის შტატის ქალაქ კორვალისში ცხოვრობს. ახლა ის რთული არჩევანის წინაშე დგას. უნდა გადაწყვიტოს, რომელ სახეობას გაჰყვეს - სოფტბოლს, ფრენბურთსა თუ კალათბურთს.

**- ვინ მიგაჩნიათ საუკეთესო კალათბურთელად?**

- მაიკლ ჯორდანი.

**- „ჩიკაგოს" გულისხმობთ თუ მთელ NBA-ს?**

- NBA-ს. კარგად გამიგეთ, მე ჯერ არ მინახავს ნიჭის, გამარჯვებისადმი სწრაფვის, ამტანობისა და სრულყოფისკენ სწრაფვის ასეთი შერწყმა. არიან კალათბურთელები, რომლებიც ნიჭის მხრივ შეიძლება მის გვერდით დავაყენოთ. ვფიქრობ, ლებრონს ისეთივე ტალანტი აქვს, როგორიც მაიკლს. იყვნენ მოთამაშეები, მაგალითად, ბერდი ან მეჯიქი, რომლებსაც ასეთივე სწრაფვა ჰქონდათ გამარჯვებისკენ. მაგრამ ამ თვისებების საუკეთესო ნაზავი მხოლოდ ჯორდანს გააჩნდა.

**- მე არ მესმის, როცა ხალხი რომელიმე კალათბურთელს მაიკლ ჯორდანს ადარებს. ჯერ მოიგონ ექვსი საჩემპიონო ბეჭედი, ლიგა აალორძინონ და შემდეგ ილაპარაკონ!..**

- და ის ქარიზმა არ დაგავიწყდეთ, რომლითაც ის თამაშობდა. შეუძლებელი იყო, თვალი მოგეშორებინა მისთვის, როცა ბურთს მიიღებდა.

**- რაღაც მომენტში თქვენი გზები გადაიკვეთა?**

- როცა მაიკლი კარიერას ასრულებდა, მე უბრალო გულშემატკივარი ვიყავი. მაგრამ როცა კენჭს ვიყრიდი ამერიკის შეერთებული შტატების სენატში, ჩვენ საერთო მეგობრები გამოგვიჩნდნენ. და მას შემდეგ მეგობრები ვართ.

**- ალბათ, იცით, რომ ბევრი ცნობილი კალათბურთელი გამოხატავდა დიდ ინტერესს 2008 წელს თქვენი საპრეზიდენტო კამპანიის მიმართ.**



ბილ სიმონსი და ბარაკ ობამა

- დიახ, მათ იციან, რომ მე კალათბურთით ვარ გატაცებული და შესანიშნავად ესმით, რას ნიშნავს დაძაბული კონკურენცია. ვფიქრობ, ბევრმა მათგანმა სიამაყით და სიამოვნებით მიიღო ქვეყანაში პირველი აფროამერიკელი პრეზიდენტი, რომელსაც მათთან კალათბურთზე საუბარი შეუძლია. სხვათა შორის, ამას წინათ ფლორიდაში, ვინს კარტერის სახლში გამართულ სალამოს ვეწვიე. იქ იყო მეჯიქი, კრის პოლიც მოვიდა. ეს "ყველა ვარსკვლავის მატჩის" წინ მოხდა, ასე რომ, ბევრი ვარსკვლავი იყო ქალაქში. მე ადრე უნდა წავსულიყავი, მაგრამ წასვლამდე პოლთან კალათბურთზე და ამ სეზონში "კლიპერსის" პროგრესზე ვილაპარაკეთ. მას ვუთხარი, რომ მისი და გრიფინის წყვილი ბრწყინვალეა. ისიც აღვნიშნე, რომ თუ ბლეიკი ისევე ხშირად მოახვედრებს კალათში, როგორც ამას კარლ მელოუნი აკეთებდა, მათი წყვილის შეჩერება შეუძლებელი იქნება. ამის შემდეგ კრისმა მითხრა: „სერ, ახლახან დავურეკე. ის აქ ორ წუთში იქნება. იქნებ დაელოდოთ?" მე ვუთხარი, რომ მეჩქარებოდა და შეეძლო თავად გადაეცა მისთვის ჩემი სიტყვები.

**- გადასცა?**

- არ ვიცი. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ უკვე დღეს არის რთული სამწამიანში გრიფინის შეჩერება, ხოლო თუ ის თავის ტყორცნაზე იმუშავებს, შეუძლია ყველა დროის საუკეთესო ფორვარდი გახდეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**შარლოტი-იუტა 93:99**

21:22, 26:29, 17:29, 29:19

შ: მაგეტი (25+7 მოხსნა), უოკერი (19+5 პასი+3 ჩაჭრა), მალენსი (16+5 მოხსნა+5 დაფარება).

ი: ჯეფერსონი (31+9 მოხსნა+5 პასი), მილსეპი (16+5 მოხსნა), ფეივორსი (14+7 მოხსნა), ჰოვარდი (12+5 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**ვაშინგტონი-ლეიკერსი 106:101**

21:29, 28:35, 32:19, 25:18

ვ: იანგი (19+6 პასი), ბუკერი (18+17 მოხსნა), კროუფორდი (14+5 პასი), სერაფინი (14+9 მოხსნა), მეისონი (14), მაკგი (12+12 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (30+5 მოხსნა+4 ჩაჭრა), გასოლი (19+15 მოხსნა+3 დაფარება), ბინუმი (19+6 მოხსნა).

**მაიამი-ატლანტა 89:86**

25:22, 18:23, 25:23, 21:18

მ: ჯეიმსი (31+11 მოხსნა), უეიდი (18+9 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა).

ა: სმიტი (23+6 მოხსნა), ტიგი (16), სტეკჰაუსი (10), ფაჩულია (9+10 მოხსნა).

**ნიუ ჯერსი-კლიპერსი 101:100**

27:22, 30:23, 23:26, 21:29

ნ-ჯ: დ. უილიამსი (21+10 პასი+6 მოხსნა), ბრუქსი (19), ფარმარი (16), შ. უილიამსი (15+10 მოხსნა), მოროუ (14), ჰამფრიზი (12+11 მოხსნა).

კ: გრიფინი (28+17 მოხსნა), ფოიე (24), პოლი (22+10 პასი+6 მოხსნა+5 ჩაჭრა).

**ოკლაჰომა-ფინიქსი 115:104**

25:34, 33:30, 26:24, 31:16

ო: უესტბრუკი (31+10 პასი+4 ჩაჭრა), დურანტი (30+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰარდენი (30), იბაკა (18+20 მოხსნა+3 დაფარება).

ფ: გორტატი (28+11 მოხსნა+3 დაფარება), დადლი (17+11 მოხსნა), ფრაი (13+8 მოხსნა), ნეში (12+13 პასი), ბრაუნი (12), ჰილი (10).

**დენვერი-კლივლენდი 99:100**

27:26, 28:31, 17:19, 27:24

დ: ჰარინგტონი (22+8 მოხსნა), ლოუსონი (18+6 პასი+5 მოხსნა), მილერი (16), ნენე (13+5 მოხსნა), აფლალო (13).

კ: ჯეიმისონი (33+9 მოხსნა), გი (19+7 მოხსნა+4 ჩაჭრა), ირვინგი (18+8 პასი+5 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**გ. სტეიტი-მემფისი 92:110**

23:33, 28:23, 22:28, 19:26

გ-ს: ელისი (16), ტომპსონი (16+6 მოხსნა), კარი (15), ლი (11).

მ: გეი (26+12 მოხსნა+5 პასი), სპეიტსი (18+7 მოხსნა), გასოლი (17+12 მოხსნა), მაიო (16+5 პასი), ალენი (12+6 მოხსნა), პონდექსტერი (11), კონლი (2+12 პასი).

**ტორონტო-ჰიუსტონი 116:98**

28:28, 30:18, 24:30, 34:22

ტ: დეროზანი (23), კლეიზა (19), კალდერონი (17+12 პასი), ბარბოზა (15), ა. ჯონსონი (14+8 მოხსნა+3 დაფარება), ჯ. ჯონსონი (10).

ჰ: პერსონსი (19+3 ჩაჭრა), ლოური (16), დალემბერი (14+6 მოხსნა), დრაგიჩი (14), პატერსონი (13+6 მოხსნა).

**ფილადელფია-ბოსტონი 103:71**

33:17, 22:16, 25:20, 23:18

ფ: ტერნერი (26+9 მოხსნა), ბრენდი (18+9 მოხსნა), უილიამსი (15), ვუჩევიჩი (14+12 მოხსნა), იგუოდალა (10+8 პასი+7 მოხსნა), ჰოლიდეი (10+6 პასი+3 ჩაჭრა).

ბ: პირსი (16), ბასი (12), ჯონსონი (10+5 მოხსნა).

**მინესოტა-პორტლენდი 106:94**

37:31, 24:23, 20:18, 25:22

მ: ლავი (29+16 მოხსნა), რიდნური (22+5 პასი), ჯონსონი (19), უებსტერი (10), უილიამსი (9+11 მოხსნა).

პ: ფელტონი (23+9 პასი), ოლდრიჯი (22+7 მოხსნა), უოლასი (13+9 მოხსნა+9 პასი), მეტიუზი (13).

**მილუოკი-ჩიკაგო 104:106**

30:33, 20:22, 23:18, 31:33

მ: ილიასოვა (32+10 მოხსნა), გუდენი (27+6 მოხსნა), ჯენინგსი (11+6 პასი+3 ჩაჭრა), უდრიხი (11+7 პასი).

ჩ: როუზი (30+11 პასი+8 მოხსნა), ნოა (20+10 მოხსნა), ბუზერი (15+6 მოხსნა), დენგი (12), გიბსონი (10+7 მოხსნა).

**სან ანტონიო-ნიუ იორკი 118:105**

28:23, 30:18, 35:32, 25:32

ს-ა: პარკერი (32+6 პასი), დანკანი (17+8 მოხსნა), ჯინობილი (17+6 პასი), ნილი (12+6 მოხსნა), ბლერი (10+7 მოხსნა), ლეონარდი (10+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), სპლიტერი (10).

ნ-ი: ენტონი (27), ლინი (20+3 ჩაჭრა), სტაუდმაიერი (18+11 მოხსნა), სმიტი (18).

**საკრამენტო-ნიუ ორლეანი 99:98**

29:27, 29:27, 20:26, 21:18

ს: ტორნტონი (25+4 ჩაჭრა), ევანსი (13), ტომპსონი (12+8 მოხსნა), ტომასი (12), სალმონსი (12), ფრედეტე (11+5 პასი).

ნ-ო: ჯეკი (25), არიზა (20+6 პასი+4 ჩაჭრა), კამანი (18+11 მოხსნა+8 პასი), ბელინელი (11), ვასკესი (10+6 მოხსნა).

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:25
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია